

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისად  
კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისად  
თარგმანებად წმიდისა სახარებისად  
მათეს თავისად

თავი ۱

ჭიენებად წმიდისა მათე მახარებელისად  
დაწყებად სიტყვისად

გურჯუროსენ, უფროლ!

კუროსეულ არს ღმერთი ყოვლადვე

არ ფა მარაფის და უკუნიო უკუნისამზე, ამენ!

ლოსვა-ყვვთ გლოხაკისა ევთვმესოცხ, წმიდანო ღმრთისანო.

ვერ-იყო ჩუენდა, ძმანო, რაღამცა არა გუექმარებოდა წერილთამიერი შენევნად, არამედ ესევითარიმცა გუაქუნდა მოქალაქობად სავსე სიწმიდითა და სათნოდ ღმრთისად, რაღამცა მადლი იგი სულისა წმიდისად განანათლებდა სულთა ჩუენთა წიგნთა წილ, და ვითარცა წიგნნი ინერებიან მელნითა, ეგრეთმცა გულნი ჩუენნი ინერებოდეს მადლითა მით ცხოვლს-მყოფელისა სულისადთა; ხოლო ვინაღთგან ესევითარსა მას საწადელსა და სასურველსა მადლსა დავაკლდით სიმრავლითა ცოდვათა ჩუენთადთა, მოედით, ან მეორე ესე ვიპყრათ გზად – გულისწმის-ყოფად წერილთად და მათ მიერ სარგებელი სულთა ჩუენთად.

უმჯობეს და უაღრეს იყო პირველი იგი, ვითარცა წამებს ღმერთი საქ-მეთა მიერ მისთა და სიტყუათა; რამეთუ ნოეს და აპრაპამს და შვილთა მისთა და იობს და მოსეს არა წერილთა მიერ ეტყოდა, არამედ თავადი თავით თვისით, რამეთუ პეონებდა გონებათა მათთა განწმედილთა ბინისაგან ვნებათადსა. ვინაღთგან კულა უფსკურულსა მას უკეთურებისასა შთავარდა ერი იგი ებრაელთად და მრავალთა მიერ ცოდვათა შეამზიულნეს სულნი მათნი, მერმე საჭიროდ საჭმარ იქმნებს წერილნი და ფიცარნი რჩულისანი და მათმიერი იგი სწავლად და მცნებათა დადებად, რამეთუ არღარა ღირს იყვნეს პირისპირ ზრახვად მეუფისა, და ესე საქმო არა პირველთა მათ წმიდათა ზე ოდენ, არამედ ახლისაცა რჩულისათა სახილველ არს, რამეთუ მოციქულთა არა თუ წერილ რაღმე მისცა ღმერთმან, არამედ წერილთა წილ მადლი იგი სულისა წმიდისად აღუთქუა მოცემად, ვითარცა იტყვეს, ვითარმედ: „მან მოგავსენის თქუენ ყოველივე“! და რაღა სცნა უაღრესობად

<sup>1</sup> იოან. 14,26.

ამის სახისად, ისმინე, რასა იტყვს წინანარმეტყუელისა მიერ: „აღგითქუა თქუენ აღთქუმად ახალი, მივსცე რჩული ჩემი გონებასა შვილთა თქუენთა-სა და გულთა ზედა მათთა დავწერნე მცნებანი ჩემნი, და იყვნენ ყოველი ღმრთივსნავლულ“.<sup>1</sup> და მოციქული პავლე ამის მაღლისა უზეშთაესობასა გამოაჩინებს და იტყვს დაწერასა რჩულისა მის ახლისასა „არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისადთა, არა ფიცართა ქვისათა, არამედ ფიცართა გულისა წორციელისათა“.<sup>2</sup>

ვინათგან კულა სიგრძესა შინა ჟამისასა მიდრეს კაცნი, რომელნი-მე გარდაქცევითა მართლისა სარწმუნოებისადთა და სხუანი საქმეთა მი-ერ ბოროტთა, ამისთვის კუალად საჯმარ იქმნა წერილთამიერი სწავლად. ან უკუე გულისქმა-ყავთ, რაოდენ ბოროტ არს, რომელთა-ესე თანაგუედვა ესევითარისა მოქალაქობისა მოგებად, რათამცა არად საჯმარ იყო ჩუენდა წერილი, არამედ წიგნთა წილ სულისა მიერ წმიდისამცა განათლდებოდეს გულნი ჩუენნი, ვინათგან მას პატივსა დავაკლდით და მეორე ესე სახე საჯმარ იქმნა ჩუენდა, უკუეთუ ან ესეცა წამალი არა ვიქმაროთ კეთილად. ხოლო უკუეთუ ესე საბრალობელ არს, რომელ წერილნი გუექმარებიან და არა სულისა წმიდისა მაღლითა სავსე ვართ, იხილეთ, რაოდენ უმეტეს საბ-რალობელ ვართ, უკუეთუ ვერცა რად ამის წამლისაგან ვირგოთ, არამედ ცუდად და ამაოდ მდებარედ შევპრაცხნეთ წერილნი უმეტეს ჩუენდა და-სასჯელად. ხოლო რათა არა შეგუემთხვოს ესევითარი, გულისქმა-ვყვნეთ წერილნი მეცნიერებით და ვცინათ, ვითარ ძუელი იგი მოეცა რჩული, ანუ ვითარ ახალი ესე აღესრულა მადლი. ვითარ უკუე მოეცა რჩული იგი, ანუ ოდეს, გინა სადა? შემდგომად წარწყმედისა მის მეგპტელთადსა უდაბნოსა მას ზედა მთასა სინაძასა, რაჟამს არმური და საჯუმილი აღვიდოდა მთისა-გან, წმად წესტყვად ისმოდა, ელვანი და ქუხილნი იქმნებოდეს, შე-რაჟ-ვიდა მოსე ნისლსა მას. ხოლო ახალსა რჩულსა არა ესრეთ, არცა უდაბნოსა ზე-და მოგუეცა, არცა მთასა, არცა კუამლითა და ბნელითა, ნისლითა და არ-მურითა, არამედ ნათელსა შინა დღისასა, სახლსა შინა მსხდომარე იყვნეს რად ყოველნი დიდითა სიმშვიდითა და დაწყნარებითა, მოვიდა მადლი იგი განმაცხოველებელისა წმიდისა სულისად; რამეთუ პირუტყუებრივთა მათ და გონებითა ზრქელთა და ურჩითა უწმდა წორციელი ხილვად მთისა მის უდაბნოსად, ნისლისა და არმურისად, წმისა სასტიკისად და სხუათა მათ ესევითართა, ხოლო განყენებულთა მათ ყოვლისავე ვნებისაგან, მორჩილ-თა და სიმაღლედ სულიერად აღმაღლებულთა არარად ესევითარი უწმდა, და იგიცა, რომელ იქმნა ოხრად, ვითარცა ქარისად, არა თუ მოციქულთათვს იყო, არამედ მუნ მყოფთა მათ მახლობელად ჰურიათა, რომელთათვსცა ენანი იგი ცეცხლისანი ეჩუენნეს; რამეთუ უკუეთუ ამასცა ზედა იტყოდეს, ვითარმედ ტკბილთაგან სავსე არიან, უკუეთუმცა ყოვლადვე არარად ესე-

<sup>1</sup> შდრ. იერ. 31,31-34; იოან. 6,45.

<sup>2</sup> კორ. 3,3.

ვითარი იხილვა, რაღმცა არა მრავალი ესევითარი თქუეს. და ძუელსა მას რჩულსა, აღვიდა რა მოსე მთად, მაშინდა ღმერთი გარდამოწდა, ხოლო აქა, აღვიდა რა ბუნებად ჩუენი ზეცას და უფროვასად საყდარსა მას სამეუფოსა, ეგრეთ გარდამოწდა სული წმიდად და ფრიად უაღრესნი საკურველებანი გამოაჩინნა, ვიდრელა ძუელსა მას; რამეთუ არა მთით გარდამოწდეს მოციქულნი და ჭელთა აქუნდეს ფიცარნი იგი რჩულისანი, ვითარცა მოსეს, არამედ სული წმიდად მოაქუნდა გონებათა შინა თვეთა, და საუნჯე კეთილთა და წყარო მადლისა აღმოცენებოდა მათგან და ყოველთა აღავსებდეს სურნელებითა, რამეთუ იყვნეს იგინი წიგნ პირმეტყუელ ძალითა მით სულისა წმიდისათა, და მეყსა შინა მოაქციეს ღმრთისა სამ ათასნი იგი, მერმე ხუთ ათასნი, მერმე ყოველივე სოფელი, რამეთუ ღმერთი ეტყოდა ენითა მათითა მომავალთა სმენად სიტყვესა მათისა.

ამის ყოვლადწმიდისა და დიდებულისა სულისა მადლითა აღივსო მათე, და აღწერა წმიდა სახარებად მათე მეზუერემან, რამეთუ არა მრცხუენის წოდებად მისა სახელი იგი პირველისა მის საქმისა მისისა, არცა მისდა, არცა სხუათადა, რამეთუ ესე გამოაჩინებს უფროვასად ძალსა მას სულისა წმიდისასა და მათსა მას სათნოებასა, რომელ ესევითართა უნდოთა და შეურაცხთა საქმეთაგან, მეზუერეობისა და მეთევზეობისა და მეპრატაკეობისაგან, ესევითართა საქმეთა მოქმედ და ესევითართა სიტყუათა მეტყუელ იქმნეს. ხოლო სახარებად წიგნსა ამას სამართლად უწოდა, რამეთუ სატანჯველთაგან წსნასა და ცოდვათა შენდობასა და სიმართლესა და სიწმიდესა და გამოწინასა და შვილებასა ღმრთისასა და დამკვდრებასა სასუფეველისასა ახარებს მტერყოფილთა, უმაღლოთა, ბნელსა შინა მსხდომარეთა; რაღმცა უკუე სწორ იყო წმიდისა ამის სახარებისა? ღმერთი ქუეყანასა ზედა იხილვების და კაცი ცათა შინა, და ზეცათანი იგი ქუეყანისა თანა აღერინეს, ანგელოზნი იხარებდეს კაცთა თანა, კაცნი ზიარ იქმნებოდეს ანგელოზთა და სხუათა მათ უზეშთაესთა ძალთა, და სახილველ იყო მრავალუამისა მის ბრძოლისა დაწინად და დაგებად ღმრთისად ჩუენისა ამის განვრდომილისა ბუნებისა მიმართ, რომლისათვეცა ეშმაკმთავარი სირცეკლეულ იქმნა, სულნი იგი უკეთურნი ივლტოდეს, სიკუდილი შეიკრვოდა, სამოთხც განედებოდა, წყევად განქარდებოდა, ძალი ცოდვისად განიღეოდა, საცოთური განიდევნებოდა, ჭეშმარიტება აღყუავნებოდა, სიტყუად ღმრთისმსახურებისა ყოველსა ქუეყანასა განითესვებოდა და ნაყოფიერ იქმნებოდა, მოქალაქობად ზეცისად ქუეყანასა ზედა დაენერგვოდა, და ძალი უკორცოთანი სიყუარულით თანამზრახვალ გუექმნებოდეს, და ანგელოზთმთავარი ქუეყანად გარდამოვიდოდეს, და დიდი სასოება საუკუნეთა მათ კეთილთად მოგუეცემოდა. ამის ყოვლისათვე სახარება ეწოდა წიგნსა ამას, რამეთუ სხუად ყოველივე სოფლისა სიტყუად ოდენ არს ცუდ და ამაო, ცარიელი საქმეთაგან ჭეშმარიტებისათა: სიმრავლე საფასეთად, სიმაღლე ძლიერებისად, მთავრობად და დიდებად და პატივი და სხუად ყო-

ველივე, რავდენიცა სოფლისმოყუარეთა კეთილად უჩნს; ხოლო ქადაგებული იგი შეთევზურთა მიერ და მეზუერისა სამართლად იწოდების სახარება, არა ამისთვის ოდენ, რომელ მტკიცე და შეურყეველ არიან კეთილნი იგი მის მიერ ქადაგებულნი და უზეშთაეს ღირსებისა ჩუენისა, არამედ ამისთვისცა, რომელ ფრიად ადვილად მოგუეცა ყოველივე იგი, რამეთუ არა დავშუერით, არცა შევოფლდით ძიებასა მათსა, არცა რა ჭირი თავს-ვიდევით, არამედ კაცთმოყუარებითა ღმრთისათა უსასყიდლოდ მოგუეცნეს ნიჭნი იგი ბუნებათა უაღრესნი, რამეთუ შემიყუარნა ჩუენ განდგომილნი ესე სახიერმან მან მეუფემან და მოუგონებელითა მით პატივითა პატივ-გუცა, უკუეთუ ოდენ ან ვინებოთ ღირსად ჩინებისა მის სლვად და პატივისა მის მისმიერსა შეშუენებად.

ხოლო რაღასათვს ესოდენთა მათ მოციქულთა შორის ორთა ხოლო აღნერეს სახარებად ათორმეტთაგან და ორთა შემდგომთა მათთა (რამეთუ ერთი იგი პეტრესი და მეორე პავლესი იყო მოწაფე, რომელთა მათეს და იოვანეს თანა აღნერეს სახარებანი)? – ესე ამისთვის, რამეთუ არარას იქმოდეს პატივის ძიებით და მთავრობისმოყუარებით, არამედ ყოველსავე ზედა ბრძანებასა ღმრთისასა ელოდეს, და ვითარცა უბრძანა სულმან წმიდამან და რომელთა უბრძანა, მათცა აღნერეს. თქუას უკუე ვინ, ვითარმედ: არა კმა იყოა ერთი მახარებელი თქუმად ყოვლისავე? კმა იყო, არამედ რაღათა უმტკიცეს იყოს და სარწმუნო ყოველივე, ამისთვის ოთხთა აღნერეს, რაღათა ოდეს იხილო, რომელ ოთხთა აღნერეს არა ერთსა ადგილსა, არცა ერთსა უამსა, არცა ერთად შეკრბეს და ეზრახნეს ურთიერთას, და ოთხთავე ერთი პირი და ერთი ძალი სიტყვად, ვითარცა ერთითა პირითა აღნერეს, გულისწმა-ჰყო ჭეშმარიტებისა მათისა ძალი. თქუას უკუე მაცილობელმან, ვითარმედ უფროვასად წინააღმდეგომი იქმნა მაგის სიტყვად, რამეთუ ესე-რა მრავალსა ადგილსა წინააღმდეგომ ურთიერთას იპოებიან. არამედ გულისწმა-ყავნ ესევითარისა მეტყუელმან მან, ვითარმედ ამისგან უმეტესად გამოჩნდების ჭეშმარიტებად მათი, რამეთუ უკუეთუმცა ყოველივე ერთი სიტყუა იყო ოთხთავე აღნერილი, რომელ არცამცა სიტყუა შეცვალებოდა, არცა უამი, არცა ადგილი, არამცა ვის პრწმენა მტერთაგანსა, თუ არა ერთად შეითქუნეს და ერთსა ადგილსა შეკრბეს და ყოველივე ზოგად დაწერეს; ხოლო ან მცირედი იგი სიტყუათა შეცვალებად ყოველსავე ესევითარ-სა იჭუასა განაქარვებს და გამოაჩინებს საქმისა მის ჭეშმარიტებასა, და რომელი რაღმე - ანუ რომელთა ადგილთათვს ანუ უმთა - სხუამან სხუაებრ თქუა და სხუამან - სხუაებრ, ესე ჭეშმარიტებასა სიტყვა მათისასა არარას ყოვლადვე ავნებს, არამედ ესეცა ყოველივე, რავდენიცა იპოოს, ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცეს, თითოეულისა სიტყვა განმარტებად თვისსა ადგილსა მიგითხრათ. ხოლო ამასცა გაუწყებ პირველთქუმულთა თანა, ვითარმედ საფუძველსა ზედა სიტყვასასა და საქმეთა მათ ზედა, რომელთა მიერ ცხორებად ჩუენი აღესრულების და სარწმუნოებად ჩუენი განმტკიც-

ნების, არა არს ყოვლადვე მათ შორის განწვალებად, არცა შეცვალებად სიტყუსად, ესე იგი არს, ვითარმედ ღმერთი კაც იქმნა, ვითარმედ სასწაული და კურნებანი ქმნა, ვითარმედ ჯუარს-ეცუა, ვითარმედ დაეფლა და აღდგა, ვითარმედ აღმაღლდა ზეცად, ვითარმედ ეგულების განსვად, ვითარმედ მოგუცნა მცნებანი განმაცხოველებელი სულისანი, ვითარმედ არა წინააღმდეგომ შჯულისა მის პირველისა იქმნა, არამედ აღასრულა იგი, ვითარმედ ძე ღმრთისად არს, მხოლოდშობილი, საყუარელი, განუყოფელი არსებისა მის მამულისად; და რავდენიცა არს ესევითარი, ამას ყოველსა ზედა არცა ერთი იპოების განწვალებად სიტყუასა შინა მათსა, არამედ დიდი ერთობად და ვითარცა ერთითა პირითა და ერთითა სულითა თქუმული.

ხოლო სასწაულთათვს უკუეთუ არა ყოველთა ყოველივე თქუეს, არა-მედ რომელთამე სხუად სასწაული თქუეს და რომელთამე – სხუად, ესე არა დასაბრკოლებელი არს, რამეთუ გინა თუმცა ერთსა აღეწერა ყოველივე, მეტიმცა იყო და არად საჭმარ სხუათა მიერ აღწერილი, გინა თუ სრულიად სხუად და სხუამცა ეთქუა ყოველთა, არამცა ჩნდა ურთიერთას წამებად; ამისთვის ზოგადცა მრავალსა იტყვან, და კუალად რავდენიმე თითოეულ-მან ხოლო აღწერა, რათა არცა ვინ მათგანი წამეტნავად ჩნდეს და ცუდად დამაშურალ, და კუალად ჭეშმარიტებისა წამებად დიდი ჩნდეს ურთიერთას წამებითა.

ამისთვის ლუკა დაწყებასა სახარებისა თვისისასა მიზეზსაცა იტყვს, რომლისათვის იწყო აღწერად, „რათა სცნა, რომელთათვს ისწავე სიტყუ-ათა მათ კრძალულებად“,<sup>1</sup> ესე იგი არს, რათა სცნა, ვითარმედ სიტყუა-ნი უცორმელი ისწავენ და გაქუნდესო აღწერილი ესე მოსაჯსენებელად კრძალულებისა მის სიტყუათა ქადაგებისათა.

ხოლო იოვანე არარას იტყვს მიზეზსა დაწყებისა თვისისასა, გარნა ჩუენ გკსნავიეს მამათაგან, ვითარმედ არცა მან უმიზეზოდ იწყო აღწერად. და ესე იყო მიზეზი მის მიერ აღწერილისა მის სახარებისა: ვინაოთგან სამთა მათ მახარებელთა მოსწრაფებად დადვეს ქრისტეს განკაცებისათვს თქუმად და ქუეყანასა ზედა ქცევისა მისისა საქმენი აღწერნეს, რაოდენ ეძლო, და ღმრთებისათვს არარად დიდად თქუეს, უბრძანა ქრისტემან მონაფესა მას საყუარელსა ღმრთისმეტყუელებისა აღწერად, და ამის მიზეზისათვს ყო დაწყებად სიტყვსა თვისისად, და ესე საცნაურ არს მისისა მის სახარებისაგან, რამეთუ არა განკაცებისაგან იწყო სიტყუად, ვითარცა სხუათა მათ, არამედ ღმრთისმეტყუელებისაგან, რომლისათვსცა აღწერა ყოველივე. რამეთუ არა დაწყებასა ოდენ, არამედ ყოველსავე სახარებასა შინა მისისა უმეტესი სიტყუად ღმრთისმეტყუელება არს და უმაღლესი სხუათა მათ თქუმულისად.

ხოლო მათეს ევედრნეს, რომელნი-იგი ჰურიათაგან მოქცეულ იყვნეს, რათა რა-იგი მიუთხრა სიტყუად ქრისტესთვს, აღუნეროს მათ წიგნად,

<sup>1</sup> ლუკ. 1,4.

საქართველოდ სამარადისოდ. ამისთვის აღნერა სახარებად თვისი ენითა ებრაულითა.

ხოლო მარკოზ უქადაგა რად მეგვპტელთა ქრისტე, ევედრნეს მოწაფენი იგი, რადთა მანცა წერილი დაუტეოს, და სულისა წმიდისა მადლითა აღნერა მანცა მისი იგი სახარებად.

ამისთვისცა მათე, ვინამთვან ებრაელთა შორის იყო აღნერად მისისა მის სახარებისაა, ესე ისწრაფა გამოჩინებად, ვითარმედ თესლისაგან აბრაჰამისა და დავითისა იშვა, და დაწყებად მებრ სიტყვასა შობისათვის უფლისა ყო, რამეთუ დიდად განისუენებდეს ამას ზედა ებრაელნი, რომელ გულსავ-სე-ჰყოფდა, ვითარმედ აბრაჰამისა და დავითის ტომისაგან იშვა ქრისტე. ხოლო ლუკა ბერძულებრ აღნერა ყოველთათვის, რომელნიცა მიემთხვენენ. ამისთვის ზემორე იწყო თხრობად და, მო-რაღ-ვიდა მამათმთავართა რიცხუ-სა ვიდრე ადამისა, წარმოთქუა სახელები მათი.

ამათ ესევითართა მიზეზთათვის უბრძანა თითოეულსა მათსა სულმან წმიდამან აღნერად. ხოლო ვითარცა ზემო ვთქუ, საკრძალავთა მათ ზედა საქმეთა და რომელთა მიერ ქადაგებისა მათისა ძალი განმტკიცნებოდა, არცა ერთი რად განწვალებად აჩუენეს, არამედ დიდი ერთობად და ურთიერთას წამებად, და ესე გულისჯმა-ყავთ ნუ სიტყუათაგან ოდენ, არამედ საქმისაგანცა, რამეთუ უკუეთუ განწვალებამტცა იყო შორის მათსა, ვითარმცა წარემართა ქადაგებად მათი ერთსა ზედა პირსა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ყოველი მეუფებად, რომელი თავსა ზედა თვისა განევლითის, დაიწ-სნას“!<sup>1</sup> ვინამთვან უკუე იგინი ერთსა საქმესა ქადაგებდეს, უკუეთუმცა წინააღმდეგომ ურთიერთას იყვნეს, ვითარმცა წარემართა ქადაგებად იგი, ვითარ სარწმუნო იქმნა ყოველთა მიერ, ვითარ განწდა წმად მათი ყოველსა ქუეყანასა და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი,<sup>2</sup> რომელთა-იგი მრავალი მწვდომად აღუდგეს, მრავალნი დაქსნად ისწრაფდეს, რამეთუ არა თუ ერთსა შინა ყურესა დაწერეს და დამალეს, არამედ შორის ყოველისა სოფლისა განპმარტეს აღნერილი მათი, და სასმენელად მტერთა მათთა და მპრძოლთა აღმოიკითხვოდა იგი, და ვერარად ვინ ცოთმად ანუ ურთიერთას განწვალებად შეჰქადა, არამედ ყოველნივე იძლინეს მბრძოლნი მათნი, და სამართლად, რამეთუ ძალი ღმრთისად იყო თანაშემწე და წინამძღვარ მათისა მის ქადაგებისა. და უკუეთუმცა არა ესე იყო, ვითარმცა უძლო მეზუერემან და მეთევზურმან და უსწავლელმან ესევითარისა მის სიბრძნისა მოგებად, რადთამცა სავსე ესე ზეცისა საიდუმლოვთა სახარებად აღნერა? ვინ უძლო ზუავთა მათ და ამპარტავანთა ფილოსოფოსთაგანმან ესევითარი რად მოგონებადცა ანუ სიზმრივ ხილვად, არა თუმცა აღნერად და მითხრობად? არამედ ამათ დიდითა კადნიერებითა ყოველსა სოფელსა უქადაგეს და ყოველთა დაარწმუნეს, არა თუ ცხორებასა ოდენ მათსა, არამედ

<sup>1</sup> მათ. 12,25; მარკ. 3,24.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 18,5.

შემდგომად ამიერ მიცვალებისაცა არწმუნებენ ყოველთა ჭეშმარიტებასა მათთა მათ სიტყუათასა, არა ორთა გინა სამთა კაცთა, არა ასთა ანუ ათას-თა, გინა ბევრთა, არამედ ერთა ურიცხუთა, სოფელთა და ქალაქთა, ენათა და ნათესავთა, ზღუასა და წმელსა, აღმოსავალსა და დასავალსა, შენთა და უდაბნოთა.

და საკურველი ესე არს, რომელ საქმეთა იტყოდეს უაღრესთა ბუნებისა ჩუენისათა, და შეწყნარებულ იყო სიტყუად მათი. დაუტევეს ქუეყანად და ზეცისასა წარმოიტყოდეს. სხუად შემოილეს სოფელსა ცხორებად უცხოდ და მოქალაქობად პირველ არყოფილი, ახალი სიმდიდრე და ახალი სიგლახა-კე, ახალი სიკუდილი და ახალი აღდგომად, და ყოველივე მათ მიერ თქუმუ-ლი საკურველ იყო, და ყოველსავე ზედა დაარწმუნეს კაცთა ჭეშმარიტებად თვისი. არა მსგავსად პლატონისა ქმნეს და არისტოტელისასა და სხუათა მათ ფილოსოფოსთა წარმართთა, რომელთა რჩულნი და წესი საწარმართონი დასხნეს, რამეთუ თვთ მათთა მათ წერილთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ საეშმაკოთა სულითა სავსე იყვნეს, და მტერი იგი ბუნებისა ჩუენისად მოა-გონებდა ყოველსავე, მბრძოლი იგი ქალწულებისად, დამარღუეველი წესი-ერებისად. ამისთვისცა ყოვლითავე საძაგელებითა სავსე არს წიგნები მათი, და ამას ზედა ურთიერთას მბრძოლ არიან და ერთიერთისა სიტყუათა დამ-ჯსნელ. ამისთვისცა სამართლად უჩინო იქმნა საქსენებელი მათი, რამეთუ დაღაცათუ ბრძნად ეწოდა, მცირედ ჟამ, არამედ გამორჩნდა მეყსეულად სი-ცოფე მათი. და ვინმცა უფალმან გონებისამან შეპრაცხნა იგინი ბრძნად, რომელთა შემოქმედი ყოველთად ღმერთი ვერ იცნეს? არამედ რომელთამე ვარსკულავნი შეპრაცხნეს ღმერთად, რომელთამე იძრვისთა ქუეყანისათა თაყუანის-სცეს, რომელთამე აჩრდილნი ეშმაკთანი და გამოქანდაკებულნი მათსა მას სახელსა ზედა ალპმართნეს ლირსად მათისა მის უგუნურებისა და ზღაპარნი გამოთქუნეს თანაშემწედ ვნებათა ბილნებისა; რომელმან-მე უგუნურმან ბრძნად უწოდოს მათ? წერდეს უკუე წიგნებსა მრავალსა ურ-თიერთას წინააღმდეგომსა და უკეთურებისა შემწესა. და წერდეს არა დევნუ-ლებასა შინა, არცა ბრძოლასა, არამედ დიდითა შეებითა და კადნიერებითა და თანაშემწენითა მეფეთა და მთავართადთა და შემკულებითა განქარვება-დისა მის სიბრძნისათა. და ამას ყოველსა ზედა წარწყმდა მათი იგი აღწე-რილი და საძაგელ იქმნა, დაივიწყა და უფსკრულად ჯოჯოხეთისა შთაცვა, ხოლო ქადაგებული იგი მეთევზურთად და აღწერილი მეზუერისად, რომელი იქადაგა და აღინერა დევნულებასა შინა და ჭირსა და სიგლახაკესა, დიდითა სურვილითა და წადიერებითა შეინწნარეს მეფეთა და მთავართა, ბრძენთა და უმეცართა, მონათა და აზნაურთა. წუუკუე სთქუა, ვითარმედ ადვილნი და მდაბალნი საქმენი ქადაგნეს ამათ, და ამისთვის შეწყნარებულ იქმნა სიტ-ყუად მათი? რამეთუ რა-ესე ამათ თქუეს, იგინი მოგონებადცა ვერ იკად-რებდეს; სადა იქსენების მათ შორის სახელიცა ქალწულებისად, ანუ უპოვ-რებისად, ანუ მარხვისად? განა თუ ვიეთმე მაჩუენებლობით პირსა წინაშე

კაცთასა აჩუენეს ესევითარი რადმე, ხოლო შინაგან იყვნეს სავსე მწკრითა და სიმყრალითა. არამედ ჩუენნი ესე მოძღუარნი, ქრისტეს მოციქულნი, არა ეგრეთ, რამეთუ არა საქმე ოდენ ცოდვისად განიოტეს კაცთაგან, არამედ სიტყუათათვეცა და ვნებულად შეხედვისათვეს და ბოროტისა გულისთქუ-მისათვეს და რისხვით სიტყვეს-გებისათვეს და უწესოდ სიცილისათვეს და ზუა-ობით ჭამალლობისათვეს და ანპარტავანისა გონებისათვეს კანონნი დასხენეს და სივლტოლად ამის ყოვლისაგან გვპრძნანეს; და ღმრთისმეტყუელებისა მოუგონებელნი საიდუმლონი გუაუნყნეს და საქმენი ზეცათანი განგვიარ-ტნეს და ქალულებისა ნერგი კეთილი სოფელსა შინა დაპნერგეს, განსყი-დად მონაგებთად და მიცემად გლახაკთად და აღებად ჯუარისად და შედგომად ქრისტესი გუასწავეს, ჯუარ-ცუმად წორცთად ვნებითურთ და გულისთქუ-მით და სრულიად მოკუდინებად მათი განაწესეს, შიმშილი და წყურილი სა-სუფეველისათვეს ცათადსა ჯერ-იჩინეს, გლოვად და ტირილი სოფელსა ამას შინა მოიპოეს, დევნულებად და ჭირი და სიკუდილი ქრისტესთვეს სანატრე-ლად და სანადელად შეპრაცხეს, ესევითარი ესე მოუგონებელნი საიდუმ-ლონი და მოღუანებისა ძნელოვანნი საქმენი ქადაგებითა მათითა სოფლად შემოიღეს. და ესოდენ დიდ იყო ძალი იგი ჭეშმარიტებისა მათისად, რო-მელ წადიერებით შეიწყნარა სოფელმან და ჰრიმენა, და დღითი-დღე ყუ-ავის მათი იგი ქადაგებად და აღორძნდების მადლითა ღმრთისადთა, ხოლო ბოროტთა მათ და ბილნთა ფილოსოფოსთა აღწერილი და გამოთქუმული წარწყმდა, ვითარცა ბუდე დედაზარდლისად, ანუ ვითარცა კუამლი და აჩ-რდილი უჩინო იქმნა სამართლად, რამეთუ ეშმაკნი იყვნეს მომაგონებელ მათდა. ამისთვეცა ბილნებისა მის და საძაგელებისა თანა სიბნელეცა და უცნაურებად სიტყუათად მათ ფრიად არს. რამეთუ რაღმცა იყო უსაკიცხე-ლეს მათსა? და დაჯდის ერთი მათგანი და თავს-იდვის შრომად მრავალი და ცუდი და აღწერნის რიცხვთ სიტყუანი ურიცხუნი და იტყვნ: მნებავს გამო-ჩინებად, თუ რად არს სიმართლე. და არა ოდენ მრავალ იყვნიან სიტყუანი იგი, არამედ განუგონებელცა. დაღაცათუმცა კეთილსა რასმე აღსწერდა, ფრიად საწყინოვემცა იყო და უჯმარ კაცთა შორის. ვითარ ისწავამცა იგი მჭედელმან, ანუ მუშაქმან, ანუ ხურომან, ანუ მენავემან, გინა თუ სხუა-მან ვინმე ესევითარმან? დაუტეოს ქელოვნებად თვესი, რომლისა საზრდელი წელთსაქმრისა თვისისაგან მოირენვის, და წარვიდეს, მრავალ წელ ისწავ-ლიდეს, რაღთა უძლოს გულისკმის-ყოფად სიტყუათა მათ და ცნას, თუ რად არს სიმართლე? ანუ არა პირველ სწავლისა მის შიმშილითა მოსწყდესა? და ვერცა სწავლად იგი სრულ-ყოს, ვერცა სხუად რად კეთილი ისწავოს, არამედ ცხორებისაგანცა დააკლდეს.

ხოლო ჩუენი ესე არა ესრეთ არს, არამედ სიმართლე და სიწმიდე და სახიერებად და სიყუარული და სხუად ყოველივე სათნოებად შემოკლებული-თა და ადვილითა სიტყვთა გუასწავა ქრისტემან. ოდესმე იტყვს: „შეიყუა-რო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა ძალითა

შენითა და მოყუასი – ვითარცა თავი თქსი, რამეთუ ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაწარმეტყუელნი გამოკიდებულ არიან“;<sup>1</sup> და კუალად იტყვს: „ყოველი, რომელი გინდეს, რახთა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს რჩული და წინაწარმეტყუელნი“,<sup>2</sup> რომელ-ესე მამათა და დედათა და ყრმათა მცირეთა და ბრძენთა და უმეცართა მიერ საცნაურ არს და ადვილად გულისჯისსაყოფელ, რამეთუ ესრეთ არს წესი ჭეშმარიტებისა და წამებს აღსასრული საქმეთად. რამეთუ ყოველთავე ისწავეს ძალი მცნებათად მათ, და არა ისწავეს ოდენ, არამედ მრავალთა ემნესცა არა სოფელთა შინა ოდენ და ქალაქთა, არამედ უდაბნოთაცა. მიედ უდაბნოთა გარეუვალთა და იხილო მუნ ჭეშმარიტი იგი სიბრძნე; იხილნე კრებულნი ანგელოზთანი გუამითა კაცობრივითა და მოქალაქობად ზეცათად ქუეყანასა ზედა აღსრულებული, რამეთუ მოწაფენი არიან მეთევზურთანი და მეზუერისანი.

ესევითარი იგი მოქალაქობად დაანესეს ქუეყანასა ზედა რჩულისმდებელობითა ღმრთისათა, და სასყიდელი მოქალაქეთად მათ არა გკრგვნი დათნისა ანუ ზეთისხილისა არს, ვითარცა წარმართთა ზე, ანუ ძეგლი რვალისა არა, საქმენი ესე უნდონი და ყრმათა სამღერელნი, არამედ ცხორება დაუსრულებელი და შვილ ღმრთისა ყოფად და შუებად ანგელოზთა თანა და დგომად წინაშე საყდარსა მას სამეუფოსა და მარადის ხედვად პირსა ქრისტესა. დასთა მთავარნი ამის მოქალაქობისანი არიან მეზუერენი და მეთევზურნი და მეპრატაკენი, რომელნი არა მცირედ უამ ცხოელ იყვნეს და მერმე მოსწყდეს და დაივიწყნეს, არამედ ცხოელ არიან უკუნისამდე. ამისთვის ამიერ მიცვალებისა შემდგომადცა დიდად შეეწევიან მოქალაქეთა მათ მათისა მწყობრისათა. ამის მოქალაქობისა ბრძოლად არა კაცთა მიმართ არს, არამედ ეშმაკთა მიმართ და ძალთა მათ უხილავთა. ამისთვისცა ერისთავი მათი არავინ კაცთაგანი არს ანუ ანგელოზთაგანი, არამედ თავადი ყოველთა მეუფებელი და ღმერთი. ხოლო საჭურველი ამათ მცედართად არა ტყავისაგან და რკინისა შემზადებულ არს, არამედ ჭეშმარიტებისაგან და სიწმიდისა და სიმართლისა და ყოვლისავე სულიერისა სიბრძნისა.

ან უკუე, ვინავთგან ამის ესევითარისა მოქალაქობისათვის აღწერილ არს წიგნი ესე წმიდისა ამის სახარებისა და დღეს წინამდებარე არს ჩუენ-და გულისჯისსაყოფელად, მიუპყრათ ყური წადიერებით წმიდასა მათე მახარებელსა, რომელი წმამაღლად გუეტყვს ჩუენ არა თქსთა სიტყუათა, არამედ მეუფისა ქრისტესთა, რომელი-იგი არს ღმერთი და რჩულისმდებელი ამის მოქალაქობისა. ყურად-ვისუნეთ თქუმულნი ესე ამის წიგნისანი, რახთა აღვიწერნეთ წიგნსა მას ცხოელთასა და გამოვბრნებინდეთ მათ თანა, რომელთა სიტყუანი ესე საქმით აღსასრულნეს და დაუჭნობელნი იგი გკრგვნი მოიხუნეს. ვისწრაფოთ კეთილად გულისჯის-ყოფად. და

<sup>1</sup> შდრ. მათ. 22,37-40.

<sup>2</sup> მათ. 7,12.

მრავალნი ჰგონებენ, თუ ადვილ არს ძალი სიტყუათა მათ სახარებისათა, ხოლო საწინაარმეტყუელოთა მათ ძნელ, არამედ ამას უმეცრებისაგან სიღრმისა მის მათისასა იტყვან. ამისთვის გევედრები, მოსწრაფებით შემომიდევით, რაღთა შევიდეთ უფსერულსა მას თქუმულთასა წინამძღვრებითა ქრისტესითა. ხოლო რომელ უადვილეს იყოს სრბად ჩუენი და წარმართ, გევედრები, რაღთა სიტყუათა მათ სახარებისათა, რომელთა ხვალისა დღე მეგულებოდის განმარტებად, დღესვე კაცად-კაცადმან ზეპირით იცოდენ, ვითარცა მარადის სხუათაცა წერილთათვს გეტყვ, რაღთა უწყოდით, თუ რად არს საძიებელი თითოეულისა სიტყუსად, რაღთა უადვილეს იყოს ჩუენ-და განმარტებად იგი, რამეთუ მრავალი იპოების მათ შინა საძიებელი.

იხილეთ უკუე დაწყებასა მებრ სახარებისასა, თუ რავდენი გამოჩნდების სათარგმანებელი: პირველად, თუ რაღსათვის თესლ-ტომსა იოსების-სა წარმოიტყვს, რომელი-იგი არა მამად იყო ქრისტესი; მეორედ, თუ ვინად საცნაურ არს, ვითარმედ ნათესავისაგან დავითისა იშვა ქრისტე, ვინამთვან თესლ-ტომნი მარიამისნი, რომლისაგან იშვა ქრისტე, არა ჭისენებულ არიან, და არცა მშობელთა მისთა სახელები თქუმულ არს სახარებასა ამას შინა; მესამედ, თუ რაღსათვის იოსებისა, რომელსა არარად ზიარებად აქუნდა შობასა შინა ქრისტესა, მშობელთა და პაპისპაპთა წარმოიტყვს, ხოლო ქალწულისა მარიამისთვის, რომელი დედა ექმნა უფალსა, არარას აქსენებს, თუ რომელთა მამათა ანუ პაპისპაპთაგანი არს. ამას თანა ესეცა ღრის არს ძიებისა, თუ რაღსათვის, შობასა მას მამათმთავართასა რად წარმოიტყოდა, დედანიცა აქსენნა, და არა ყოველნი, არამედ მცირედნი, და უფროვსად სათნოთა მათ და კეთილადწსენებულთა თანანარტვდა – სარრას და რებეკას და ესევითართა მათ, და აქსენნა უწესოებასა ზედა განთქუმული მექავნი და უცხოოთესლი: ცოლი იგი ურიალი და თამარ და რუთ, რომელთაგანი ერთი იგი უცხოოთესლი იყო და მეორე – მექავი, სხუად იგი – მამამთილისა მაცოური, რომელმან სახე მექვისა შეიმოსა და აცოუნა იგი მისლვად მისა. და ამას ყოველსა ზედა სხუანი დაუტევნა მახარებელმან და ესენი ოდენ აქსენნა. უკუეთუ ჭისენებად ჯერ-იყო დედათად, ყოველთად ჯერ-იყო, და უკუეთუ არა ყოველთად ჯერ-იყო, არამედ მცირედთად, სათნოთად ჯერ-იყო და არა ბოროტთად.

იხილეთა, რავდენი გულისკმის-ყოფად გკლირს დაწყებასავე სიტყვსასა, დაღაცათუ ჩანს, თუ ფრიად ადვილ არს დაწყებად იგი სიტყვსად? ამას თანა იგიცა საძიებელ არს, თუ რაღსათვის სამთა მეფეთა თანანარტვდა; უკუეთუ ვითარცა უკეთურნი არა აქსენნა იგინი, არცა სხუათა მსგავსთა მათ-თად ჯერ-იყო ჭისენებად. კუალად სხუად საძიებელი: ვითარ ათოთხმეტი წათესავი თქუა მესამესა მას წაწილსა და რიცხვ იგი ვერ სრულ-ყო. და რაღსათვის ლუკა სხუანი სახელნი აქსენნა და უმრავლესნი, ხოლო მათე – მცირედნი და სხუანი, და ორთავე სიტყუათ თესი იოსებისა სრულ-ყვეს. ხე-დავთა, რავდენი მღვდარებად გკლირს? არა გამოთარგმანებასა ზედა ოდენ, არამედ ცნობადცა, თუ თითოეულსა სიტყუსასა შინა რად საძიებელი არს.

რამეთუ ესეცა გულისწმისსაყოფელ არს, თუ ვითარ ელისაბედ ტომისაგან ლევიტელთავსა იყო და თვის ეყვოდა მარიამს, დედასა ქრისტესა. არამედ რაღა მრავალი საძიებელი არა შემოვილოთ და სიმრავლისაგან დავიწყება მოგატყუათ თქუენ, აქა აღვასრულოთ დღესისა ესე სიტყუად.

## სტატლად პ კრძალულებით სმენისათვს საღმრთოთა სიტყუათავსა

რამეთუ კმა არს თქუენდა დღეს, უკუეთუ ჭანებულთა ამათ საძიებელთა ძალი გულისწმა-ჰელოთ. უკუეთუ კულა თარგმანებასაცა ჩემგან ეძიებთ და გწადის სმენად, თქუენ ხართ უფალ საქმისა ამის, რამეთუ უკუეთუ გიხილნე სურვიელად და კრძალულებით სმენად, სიხარულით აღგიჯვნა ყოველივე მადლითა უფლისადთა. უკუეთუ კულა გიხილნე ძილსა შინა და ფქნარებასა, დავიდუმო სამართლად, ვითარცა იტყვს უფალი, ვითარმედ: „ნუ დაუდებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნნენ იგინ ფერწითა თვისითა“.<sup>1</sup> ხოლო ვინ არს დამთრგუნველ მათდა? რომელსა არა საკრძალავ და პატიოსნად შეერაცხნენ სიტყუანი იგი. და ვინ არსო უბადრუკი იგი, რომელსამცა არა პატიოსან და დიდებულ შეერაცხნეს სიტყუანი ესე? იცითა, ვინ არს იგი? რომელსა ესოდენიცა არა აქუს წადიერებად სმენად სიტყუათა მათ, რაღომი-იგი თეატრონად მისლვისად მეძავთა დედათა როკვისა ხედვად; და მრავალგზის ორსაცა დღესა დაჳყოფენ მუნ და მრავალსა საფასესა წარაგებენ და, რაცა მუნ ესმას, უცოლმელად ისწავლიან წარსაწყმედელად სულთა თვისთა, ხოლო აქა, სადა საღმრთონი სიტყუანი ისმიან, ვერცა თუ ერთსა ჟამსა დადგებიან. ამისთვის არა გუაქუს ზიარება კეთილთა შინა ზეცისათა, რამეთუ ვივლტით მუნ მიმყვანებელისა მის გზისაგან და გეჰენიად მიმყვანებელსა მას შინა ვალთ, რომელი-იგი ამისთვის გუასმინა ღმერთმან, რაღა ვივლტოდით მისგან, ხოლო ჩუენ უფროსად მუნ მივისწრაფით. უფალი გვბრძანებს არა სმენად ოდენ სიტყუათა მისთა, არამედ ქმნადცა, ხოლო ჩუენ სმენადცა მცონარე ვართ. ან უკუე ოდეს-მე ჭელ-ვყოთ ქმნად, რომელთა სმენად არა გუნებავს, არა-მედ მცირედიცა ესე ჟამი აქა შემოკრებისა ჩუენისა საწყიბო არს ჩუენდა? კაცად-კაცადი თქუენგანი უკუეთუ ცუდსა რასმე და ამაოსა უთხრობდეს სახლეულთა თვისთა და არა მიუპყრობდენ ყურსა, არა განრისხნისა? ვითარ უკუე არა გუეშინის რისხვისაგან უფლისა, რომლისა ბრძანებასა კეთილსა და საწადელსა უდებებით და დაწსნილებით ვისმენთ?

აჳა ესერა მოგვთხობს გზასა ქალაქისა მის ზეცათავსა, უტევანთა და სავანეთა და სადგურთა, ხოლო ჩუენ არა გუნებავს მოსწრაფებად მისლვად

<sup>1</sup> მათ. 7,6.

ფრიად დიდებულსა მას ქალაქსა. ამისთვის არცა ვისწავლით გზასა მას; უკუეთუმცა ვისწავეთ, შევიმოკლეთმცა. ხოლო ან უმეტეს შორს ვართ მის-გან, ვიდრელა ცად ქუეყანისაგან; და ესე – უდებებისათვს ჩუენისა. უკუ-ეთუმცა კულა მოვიგეთ მოსწრაფებად, მეყსამცა შინა მივიწიენით ბჭეთა მისთა, რამეთუ არა ადგილითა, არამედ გონებისა ჩუენისა საზომითა შორს გინა ახლოს მისა ვიპოვებით.

ხოლო შენ საქმენი ამის სოფლისანი ახალნი და ძუელნი კეთილად გის-ნავიან და სახელები იცი მეფეთა ადრინდელთა და მთავართა და მწედარ-თანი, რომელთაგან არარა სარგებელ გეყოფის, ხოლო საწადელისა ამის ქალაქისა, რომლისა აღმაშენებელი უფალი არს და არა კაცი, არცა გზა-სა ისწავლი, არცა მთავართა, არცა მეკარეთა, არცა მოქალაქეთა, და არ-ცა თკო ისწავლი, არცა მაუწყებელთასა ისმენ. ვითარ უკუე მოელი მუნ შესლვასა და კეთილთა მათ ხილვასა, რომელი მუნ მყოფთათვს აღთქუ-მულ არიან? არამედ დაუტეოთ უდებებად ესე, ძმანო, რამეთუ ესერა შე-ვალთ მადლითა უფლისაღთა ქალაქსა სამეუფოსა. განვიცადნეთ საფუძ-ველი მისნი, პატიოსანთაგან ქვათა დადებულნი, ვიხილნეთ ბჭენი მის-ნი, მარგალიტითა და საფირონითა შემზადებულნი. გუყავს ჩუენ კეთილი წინამდლუარი, მათე მახარებელი. ვეკრძალნეთ, რაღთა არავინ ჩუენგანი იხილოს უდებებით შემავალი და გარე განდევნოს. დიდ არს დიდებად ქა-ლაქისა მის! არა ესრეთ არს, ვითარ ჩუენი ესე ქალაქი, ურაკპარაკად და პალატად განყოფილი, არამედ ყოველივე პალატი არს სამეუფოდ. განვა-ხუნეთ ბჭენი გონებისანი, შე-რაღ-ვიდოდით კარსა მისსა, თაყუანის-ვსცეთ მას შინა მჯდომარესა მეუფესა. ჯერეთ დაწშულ არიან კარნი. განვხუნენ რაღ, ვიხილოთ მიერ გამომავალი მიუთხრობელი ბრწყინვალებად, რამეთუ წინამდლუარი ესე გვეკადებს ყოველსავე ჩუენებად მადლითა მით სულისაღ-თა, სადა-იგი მჯდომარე არს მეუფე, და სადა მდგომარე არიან მცედრო-ბანი ანგელოზთანი და მთავარანგელოზთანი, ანუ რომელი პიცემულ არს ადგილი პირველად შემავალთა ქალაქსა მას, ანუ რომელი პირველთა და შემდგომთა გინა თუ რომელ არს გზად მუნ მიმყვნებელი, და თუ რავდენ-ნი განყოფილებანი არიან მუნ პატივთანი. ნუ შევალთ უკუე შფოთით და ამბოხებით, არამედ შიშით და მყუდროებით; რამეთუ მეფისა მოკუდავისა წიგნი თუ სადმე მიიწის, არა ყოველთავე შიშით და დუმილით ისმინიანა? ან უკუე არა მინისაგანისა მეფისა, არამედ ყოველთა მეუფისა და ღმრთისა გუეგულების ბრძანებათა აღმოკითხვად. შიშით და კრძალულებით ვის-მინოთ. უკუეთუ ესრეთ ვისმენდეთ, წარმიძლუეს ჩუენ მადლმან სულისა წმიდისამან, რაღთა საყდარსა მას სამეუფოსა მივიწიეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვენეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუ-ენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნისამდე, ამერ.

## თავი ბ

სიტყუადეს: „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჟამისი“ (1,1).

გაწმოვსა, რაც-იგი გუშინ გამცენ თქუენ და გევედრე დუმილით და მყუდროებით სმენად სიტყუათა ამათ წმიდისა სახარებისათა? რამეთუ დღეს მეგულების შესლვად კარსა დიდებულისა მის ქალაქისასა, ამისთვის მცნებად იგი აღგიჩენებ; რამეთუ უკუეთუ ებრაელთა, ეგულებოდა რაც მიახლებად მთასა მას მკუმოლვარესა, ბნელსა მას და ნისლსა და არმურსა, და არცა მიახლებად, არამედ შორით დფომად და სმენად და ხედვად, პრძანებად მოიღეს სამ დღე დედაკაცისა არა შეხებად და სამოსელთა განრცხად, და იყვნეს შიშსა შინა და ძრნოლასა, და მათ თანა მოსეცა, რავდენ უფროვასად ჩუენ, რომელთა ესევითართა ამათ სიტყუათა გუეგულების სმენად და არა შორით ხედვად მთისა მის მკუმოლვარისად, არამედ ტაძარსა მას ზეცისასა შესლვად, რომელ არს წმიდად სახარებად, გკლირს უმეტესი კრძალულებად; არა სამოსელთა მათ გარეშეთა განრცხად, არამედ სამოსელთა მათ სულიერთა განწმედად და ნივთთა მათგან ცოდვისათა განშორებად. რამეთუ არა ნისლი იხილოთ, არცა კუამლი, არცა არმური, არამედ მეუფე ქრისტე, მჯდომარე საყდართა ზედა მიუთხრობელისა მის დიდებისათა და ანგელოზი მთავარანგელოზთა თანა წინაშე მდგომარენი და ბევრეული კრებული წმიდათანი გარემო მისა. მუნ იხილოთ ქალაქი იგი სამეუფოდ, ზეცისა იერუსალიმი, სადა არს კრებული იგი პირშოთად, სულნი მართალ-ნი, განწყობილნი უწორცოთანი; მუნ იხილოთ სისხლი იგი განწმედელი ჩუენი, რომლისა მიერ განცოფილთა მათ იქმნა ერთობად, და ცამან შეიწყნარ-ნა ქუეყანისანი, და ქუეყანა ღირს იქმნა შეწყნარებად ზეცისათა, და შემო-ვიდა შორის მშედობად იგი, რომლისა ხილვად მრავლით ჟამითგან სურვიელ იყვნეს ანგელოზი და ყოველი წმიდანი. მუნ იხილოთ აღმართებული შუ-ენიერი იგი და დიდებული საჭურველი ჯუარისად, მუნ იხილოთ „ტყუე იგი, რომელი წარმოტყუენა ქრისტემან, აღწდა რაც მაღალსა“,<sup>1</sup> ვითარცა წერილ არს, დასაბამი ბუნებისა ჩუენისად, რომელი გამოუღლო წელთა მთავარსა მას ბნელისასა, სოფლისმპერობელსა მას უკეთურებისასა.

ესე ყოველი წმიდისა მის სახარებისაგან ისწაოთ უცთომელად. უკუეთუ გულსმოდგინედ და წადიერებით გულისჯმა-ჰყოთ, უკუეთუ შემო-მიდგეთ უცონელად, ზედამიგანინე ყოველსავე და გიჩუენო, სადა-იგი ძეს სიკუდილი ძარღუშეჭრილი და თავნარკუეთილი, სადა-იგი ჰეიდავს ცოდ-ვად ძელსა აბმული, სადა ძეს იავარი იგი და ნატყუენავი ესევითარისა მის პრძოლისად; გიჩუენო მძლავრი იგი ბოროტი, შეკრული და შებორკილე-

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 67,19; ეფეს. 4,8.

ბული, ზღუდენი ქალაქისა მისისანი დარღუეულნი, სადა-იგი მეუფებდა, სადა-იგი შეწყუდინეს სულნი წარმართთანი. იხილნეთ ჭურელნი იგი და ქუაბნი ავაზაკთმთავრისანი, შელენილნი და გამოკრეხილნი. მუნცა მი-ინია მეუფც და ყოველივე იავარ-ყო. არამედ ნუ შრომა გიჩნს და საწყინო თხრობად ესე, რამეთუ უკუეთუმცა ვინ ჰამბავსა გითხრობდა წორციელისა ჰომისასა და განწყობისა და ძლევისა სოფლიობასა, წადიერებითმცა ისმი-ნეთ. იხილეთ უკუე, რავდენ უმეტესად ესე სანადელ არიან და სასურველ, რომელთა გუეგულების თხრობად.

გულისწმა-ყავთ, რად უსაკურველეს არს ანუ უმჯობეს სმენად წინამდებარეთა ამათ საიდუმლოთა: ვითარ გარდამოწმდა ღმერთი ზეცით, ვითარ იშვა ქალწულისაგან და კაცთა შორის იქცეოდა, შთავიდა ჯოჯო-ხეთად, შებმა-უყო ეშმაკსა; ვითარ წინაგანწყო ეშმაკი ღმერთსა, დაფა-რულსა წორცთა შინა კაცობრივთა, განეწყო კაცისა მიმართ და მიემთხვა ძალსა ღმრთებისასა, იძლია და დაეცა. მოითრია იგი მეუფემან, ვითარცა ვეშაპი სამჭედურითა, მოკლა, სიკუდილი სიკუდილითა განაქარვა, წყევად – წყევითა, აღმოიყვანა ბუნებად ჩუენი უფსკრულთაგან ჯოჯოხეთისათა, აღიყვანა ზეცას და დასუა საყდართა დიდებისათა. ამის ყოვლისა რაძმცა იყო უსაკურველეს ანუ უსანადელეს სმენად და ხილვად?! განაგდეთ უკუე ძილი და უდებებად, რამეთუ აპა ესერა ვხედავ ბჭეთა განლებულთა. შე-ვიდეთ წესიერებით, სიწმიდით და შიშით, „შევიდეთ ბჭეთა მისთა აღსაა-რებითა და ეზოთა მისთა გალობითა“!<sup>1</sup> ხოლო რად არს შესავალსა ოდენ კარისასა?

**სახარება ა:** „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბ-რაპამისი“ (1,1).

თარგმანი: რასა იტყვ, მახარებელო, მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისათვეს თხრობად წელ-ჰელ და დავითს აქსენება, კაცსა შემდგო-მად ბევრეულთა ნათესავთა შობილსა, და ამას სახელ-სდება მამად მისა და მშობელად? დრო მეც მცირედ, ნუ ყოველსავე ერთბამად ეძიებ ცნო-ბად, რამეთუ ჯერეთ შესავალსა სდგა კარისასა; ჯერეთ გარეშც ესე ვერ გიცნობიეს, რად ისწრაფი უკუე უშინაგანესსა მას ხილვად? არა მის შო-ბისათვეს გითხრობ, რამეთუ გამოუთარგმანებელ არს და მიუწოდელ, და ესე პირველ ჩემსა ესაია წინაარმეტყუელმან გაუწყა, რამეთუ ქადაგებ-და რად წინააღმდეგ ვნებასა მისსა და დიდსა მას კაცთა მიმართ წყალობასა, განკურვებულ იყო, თუ რაბამისა დიდებისაგან რაბამსა სიმდაბლესა მოვი-და. ამისთვეს ღაღატ-ყო და თქუა: „თესლ-ტომი მისი ვინ-მე მიუთხრას?“<sup>2</sup> ან უკუე არა დაუსაბამოხსა მის შობისათვეს არს სიტყუად ჩუენი, არამედ მეორისა, რომელი იქმნა ქუეყანასა ზედა, რომლისა მრავალნი არიან მო-

<sup>1</sup> ფსალმ. 99,4.

<sup>2</sup> ესაია 53,8.

წამე, და მისთვისცა ძალისაებრ ჩემისა მიგითხრა, რავდენ-იგი უძლე მო-ლებად მაღლსა მას სულისა წმიდისასა, რომელმან მომცა სიტყუად თქუ-მად, რაოდენ ეტევის ბუნებასა კაცობრივსა, რამეთუ ამის ქალწულისაგან შობისაცა განცხადებულად და განმარტებით თხრობაა შეუძლებელ არს, რამეთუ საკურველ არს ესეცა და მიუწოდებულ ნუუჯუ მცირედ გიჩნს ამის შობისათვს სმენად? არამედ გულისწმა-ყავ და შეძრნუნდი, გესმას რად, ვი-თარმედ ღმერთი მოვიდა ქუეყანად, რამეთუ ესოდენ განსაკურვებელ იყო და დიდებულ, რომელ ანგელოზთა განწყობილი კაცთა წყალობისათვს ერთხამად დიდებისმეტყუელებასა შესწირვიდეს, და წინაწარმეტყუელნი განკურვებულნი პირველვე იტყოდეს, ვითარმედ: „ქუეყანასა ზედა გამოჩ-ნდა და კაცთა შორის იქცეოდა“;<sup>1</sup> და ვინ არა განცვპრდეს, ვინ არა შეძრნუნ-დეს, რაღამს მოიგონოს, ვითარმედ ღმერთი, მოუგონებელთა მათ დიდე-ბისა საყდართა მჯდომარე, გამოუთქმელი და გარეშეუნერელი, სწორი და თანაარსი მამისად, საშოსა დაემკვდრა ქალწულისასა და შობად დედა-კაცისაგან თავს-იდვა და ძედ წოდებად დავითისა და აბრაჟამისა. ესე რად გესმას, ალამაღლე ბუნებად შენი და ნურარას მოიგონებ გულისიტყუასა მდაბალსა და არალირსასა, არამედ ამისთვს უფროვსად განკურდი, ვითარ მხოლოდშობილმან მან და დაუსაბამომან ძემან ღმრთისამან თავს-იდვა ძედ დავითისა წოდებად, რაღთა გყოს შენ ძედ ღმრთისა; თავს-იდვა მონი-სად მამად თვისად წოდებად, რაღთა ყოს ღმერთი მამა შენდა, მონისა მაგის. იხილეა დაწყებასა მებრ სახარებისასა, ვითართა კეთილთა გახარებს? ხო-ლო უკუეთუ იჭუეულ ხარ შენთვს და იტყვ, თუ: ვითარ შესაძლებელ არს ესე, რაღთამცა შვილ ღმრთისა ვიქმენ მე? მისგან შენი ესე დაირწმუნე, რა-მეთუ ფრიად უძნელეს არს კაცობრივსა ზედა გულისიტყუასა ღმრთისა განკაცებად, ვიდრელა კაცისა შვილ ღმრთისა ყოფად მადლითა მისითა.

ამისთვის გესმას რად, ვითარმედ ძე ღმრთისად ძე დავითის და აბრაჟამი-სა იწოდა, ნუ ურწმუნო ხარ, ვითარმედ შენცა, ძე ეგე ადამისი, ძე ღმრთისა იქმნა, რამეთუ არა ცუდად და ამაოდ დაიმდაბლა ესოდენ თავი თვისი უფალმან, არამედ რაღთა ჩუენ აღგუამაღლნეს; იშვა ჭორციელად, რაღთა შენ იშვა სულიერად; იშვა დედაკაცისაგან, რაღთა შენ არღარა დედაკაცისა შვილ გენოდებოდის, არამედ შვილ ღმრთისა. ამისთვის ორკერძოდ იყო შო-ბად მისი: ერთითა მით კერძოდთა მსგავსი ჩუენდა და მეორითა – უზეშთა-ესი ჩუენისა მის შობისა, რამეთუ შობად იგი დედაკაცისაგან მსგავს არს ჩუენდა, ხოლო რომელი-იგი არა სისხლისაგან, არცა ნებითა ჭორციადთა, არცა ნებითა მამაკაცისათა, არამედ სულისაგან წმიდისა იქმნა ძალი და საქმე შობისა მისისად, ესე უზეშთაეს იყო ჩუენსა და ყოფადსა მას შობა-სა მოასწავებდა, რომლისა ეგულებოდა მონიჭებად ჩუენდა სულისა მიერ წმიდისა, და სხუარცა ყოველივე მისი ეგევითარი იყო. ეგრეთ იყო ნათლის-

<sup>1</sup> ბარუქ 3,38.

ღებადცა, აქუნდა ნაწილი ძუელისაგანცა და ახლისა, რამეთუ რომელ-იგი წინანარმეტყუელისაგან ნათელ-იღო და მოუდრიკა თავი წინამორბედსა, ძუელსა მას გამოაჩინებდა, ხოლო სულისა წმიდისა გარდამოსლვად ახალ-სა ამას მოასწავებდა. და ვითარცა-რად შორის ორთა ვიეთმე ურთიერთას განშორებულთა დადგამცა ძლიერი ვინმე და განმარტნა მჯარნი და უპყრამცა ერთსა მას მარჯუენითა და მეორესა მარცხენითა და მოიზიდნა და ურთიერთას შეაერთნა, ეგრეთ ყო ქრისტემან: შეაერთა ძუელი იგი ახალსა, საღმრთოდ ბუნებად – კაცობრივსა, თვისი იგი – ჩუენსა ამას. იხილეა ქალა-ქისა ამის ზემოქსენებულისა ელვარებად? ვითარ შესლვასა ოდენ კარისასა განგაბრნყინვა, ვითარ მეყსა შინა გიჩუენა მეუფე ჩუენითა ამით ხატითა, ვითარცა განწყობილსა შორის ქუეყანისაცა მეფე შევიდის რად განწყო-ბილსა ბრძოლად წინააღმდეგომთა, არა ემოსის თვისი იგი სამკაული, არა-მედ პორფირი და გკრგვნი თვისი აღიძუარცის და სახე მჯედრისად შეიმოსის, რადთა არა საცნაურ იყოს, და მის ზედა მივიდენ ყოველნი იგი მპრძოლნი. ხოლო აქა არა ესრეთ, არამედ დაფარა ქრისტემან თვისი იგი დიდებად ჩუ-ენითა ამით სახითა, რადთა არა იცნას იგი მტერმან და ივლტოდის მისგან, არამედ ჰერონებდეს, თუ კაცი არს ლიტონი, და ბრძოლად მოუკდეს, რადთა არა იხილონ კაცთა ღმრთებად და განილინენ, რამეთუ ცხორებად მოვიდა კაცთა, არა განკვრვებად, ამისთვისცა თავსავე ზედა ესე უწოდა მას სახელი სახარებამან, იესუ რად სახელ-სდვა; რამეთუ იესუ არა ბერძულითა ენითა არს, არამედ ებრაულითა, რომელ-ესე მაცხოარ ითარგმანების; ხოლო მაც-ხოარ ეწოდა, რამეთუ აცხოვნა ერი თვისი, და სახელი ესე საცნაურ იყო შო-რის ჰურითა. რამეთუ ვინათგან საქმეთა საკვრველებისათა ეგულებოდა ქმნად უფალსა, ამისთვის სახენიცა საქმეთანი წინააღმარტინი ქუეყანა-სა მას აღთქუმისასა, იისუ ეწოდებოდა და იყო სახედ იესუ ქრისტესა. ან იხილე სახე და იხილე ჭეშმარიტებად: მან ქუეყანასა აღთქუმისასა შეიყვანა ერი იგი, და ამან ზეცას და ზეცისა სასუფეველსა შეიყვანა ერი თვისი; მან – შემდგომად მოსეს აღსრულებისა, და ამან – შემდგომად დაცხრომისა ძუელისა მის რჩულისა; იგი ერისთავი იყო, და ესე – მეუფე და ღმერთი. არამედ რადთა არა მსგავსებითა მით სახელისათა შესცო, ამისთვის შეს-ძინა: „იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი“, რამეთუ იგი არა დავითის ძე იყო, არამედ სხვასა ტომისაგან.

ხოლო რაღასათვს „წიგნი შობისად იესუ ქრისტესი“ უწოდა აღწერილსა ამას, რომელსა შინა არა შობისათვს ოდენ წერილ არს, არამედ ყოვლისათვს განგებულებისა კაცთა შორის ქცევისა მისისა? ვითარ უკუე წიგნად შობი-სა უწოდა? ამისთვის, რამეთუ ესე იყო თავი ყოვლისა მის განგებულებისად, დასაბამი და ძირი ყოველთა მათ კეთილთად, და ვითარცა-იგი „წიგნი ცისა და ქუეყანისა“ თქუა მოსე, გარნა არა ცისა და ქუეყანისათვს ოდენ აღწერა მას შინა, არამედ სხუად ყოველივე, რავდენი-იგი უწყით აღწერილი „და-

ბადებასა“ შინა, ეგრეთვე ამან უაღრესისა მის და უდიდებულესისაგან და რომელი იყო საფუძველი ყოვლისადვე, მისგან უწოდა სახელი აღნერილსა მას, რამეთუ ესე იყო სავსე საკურველებითა, საქმე მოულოდებელი და მოუგონებელი, რადთამცა ღმერთი კაც იქმნა და დედაკაცისაგან იშვა. ხოლო ვინათგან ესე იქმნა, სხუად იგი ყოველივე სამართლად შეუდგა. ამისთვის საკურველისა მის დიდებულისაგან ყო დაწყებადცა წიგნისა თვისისად მახარებელმან და სახელიცა და ღაღატ-ყო: „წიგნი შობისად იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აპრაპამისი“. რადსათვის არა თქუა პირველად, ვითარმედ: „ძისა აპრაპამისი“ და მერმელა „ძისა დავითისი“? რამეთუ არა თუ უკუანასკუნელთაგან პირველთა მიმართ ენება აღსლვად, ვითარ-იგი ლუკა ქმნა, არამედ პირველთაგან შემდგომთა მომართ ჰყოფს ესე თხრობასა თვისა. ვითარ უკუე დავით აქსენა პირველად? ამისთვის, რამეთუ დავით პირსა შინა ყოველთასა იყო დიდებულებისათვის მისისა და რომელ არა ადრე აღსრულებულ იყო, ვითარ-იგი აპრაპამ. და ღაღაცათუ აღთქუმად ღმრთისად ორთავე მიმართ იქმნა, არამედ აპრაპამისი იგი, ვითარცა ადრინდელი, მივიწყებულ იყო, ხოლო დავითისი, ვითარცა ახლად ყოფილი, ყოველთა მიერ იქადაგებოდა. ამისთვის ისმინე, რასა იტყვან ჰურიანი: „არა წინანარმეტყუელი იტყვსო, ვითარმედ თესლისაგანი დავითისა და ბეთლე-მით დაბით, სადა იყო დავით, მიერ ქრისტე მოვიდეს?“<sup>1</sup> და არავინ იტყვოდა ქრისტესა ძედ აპრაპამისა, არამედ ძედ დავითისა იტყოდეს ყოველნივე, რამეთუ, ვითარცა ვთქუ, მახლობელობისათვისცა უამისა და მეფობისათვის უმეტესად იქსენებოდა ყოველთა მიერ. ამისთვისცა შემდგომთა მათ მისთა მეფეთა, რომელთაცა პატივ-სცემდეს, დავითისგან პატივ-სცემდეს, არა კაცნი ოდენ, არამედ ღმერთიცა. რამეთუ ეზეკიელ და სხუანი იგი წინანარმეტყუელი იტყოდეს მოსლვასა და აღდგომასა დავითისასა, არა თუ მიცვალებულსა მას და აღსრულებულსა იტყოდეს კუალად მოსლვად, არამედ მიმსგავსებულთათვის სათნოებისა მისისათა. და ეზეკიას პრქუა ღმერთმან: „შევენიო ქალაქესა ამას ჩემთვს და დავითისთვის, მონისა ჩემისა“.<sup>2</sup> და სოლომონსა პრქუა, ვითარმედ: „დავითისთვის არა განიყოს მეფობად იგი დღეთა შენთა ზე“.<sup>3</sup> და ესრეთ ყოვლით კერძო დიდ იყო სახელი დავითისი წინაშე ღმრთისა და კაცთა. ამისთვის რომელი-იგი უსახელოვნეს და უმახლობელეს იყო, იგი აქსენა პირველად და მერმე აპრაპამ შემოიღო შორის, რამეთუ ებრაელთა მიმართ უზეშთაეს აპრაპამისა წსენებად არა ჯერ-იჩინა, რამეთუ ესენი იყვნეს სახელოვან უფროდს ყოველთასა: ერთი იგი, ვითარცა წინანარმეტყუელი და მეფე, და მეორე, ვითარცა მამათმთავარი და წინანარმეტყუელი.

იტყვან უკუე მრავალნი, ვითარმედ: ვინად საცნაურ არს, თუ დავითის ტომისაგან იშვა ქრისტე, ვინათგან არა თესლისაგან მამაკაცისა იშვა, არა-

<sup>1</sup> იოან. 7,42.

<sup>2</sup> 4 მეფ. 19,34.

<sup>3</sup> შდრ. 3 მეფ. 11,34.

მედ დედისაგან ქალწულისა? ხოლო ქალწულისა მის ტომთა სახელი არა ჯსენებულ არს სახარებასა შინა; ვინად ვისწაოთ, თუ დავითის ტომისაგან იყო ქალწული იგი? რამეთუ ორი ესე საძიებელ არს: რაღათვს დედისა მის ქალწულისა, რომლისაგან იშვა ქრისტე, თესლ-ტომი არა აქსენა? და რაღ-სათვს იოსებ, რომელსა არარად აქუნდა მთავრებად შობასა შინა ქრისტესსა, ესრეთ ჯშირად და გამოძიებით აქსენა, თუ რომელთა ტომთა ანუ ნათესავ-თაგანი იყო? რამეთუ ერთი ესე ნამეტნავად ჩანს და ერთი იგი – ნაკლუ-ლევნად. ან უკუე ვთქუათ ამის პირისათვს მადლითა უფლისამთა. რომელ-ნი იტყვან, თუ: ვინად ვისწაოთ, ვითარმედ ტომისაგან დავითისა იყო ქალ-წული იგი, ისმინონ ბრძანებად ღმრთისა გაბრიელის მიმართ მთავარან-გელოზისა, ვითარცა იტყვა მახარებელი: „და თუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეასა, რომლისა სა-ხელი ნაზარეთ, ქალწულისა, თხოვილისა ქმარსა, რომლისა სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისი“.<sup>1</sup> სიტყუად ესე, ვითარმედ: „სახლისაგან და ტომისა დავითისი“, ქალწულისათვს თქუმულ არს და არა იოსებისთვს. აპა ესერა გესმა განცხადებულად, ვითარმედ სახლისაგან და ტომისა და-ვითისი იყო ქალწული იგი. და იაკობცა მამათმთავარი იუდას ტომისა-გან მოასწავებდა გამოჩინებად სასოებასა მას ნარმართთასა, ვითარმედ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდასეგან, ვიდრემდის მოვიდეს სასოებად იგი ნარმართთად“.<sup>2</sup> არამედ სიტყუად იგი მამათმთავრისა იუდას ტომისაგან იტყვა, ხოლო დავითისთვს არას მოასწავებს, რამეთუ ტომისა შინა იუდაეს-სა არა დავითისი ოდენ იყო სახელი, არამედ სხუანიცა მრავალნი. ხოლო რათა არა სთქუა, თუ: ვითარ გულისჯმა-ვყო, ვითარმედ დავითის ტომი-საგან იყო მარიამ, ამისთვს გაუნყა მახარებელმან, ვითარმედ: „სახლისა-გან და ტომისა დავითისი, და სახელი ქალწულისა მის მარიამ“. ამას ზედა სხუადცა მიგითხრა უწყებად მის საქმისა: რჩული იყო ებრაელთა შორის, რათა არავის ჭელ-ენიფებოდეს სხვასა ტომისაგან სხუად ტომად განთხო-ებად ანუ ქორწინებად, არამედ ვითარცა იყვნეს ათორმეტნი ტომნი ძეთა ისრატლისათა, თითოეულისა ტომისა ერი ურთიერთას შეერთვოდეს და არა სხვასა ტომისაგან ოდენ, არამედ არცა სხვასა სახლისაგან, რომელ არს თვესებად, ჭელ-ენიფებოდა ქორწინებად. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არ-ცა იოსებს ჭელ-ენიფებოდა მოყვანებად ქალწული იგი სხვასა ტომისაგან. ან უკუე სიტყუად იგი, ვითარმედ: „სახლისაგან და ტომისა დავითისა“, გინა თუ ქალწულისათვს თქუმულად დავამტკიცოთ, მტკიცე არს სიტყუად იგი; გინა თუ ვინ იოსებს მიაჩემოს, იგივე საქმე გამოჩინდების, რამეთუ უკუეთუ იოსებ სახლისაგან და ტომისა დავითისა იყო, არა ჭელ-ენიფებოდა სხვასა ტომისა დედაკაცსა მითხოებად მისდა, გარნა მისვე სახლისა და ტომისა-გან. ვინათგან ესე ესრეთ არს, ჩანს განცხადებულად, ვითარმედ ქალწუ-

<sup>1</sup> ლუკ. 1,26-27.      <sup>2</sup> დაბ. 49,10.

ლიცა იგი წმიდად თესლისაგან იყო დავითისა. იტყვან უკუე წინააღმდეგომნი იგი, ვითარმედ: ჰე, ეგრეთ იყო წესი რჩულისა, გარნა ვინ უნყის, თუ გარდაპქნა რჩულსა იოსებ და სხვაგან ტომისა მოიყვანა? არამედ სიტყუად ესე ცოფთად არს და უგუნურთად. არა გესმისა, რასა წამებს მისთვის სახარებად, ვითარმედ იოსებ კაცი იყო მართალი, რამთა სცნა სათნოებად მისი და არღარას ესევითარსა იგონებდე; რამეთუ რომელსა-იგი არავის წელ-ენიფებოდა ქმნად, ვითარ ეგების, თუმცა მართალმან მან ქმნა? და ესეცა სიტყუად ჩუენ შორის მტკიცე არს მამათა მიერ, ვითარმედ წამებითა და განგებითა ზაქარია მღდელისათა და სხუათა მათ მღდელთათა მიეთხოა ქალწული იგი იოსებს. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ გარეგან რჩულისა ზაქარია არას იქმოდა. ამის ყოვლისაგან გამოჩინებულ არს, ვითარმედ ნათესავისაგან დავითისა იყო წმიდად ქალწული მარიამ, გარნა არა სოლომონის ნაშობთაგან, არამედ ნათანისთა, ძისა დავითისა, რომლისა შობათა წარმოიტყვს ლუკა მახარებელი. რამეთუ ამის ნათანისა, ძისა დავითისა შვილთაგან იყო ვინმე ლევი, რომელსა აწსენებს ლუკა და იტყვს: „იოსებისა, ელისა, მელქისა, მატთანისა, ლევისა“!<sup>1</sup> ამან ლევი შვა მელქი და პანთერ, პანთერ შვა ვარპანთერ, ვარპანთერ შვა იოაკიმ, იოაკიმმან შვა წმიდად ღმრთისმშობელი. აპა ესერა გიჩუენე განცხადებულად, ვითარმედ ტომთაგან დავითისა იყო წმიდად ქალწული მარიამ.

ხოლო მეორისა მისთვის საძიებელისა, რომელსა იტყვან, ვითარმედ: რადასათვს წარმოიტყვს იოსების მშობელთა და პაპისპაპთა, რად საქმე აქუნდა იოსებს შობასა ქრისტესა? ამას ვიტყვთ: არა იყო რჩული ებრაელთა შორის დედაკაცისა თესლ-ტომსა აღწერად, და არცა სადა იპოების ესე ძუელთა შინა წიგნთა, ხოლო მახარებელსა ენება გამოჩინებად, ვითარმედ დედად ქრისტესი დავითის ტომისაგან იყო, და კეთილად. ვინაათგან ებრაელთა მიმართ იყო აღწერილი ესე სახარებად, წესისაებრ რჩულისა უნდა აღწერისა ამის ქმნად, რამთა უმეტესად სათნო და შესაწყნარებელ იყოს და რამთა თავსავე ზედა არა დამჯსნელ რჩულისა იპოოს. ამისთვის დაიდუმა უამისად მშობელთათვს ღმრთისმშობელისათა თქუმად და იოსებისნი წარმოთქუნა. რამეთუ უკუეთუმცა ქალწულისანი წარმოეთქუნეს, წინააღუდგებოდა რჩულსა, და უკუეთუმცა იოსებისნიცა დაედუმნეს, ვითარმცა გუეცნა, თუ დავითის ტომისაგან იყო ქალწული? ან უკუე რამთა ვცნათ, ვინად იყო ქალწული მარიამ, და რამთა რჩულისა წესი შეურყეველად ეგოს, ქმრად წოდებულისა მის მშობელნი აქსენნა და გამოაჩინნა, ვითარმედ სახლისაგან დავითისა იყო, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ესე რად გამოჩინდეს, იგიცა განცხადებულ არს, ვითარმედ ქალწულიცა ტომისაგან დავითისა იყო, ვითარცა ზემო ვთქუ, ვითარმედ არავის წელ-ენიფებოდა სხვა ტომისაგან სხუად ტომად განთხოებად. არს უკუე სხუადცა მიზეზი, რომლისათვის არა

<sup>1</sup> შდრ. ლუკ. 3,23-24.

იქსენნეს მშობელნი იგი ქალწულისანი, უღრმესირე. გარნა არა არს აწ ჟამი თქუმად, რამეთუ ფრიად განგრძელდების სიტყუად ჩუენი.

რამთა არა საწყინო თქუენდა იქმნას, ამისთვის სიტყუად ესე ძიებისად დღეს აქა აღვასრულოთ და თქუმულნი ესე დავისწავლნეთ, თუ ვითარ წიგნი შობისად თქუა, ვითარ იესუ ქრისტე აქსენა, რადსათვის დავით შორის შემოილო, ვითარ მსგავს ჩუენდა არს შობად ქრისტესი და ვითარ უზეშთაეს ჩუენსა, რადსათვის ღმრთისმშობლისა მშობელნი დაიდუმნა, ანუ რადსათვის იოსებისნი წარმოთქუნა. ესე ყოველი და სხუად, რავდენიცა მიგითხრა, უკუეთუ დაიმარხოთ გონებათა შინა, გულსმოდგინე ვიყო მომავალსაცა დღესა სხვსა მრავლისა მითხრობად, უნდეს თუ ქრისტესა. უკუეთუ კულა პირველთქუმულთა არა ყურად-იღებდეთ, არცა გულთა შინა აღწერდეთ, უდებ ვიქმნეთ უმეტესისა თქუმად.

## სწავლად ბ გულსმოდგინედ წურთისათვის წერილთადსა

რამეთუ დასთესის რად მუშაკმან თესლი ყანასა თვესსა და არა აღმოაცენის, და კუალად დასთესის და არავე ნაყოფიერ იქმნის, ძლითლა ჯელ-ყვის ყანისა მის თესვად. ამისთვის გევედრები, ინურთიდით მარადის საღმრთოთა მათ სიტყუათა, რამეთუ დიდი სარგებელი არს სულისად საქმე ესე და დიდთა კეთილთა მომატყუებელი. რამეთუ ვინურთიდეთ თუ სიტყუათა ღმრთისათა, მარადის სათნო-ვეყვნეთ უფალსა, და სულისა წმიდისა მადლი მოვიდეს ჩუენდა და განანათლნეს თუალნი გონებისა ჩუენისანი, და ესრეთ საშინელ ვიყვნეთ ეშმაკისა. ანუ არა უწყითა, ვითარმედ ამისთვის მომცა ჩუენ ღმერთმან თუალნი და ყურნი და პირი და სასმენელნი, რამთა ყოველნი ასონი ჩუენი მას ჰმსახურებდენ, რამთა პირი ჩუენი სიტყუათა მისთა ინურთიდეს, მას უგალობდეს დაუცხომელად, მისა შევსწირვიდეთ მადლობასა, რამთა სასმენელნი ჩუენნი მცნებათა მისთა ისმენდენ, თუალნი ჩუენი საღმრთოთა წერილთა აღმოიკითხვიდენ, ჯელნი ჩუენი იქმოდინ საქმეთა სათნოებისათა, და გონებად ჩუენი განწმედილ იყოს ყოვლისაგანვე ნივთისა ვნებათადსა. რამეთუ ვითარცა ჭორცნი იყვნენ რად ჰაერსა შინა კეთილსა, მრთელ არიან, ეგრეთვე სული ესვეითარსა რად წურთასა შინა იყოს, მარადის განწმედილ არს ყოვლისაგანვე ბოროტისა და განთავისუფლებულ სენთა მათგან ცოდვისათა. არა ჰედავა თუალთა მათ ჭორციელთა, ოდეს კუამლსა შინა იყვნენ, ვითარ ცრემლოიან და მრღვე არიან? ხოლო იყვნენ რად ჰაერსა კეთილსა, სამოთხეთა შინა ყუავილოანთა და წყაროთა ზედა გრილთა, ვითარ მრთელ და კეთილადმხედველ არიან? ეგრეთ არიან თუალნიცა სულისანი: ოდეს სამოთხესა შინა საღმრთოთა სიტყუათასა ვიქცეოდით, ფრთხილ არიან და კეთილადმხედველ, ხოლო შევიდეთ რად

კუამლსა მას შინა, საქმეთა სოფლისათა, ცრემლი და ტირილი ხუდების მათ აქაცა და მერმესა მას, რამეთუ ნანდკლვე კუამლისა მსგავს არიან კაცობრივი საქმენი. ამისთვისცა წინაწარმეტყუელი იტყვს: „მოაკლდა, ვითარცა კუამლსა, დღეთა ჩემთა“;<sup>1</sup> არამედ იგი მსწრაფლ წარმავალობასა მათსა მოასწავებდა, ხოლო მე არა ამისთვის ოდენ, არამედ შფორთისა მისთვისცა და დაუდგრომელობისა მათისათვის ვიტყვ მსგავსებად კუამლისა.

ჭეშმარიტად არარა არს ესრეთ აღმამრღუეველ თუალთა სულისათა და დამაბნელებელ, ვითარ საწუთოროსა ზრუნვანი და გულისთქუმათა არმური. ესე არიან ნივთ საჯუმილისა მის და აღმტეობელ კუამლისა მის; და ვითარცა ცეცხლსა დაერთოს რა შეშა ნედლი და სუელი, ფრიადი აღუტევის კუამლი, ეგრეთვე გულისთქუმამან ბოროტმან რაჟამს პოის სული აღვესებული მწკრითა მით დაჯსნილობისათა, კუამლი წშირი განამრავლის ვნებათად. ამისთვის საწმარ არს ჩუენდა ცუარი იგი და ნიავი სულისა წმიდისად, რამთა საწუმილი იგი დაშრიტოს და კუამლი განაქარვოს და გონებად ჩუენი განანათლოს, რამეთუ ვიდრემდის ესევითარითა მით კუამლითა დაბნელებულ ვიყვნეთ და ვნებათა სიმძიმითა დამძიმებულ, ვერ წელგუენითების ზეცად აღსლვად. რამეთუ ფრიადი სიფრთხილე თუალთა მიერ სულიერთად და განწმედად ცოდვათაგან გკლირს, რამთა მოვიდეს ჩუენ ზედა მადლი სულისა წმიდისად და წარმიძღუს გზასა მას ზეცისასა. რამეთუ არა თუ იგი მოვიდეს ჩუენ ზედა, შეუძლებელ არს გზისა მის პოვნად. ხოლო იგი, უკუეთუ არა წმიდა-ვყვნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან ბოროტისა, არა დაიმკუდრებს ჩუენ შორის. ამისთვის, ძმანო, ვისწრაფოთ განდევნად ყოველთავე ვნებათა ჩუენგან, ვისწრაფოთ განწმედად თავთა ჩუენთა წურთითა საღმრთოთა სიტყუათათა, განვეშორნეთ ზრახვათა სოფლიოთა და ცუდთა, რომელთა შინა არარა არს კეთილი, არამედ ყოველივე მავნებელ. რამეთუ რომელი-იგი სულისა სარგებელ იყოს, ღმრთისაცა საყუარელ არს, ხოლო რომელი-იგი მავნებელ იყოს სულისა, შემაწუხებელ არს უფლისა და სათნო ეშმაკისა. ანუ არა ესრეთ არსა, ოდეს ვიწყოთ ზრახვათა ამაოთა, ოდესმე ვიცინოდით, ოდესმე ვიკიცხეოდით, ძრისა ვზრახვიდით, ვტყუოდით, ვფუცვიდით, ზღაპართა ვიტყოდით, რაღ-იგი ჩუენდა არა საურავ არნ, მას ვზრუნვიდით, ხოლო ფსალმუნებასა შინა და ლოცვასა და წიგნის-კითხვასა დამძიმებულ და დაჯსნილ ვიყვნით, ვერ ძალ-გუედვის საღმრთოთა სიტყუათა მცირედთაცა დასწავლად, ხოლო საეშმაკოთა შინა უმწურვალეს ცეცხლისა ვიპოვნით. მრავალნი არიან აქა მდგომარენი, რომელნი უკუეთუ ვინ განიკითხეს და ჰერიტენეს, სიმღერანი და საეშმაკონი წმანი და სატრფიალონი სიტყუანი მრავალნი და მრავალსახენი წარმოთქუნენ და საღმრთოთა სიტყუათაგანი არცა თუ ერთი რა იცოდინ. არამედ რასა მომიგებენ ესევითარისა მოქმედნი იგი? არა თუ ჩუენ მონაზონნი

<sup>1</sup> ფსალმ. 101,4.

ვართო, არამედ სოფელსა შინა ვიქტორით და სოფლისა საქმეთა ვზრუნავთ, ხოლო ეგევითარი ეგე მონაზონთა საქმი არს, რადთა ფსალმუნთა და ლოცვათა წურთიდენ და წიგნთა იკითხვიდენ, ხოლო ჩუენ ჩუეულ ვართ მღერასა და განფრთხობასა.

ჭ სიტყუანი ბოროტნი! ჭ გულისიტყუანი წარმნებიდელნი! ამათ ყვეს ყოველივე უკეთურებით, რომელ ეგრე გგონიეს, თუ მონაზონთათვს დაწესებულ არს წიგნთა კითხვაზ, და არა უწყით, ვითარმედ თქუნდა უმეტესად საჯმარ არს ესე წამალი, რომელნი-ეგე მარადლე მოიწყლვით ეშმაკისა მიერ. ან უკუე არაკითხვისა ფრიად ესე უძკრეს არს, რომელ ეგრეთცა გაქუს, თუ არა საჯმარ არს თქუნდა, არცა თანანადებ კითხვაზ და წურთად საღმრთოთა სიტყუათად. არა გესმისა, რასა იტყვს მოციქული პავლე, ვითარმედ: „ესე ყოველი სწავლად ჩუნდა დაიწერა“.<sup>1</sup> წუუკუე მონაზონთათვს თქუა ესე? არა ყოველთა მორწმუნეთათვს იტყვსა? ანუ უფალმან მცნებანი თვისნი არა ყოველთა მორწმუნეთა მისცნა? ისმინეთ, რასა ეტყვს მოციქულთა: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისადთა და ძისადთა და სულისა წმიდისაზთა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რავდენი გამცენ თქუნენ“.<sup>2</sup> ვითარ უკუე იტყვთ, თუ მონაზონთა ხოლო უწმს კითხვაზ და სმენაზ წერილთად? თქუნენ არა გიქმსა?

იხილენ კაცად-კაცადმან თავი თვისი, თუ ვითარ არს გონებაზ მისი, ოდეს ლოცვაზ ესმოდის, ანუ ვითარ არს, ოდეს სიმღერაზ ესმოდის, ვითარ არს, ეკლესიასა შინა რად იყოს, და ვითარ არს თეატრონსა შინა. და ცნას ცვალებაზ იგი სულისად, თუ ვითარ ერთი იგი სული აქა სხუად შეიცვალების და მუნ – სხუად. ამისთვის იტყვს მოციქული: „განრყუნიან წესნი კეთილნი ზრახვათა ბოროტთა“.<sup>3</sup> ამისთვის გვლირს ზედაესზედა სმენად სიტყუათა საღმრთოთა, რადთა ჩუნენი იგი ბოროტნი წესნი კეთილად მოიქცენ. არა უწყითა, რამეთუ ამით ოდენ უაღრეს ვართ პირუტყუეთასა, რომელ პირმეტყუელ ვართ? ხოლო სხვთა უმრავლესითა უდარეს ვართ მათსა: ძალითა და სიმალითა და სხვთა ესევითარითა. ან უკუეთუ პირმეტყუელებაზცა ჩუნენი უძკრეს მათისა მის პირუტყუებისა იყოს, არა დიდად დასასჯელ ჩუნდა იქმნასა?

საზრდელ სულთა ჩუნენთა სიტყუანი ღმრთისანი არიან, და ნაკლულევანებაზ მათი სიყმილად წოდებულ არს. რამეთუ იტყვს უფალი წინა-წარმეტყუელისა მიერ: „მივსცე მათ არა სიყმილი პურისაზ ანუ წყურილი წყლისაზ, არამედ სიყმილი სმენად სიტყუათა უფლისათა“.<sup>4</sup> რად უკუე უძკრეს არს ამისა ოდენ? რომელ-იგი უფალმან სატანჯველად რისხვისა თქუა, შენ ნეფსით თვისით მოაწიო სულსა ზედა შენსა – სიყმილი იგი ბოროტი. არა ჰედავა, ვითარმედ სული სიტყუათაგან თითოსახედ იცვალების?

<sup>1</sup> შდრ. 1 კორ. 10,11.

<sup>2</sup> მათ. 28,19-20.

<sup>3</sup> შდრ. 1 კორ. 15,33.

<sup>4</sup> ამოს 8,11.

სიტყუამან აღძრას იგი რისხვად, სიტყუამან დაამშებდის კუალად, სიტყუამან ბილწმან აღაზრზინის გულისთქუმად, სიტყუამან სიწმიდისამან შეაყუარის სიწმიდე. ვინათვან უკუე სიტყუათა ლიტონთა ესოდენი ძალი აქუს, ვითარ წმიდათა წერილთა შეურაცხ-ჰყოფ, რომელთა შინა ძალი სულისა წმიდისად არს და ამისთვის ძალ-უც სულთა მათ განფიცხებულთა სწავლითა მოლბობად უმეტეს ცეცხლისა, უკუეთუ სარწმუნოებით მოუკდენ. ეგრეთ კორინთელნი იგი გულფიცხელნი მოალბნა პავლე სწავლითა თვისითა, ვითარცა ცკლი ცეცხლმან, ვითარცა-იგი თავადი წამებს, რამეთუ ისმინეთ, რასა მიუწერს: „რამეთუ აპა ესერა მანვე ღმრთისა მიერ მწუხარებამან მაგან თქუენმან რავდენი შექმნა თქუენ შორის სწრაფად, რავდენი მომადლებად, ანუ რავდენი ლხინი, რავდენი შიში, რავდენი სურვილი, რავდენი შური, ანუ რავდენი შურის-გებად“.<sup>1</sup> ესე ყოველი სწავლამან მოციქულისამან ქმნა მათ შორის. ესრეთ ძალ-უც სიტყუათა საღმრთოთა, ესრეთ მცირეთა და დიდთა სარგებელ არიან.

იხილეთ დავით, ოდეს იგი დიდსა მას ცოდვასა შთავარდა, ესმნეს რად სიტყუანი კეთილნი, მოვიდა სინანულსა მას დიდებულსა.<sup>2</sup> იხილენ მოციქულნიცა, არა სიტყუათა მათ უფლისათა სმენითა მოვიდეს საზომსა მას და ყოველი სოფელი მოიმონაფეს? და რად სარგებელ არს, იტყვნ ვინმე, უკუეთუ ვისმენდეთ სიტყუათა საღმრთოთა და არა ვიქმოდით? არს ესრეთცა დიდი სარგებელი: აბრალოს თავსა თვისსა, სულთ-ითქუნეს, რომელსა ესმოდინ სიტყუანი საღმრთონი, ცრემლობდის, და უკუეთუ შეეკშიროს სმენასა მას, გინა დღეს, გინა ხვალე, მოსლვად არს საქმედცა. ხოლო რომელი ყოვლადვე არა ისმენდეს, ვინად ცნას თითოეულისა ცოდვისა ბრალი, ვითარ აბრალოს თავსა თვისსა, ოდეს მოიწყდოს ცოდვად, ოდეს იწყოს სინანულად? ამისთვის გევედრები, ნუ გარეწარად გაქუს სმენად და წურთად წერილთა მათ საღმრთოთად, რმეთუ ეშმაკსა მძიმედ უჩნს ესე და არა ჰებაკს. ამისთვის იგი გუაყენებს, რაღთამცა არა ვიხილეთ სიმდიდრე იგი სულიერი, არცამცა მოვიგეთ იგი; ამისთვის გუეტყვეს არა სმენად, რაღთა არა საქმესაცა კეთილსა ჭელ-ვყოთ. ხოლო ჩუენ გულისჯმა-ვყოთ ბოროტი იგი ღონე მისი და ყოვლით კერძო შევიზღუდნეთ თავინი ჩუენი, რაღთა ჩუენცა მოუწყლველ ვიყვნეთ და მისი იგი ბოროტი თავი შევმუსროთ და ესრეთ ბრწყინვალე იგი ძლევისა გვრგვი მოვიღოთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვენეთ მადლითა და კაცომოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> 2 კორ. 7,11.

<sup>2</sup> შდრ. 2 მეფ. 12,13.

## თავი 8

სიტყუად იგივე: „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჟამისი“ (1,1).

აპა ესერა მესამე დღე არს ესე, ვინათგან ვიწყეთ სიტყუად და ჯერეთ დაწყებად სახარებისად ვერ განგიმარტეთ. არა ცუდად სადმე ვიტყოდე, ვი-თარმედ ფრიადი სილრმე აქუს ძალსა ამათ სიტყუათასა. მოედით უკუე, ნაკლულევანებად იგი დღეს ალვასრულოთ და ვიზილოთ, თუ რად წინაგვც საძიებელად. ეძიებენ ჯერეთ მეძიებელნი იოსებისთვეს, თუ რავსათვეს იტყვს მშობელთა მისთა, ვინათგან არა აქუს ზიარებად შობასა შინა ქრისტესა, ანუ რავსათვეს ყოვლადცა მითხოილ იქმნა მისდა ქალნული. არა უმჯობეს იყოა, რავთამცა სრულიად უთხოელ იყო, ვინათგან უთესლოდ ეგულებოდა შობად ქრისტესი? ამის უკუე ესევითარისათვეს ვთქუთ ზემოცა, ვითარ-მედ: ინება მახარებელმან, რავთა რჩულისაცა წესი დაიმარხოს, რომელი არა შეუნდობდა დედათა თესლ-ტომისა აღწერად, და ამისთვეს იოსებისთვეს ყო სიტყუად თვესი, რამეთუ ესეცა რჩული იყო მტკიცე, რავთა სხვას ტომი-საგან სხუასა ტომსა ვერ შეერთოს; ვინათგან უკუე გამოაჩინა იოსებისი, ვითარმედ სახლისაგან დავითისა იყო, გამოჩნდებოდა, ვითარმედ ქალნუ-ლიცა მისვე სახლისად იყო. თუ არა, ვერმცა მითხოილ იყო მისა.

ან კუალად სხუადცა ვთქუა სიტყუად და თუ რავსათვეს მიეთხოა ქალ-ნული იოსებს; და ნუ ურწმუნო იქმნებით, რამეთუ არა ჩემი არს სიტყუად ესე, არამედ მამათა საკვრველთა და აღვსებულთა სულითა წმიდითა. არა ენება ღმერთსა პირველ შობისავე გამოცხადებად ჰურიათა შორის, ვითარ-მედ ქალნულისაგან იშვების ქრისტე, რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა შეიწ-ყნარებენ ურწმუნონი იგი და გულფიცხელნი; და სხუასაცა მრავალსა არა განცხადებულად ეტყოდა მათ ქრისტე პირველითგანვე; ამისთვესცა ძედ კა-ცისა სახელ-სდებს თავსა და სწორებასა მას მამისასა არა მრავალგზის მი-უთხობდა განცხადებულად. რად საკვრველ არს, თუ ესეცა ინება პირველ დაფარვად დიდისა რავსმე განგებულებისათვეს. და რად იყო განგებულებად იგი? უკუეთუმცა განუთხოელად ეშვა ქალნულსა, არა დაირწმუნებდეს ჰუ-რიანი, ვითარმედ უთესლოდ შვა, არამედ უკეთურებითა მათითა დასდვეს-მცა ბრალი მრუშებისად და ქვამცა დაპკრიბეს; რამეთუ სხუათა მათ საქ-მეთად აქუნდეს პირველყოფილნიცა სახენი და არავე ჰრწმენა ქრისტესი, არამედ ურცხვნოთა მით გონებითა წინააღუდგებოდეს განცხადებულად; და ეშმაკთა რად განასხამნ, ეშმაკეულად ხადოდეს, და შაბათთა რად იქმნ კურნებასა, დამწსნელად რჩულისა იტყოდეს და არა გულისჯმა-ჰყოფდეს, ვითარმედ პირველცა მრავალგზის დაიჭინა შაბათი და იქმნეს სასწაულნი. უკუეთუმცა ესე ესმა, ვითარმედ ქალნულმან უთესლოდ შვა და ქალნულად ეგო (საქმე, რომელ არასადა სმენილ იყო დასაბამითგანთა მათ წელთა),

რადმცა არა თქუეს, ანუ ოდესმცა თავს-იდვეს ყოვლადვე? უკუეთუ შემ-დგომად ესოდენთა სასწაულთა ძედ იოსებისა უწოდდეს, პირველ სასწა-ულთა ქმნისა ოდესმცა ჰრწმენა უგუნურთა მათ და მემრუშეთა საკურველი ესე დიდებული? და დაღაცათუმცა დაარწმუნა ვინ, არავემცა შეინყნარეს.

და ამის საქმისა წამებად და სახე სხუადცა მოგაროუა, რაღთა სცნათ, ვითარმედ ესრეთ იყო, და ესეცა სიტყუად ჭეშმარიტ არს მამათა მი-ერ თქუმული. ზაქარია წინანარმეტყუელმან, მამამან წინამორბედისა იოვანესმან, რომელსა ახარა ანგელოზმან შობად იგი ბერწისად, რაღთა საკურველსა მას დიდსა ქალწულისაგან შობისასა წინაუძღოდის უმცირესი ესე საკურველი – ბერწისა შობად, ამან ზაქარია, ვინათგან სავსე იყო სუ-ლითა მით წინანარმეტყუელებისაღთა ცნობად დაფარულთა, გულისჯმა-ყო შობად იგი ქალწულისად უთესლოდ და განუხრწნელი საიდუმლო ესე დიდებული; და არა დააყენა დედად იგი უქორწინებელი დგომად ტაძარსა შინა ქალწულთა თანა, რამეთუ იყო ადგილი განჩემებული ქალწულთათვს დასადგომელად ტაძარსა შინა, სადა-იგი არა წელ-ენიფებოდა ქორწინე-ბულთა დადგომად. ხოლო იყო ადგილი იგი შორის ტაძრისა მის და სა-კურთხეველისა განყოფილებად. არა განაყენა უკუე უხრწნელი იგი დედად შემდგომად შობისაცა კრებულისაგან ქალწულთაღსა; და ასწავებდა ჰური-ათა, ვითარმედ მეუფესა მას და დამბადებელსა ყოველთა არსთასა ჰმო-ნებს კაცობრივიცა ბუნებად, ვითარცა სხუანი ყოველნი ბუნებანი, და ვერ ჰმდლავრობს, თუმცა არა წელ-ენიფებოდა ახლისა შობისა შემოღებად, არამედ ძალ-უც და წელ-ენიფების დედისა მის თვისისა ქალწულად დამარ-ხვად და შობად უხრწნელი გამოჩინებად ქუეყანასა ზედა. ხოლო უმადლო-თა მათ ჰურიათა ესმოდა რა, თუ მეუფე იშვების ყოველთად ქალწული-საგან ჰურიასტანს შინა, და არა ენება საქმე ესე, რაღთა არა წელმწიფე-ბასა მისსა დაემორჩილნენ, ამისთვის მღდელი იგი და წინანარმეტყუელი, რომელი ესევითარსა ქადაგებდა შობისა მისთვის დიდებულისა, შეასმინეს ჰეროდეს მიმართ და მოკლეს იგი; წინაშე საკურთხეველისა მის მღდელი მსხუერპლად შეწირეს.

ამისთვის იქმნა მითხოად იგი ქალწულისად იოსებისა, რაღთა ამისთვის გარეგან იქმნას ყოვლისავე ბოროტისა იჭვავან, და რაღთა იყოს იოსებ მონამე სინმიდისა მისისა; რამეთუ ვინათგან იოსებ კაცი იყო მართალი და სათხოე და შევიდავე იჭუსა ბოროტისა, უკუეთუმცა არა ანგელოზი ჩუ-ენებულ იყო და ეუწყა ჭეშმარიტი, რაღმცა არა თქუეს ურჩულოთა მათ და უმადლოთა ჰურიათა, უკუეთუმცა განუთხოელ იყო ქალწული? ანუ ოდესმცა ჰრწმენა შობად ქალწულისად უთესლოდ, საქმე, რომელი პირ-ველთა მათ ნათესავთა შინა არა სმენილ იყო? იოსებს ჰრწმენა ანგელოზი-სა მიერ, ვითარმედ სულისაგან წმიდისა არს, და ვითარმედ ძე ლმრთისად მოვიდა ქუეყანად, ხოლო ურწმუნოთა მათ, რომელნი მარადის წინაალ-მდეგ ქრისტესა იყვნეს, ვინმცა დაარწმუნა? ამისთვისცა მოციქულთა იწყეს

რად ქადაგებად აღდგომისათვეს, ცხადად ქადაგებდეს, რამეთუ იყვნეს პირ-ველქმნილნიცა სახენი მის საქმისანი, დაღაცათუ ესევითარნი არა იყვნეს. ხოლო ამას, თუ ქალწულისაგან იშვა, არა ესრეთ განცხადებულად ანუ ზე-დასზედა იტყოდეს, და არცა თუ უქორწინებელმან მან დედამან იკადრა ყოველთა მიმართ თქუმად ესე. იხილე, ოდეს-იგი წინაშე ერისა ეტყოდა უფალსა ქალწული იგი წმიდაზ, რად ჰრებუ მას: „აპა ესერა მე და მამა შენი გეძიებდით შენ“!<sup>1</sup> რამეთუ ეშინოდა ცილისწამებისაგან ჰურიათადსა. ამისთვეს არცა თუ ანგელოზი უთხრობდეს ყოველთა საიდუმლოსა ამას დიდსა, არამედ მარიამს ხოლო აუწყეს და იოსებს. ხოლო მწყემსთა, ახა-რებდეს რად, არარა მიუთხრეს ქალწულებით და უთესლოდ შობისათვეს. ამის ესევითარისა საქმისათვეს იქმნა განგებულებით მითხოად იგი, რაღ-თა ქალწულებაზცა პატივ-იცეს და ქორწინებაზცა წესიერი არა შეურაცხ იქმნას. რამეთუ ქალწულებაზ, ვითარცა პატიოსანი და წმიდაზ, გამოირ-ჩია განმზმედელმან მან წმიდათამან და ტაძარსა მას შინა განუხრინელსა დაიმკვდრა. ხოლო მითხოისა მის მიერ გამოაჩინა, ვითარმედ წესიერიცა ქორწინებაზ არა წინააღმდეგომ არს. ხოლო თქუა ვინმე პირველთაგანმან მამათამან სხუაზცა სიტყუაზ, ვითარმედ: ამისთვეს იქმნა მითხოად ქალწუ-ლისაზ იოსებისა, რაღთა დაეფაროს საიდუმლოზ იგი განკაცებისა ღმრთისად მთავარსა მას ბნელისასა ეშმაკსა. რამეთუ ვინავთგან ესმა მას წინაწარ-მეტყუელისაგან, ვითარმედ: „აპა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწო-დიან სახელი მისი ევმანუელ“,<sup>2</sup> მიერითგან მიმოვიდოდა, ვითარცა მსტო-არი, და უმზერდა ქალწულთა, თუ ოდეს იხილოს ქალწული მიდგომილად, რამეთუ იცოდა, ვითარმედ მო-რაზ-ვიდეს ქუეყანად უფალი, დაჭსნად არს მისი იგი ბოროტი მეუფებაზ; და ენება ბრძოლისა ალდგინებად ჰურიათა მიერ ქალწულსა მას ზედა, რომელიცა იხილოს თკიერ მამაკაცისა მიდგო-მილად, რაღთა მოაკლვიოს იგი. ამისთვეს მითხოა ქალწული, და უეჭუელ იქმნა იგი მისგან, იხილა რად მითხოილად და ვერ ცნა განკორციელებად უფლისად და მისისა მის ძალისა დაწსნად. ესე არიან მიზეზნი მითხოისა მის ქალწულისანი, ჩუენისა ამის გულისჯმის-ყოფისაქრ, და სხუა მრავალი, რომელი უწყის მხოლომან უფალმან და რომელთაცა მან გამოუცხადოს. ვინავთგან უკუე ესრეთ განგებულებით მიეთხოა იოსებს, ამისთვეს მახა-რებელმან წესისა მისებრ რჩელისა აღწერნა მშობელნი იგი იოსებისნი და ამით გამოაჩინა, ვითარმედ ქალწულიცა ტომისაგან დავითისა იყო, ვინაზ-ცა იოსებ იყო, ვითარცა განაგო მოსე, რაღთა არა მიეთხოებოდის სხვთ ტომით სხუასა ტომისა.

სახარებაზ: „აბრაჟამმან შვა ისააკი, ისააკმან შვა იაკობი, იაკობმან შვა იუდა და ძმანი მისნი“ (1,2).

<sup>1</sup> ლუკ. 2,48.      <sup>2</sup> ესაია 7,14.

თარგმანი: რადსათვეს, აქსენა რად აბრაჟამი და თქუა, ვითარმედ: „შვა ისააკი, და ისააკმან – იაკობი“, არა აქსენნა ძმანი მათნი, ხოლო მორად-ვიდა იაკობისა, თქუა: „იაკობმან შვა იუდა და ძმანი მისნი“? ამისთვეს, რამეთუ არარად აქუნდა მათ ნაწილი და ზიარებად ერსა თანა ისრატლთასა, არამედ იყვნეს სარკინოზნი და ისმაიტელნი და არაბნი და სხუანი იგი ნათესავნი, რომელნი გამოვიდეს ისმაელის და ესავისაგან და შვილთაგან მათთა. ამისთვეს იგინი დაიდუმნა, რამეთუ ტომისა მისთვეს ისრაელთავსა, რომელთაგან იყო ქალწული იგი, დედად ქრისტესი, ენება აღწერად და გამოძიებად. ამისთვეს თქუა: „იაკობმან შვა იუდა და ძმანი მისნი“, რამეთუ ამათგან განმრავლდა ნათესავი იგი იუდეანთად.

### სახარებად: „ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან“ (1,3).

თარგმანი: რასა იტყვ, მახარებელო, რასა აღგვეხსენებ საქმესა მას უჯერობისასა? და რად არს ესეო? – იტყვს მახარებელი, – უკუეთუმცა კაცისა ლიტონისა ნათესავთა წარმოვიტყოდე, სამართლადმცა დავიდუმე ესევითარი; უკუეთუ კულა სიტყუად ჩუენი უფლისა განტორციელებულისათვეს არს, არა დადუმებად, არამედ ქადაგებად ესევითარისა მიღირს – გამოჩინებად მრავლისა მის სახეერებისა და ძლიერებისა მისისა, რამეთუ არა ამისთვეს მოვიდა, რაღთა განიშოროს შეურაცხებად ჩუენი და ყუედრებანი ჩუენნი, არამედ ამისთვეს, რაღთა თავს-ისხნეს იგინი და განაქარვნეს; და ვითარცა არა რომელ სიკუდილი თავს-იდვა ოდენ, არამედ რომელ ჯუარცუმაცა დაითმინა, უმეტეს საკურველ იქმნა, დაღაცათუ საყუედრელ იყო საქმე იგი, არამედ რაოდენ საყუედრელ იყო, ესოდენ განითქუა კაცომუყუარებად მისი. ეგრეთვე შობასა მისასა ქალწულისაგან: არა ამისთვეს ოდენ გკლირს განკურვებად, რომელ ჭორცნი შეისხნა და კაც იქმნა, არამედ რომელ თავს-იდვა ნათესავსა მას შინა, რომლისაგან იშვა, ესევითართად ყოფად და არასადა სირცხვლ-იჩინა ჩუენი ესე უბადრუკებად და შეურაცხებად, რაღთა ჩუენცა გუასწაოს არა სირცხვლ-იჩინებად შეურაცხებისათვეს გინა უკეთურებისა მშობელთა და თვესთავსა, არამედ ერთისა ოდენ ძიებად, რაღთა ჩუენ წარვპმართოთ სათნოებად. რამეთუ რომელი აღმასრულებელი იყოს მცნებათა უფლისათა, ესევითარისა მის დაღაცათუ უცხოთესლი იყოს მშობელი, დაღაცათუ მეძავი ანუ ცოდვილი, არადვე ევნების; რამეთუ უკუეთუ თკო მეძავსა მას, მოიქცეს რად და სიწმიდით ცხორებად აღირ-ჩინს, არა საყუედრელ და სავნებელ ექმნების პირველი იგი ცხორებად, რაღმცა ავნო ღმრთისმსახურსა და სათნოსა უკეთურებამან მშობელთამან? და არა ჩუენდა ოდენ სასწავლელად იქმს ამას, არამედ ჰურიათა ზუაობისა დაწინად, რამეთუ იგინი სათნოებასა მას სულიერსა და მცნებათა ღმრთისათა დამარხვასა უდებ-ჰყოფდეს და აბრაჟამს ხოლო აქსენებდეს ზედაღსზედა სიქადულად მათდა და ჰგონებდეს მისისა მის სათნოებისა-გან განმართლებად. ამისთვეს უჩუენებს, ვითარმედ არა ესევითარსა ზე-

და ჯერ-არს სიქადული, არამედ თავით თქსით მოგებად სათნოებისაა. ამას ყოველსა ზედა სხუასაცა საქმესა შეჰმზადებს, რათა უჩუენოს, ვითარმედ ყოველნი თანამდებ იყვნეს ცოდვასა: შვილნიცა და მშობელნი, რამეთუ აპა ესერა მამათმთავარი იგი მათი, სახელიანი იუდა, რომლისაგანცა იუდეან ეწოდა ჰურიათა, არა მცირესა ბრალსა შთავარდა, რამეთუ წარმოდგომილ არს თამარ შესმენად სიძვისა მისისა. ეგრეთვე დავით სიძვითა მით მრუ-შებისათა ურიისა ცოლისაგან შვა სოლომონი. კუალად სოლომონისთვის არცა საწმარ არს თქუმად, რამეთუ ყოველთა მიერ საცნაურ არს.

ხოლო უკუეთუ დიდთა მათ და სახელოანთა ვერ დაიმარხეს რჩული, უნდოთა და უდარესთათვს რად საძიებელ არს? ვინათგან უკუე ვერვინ აღასრულა რჩული, ჩანს, ვითარმედ ყოველთა ცოდეს და ბრალეულ და დასასჯელ იქმნეს. ამისთვის უკურნებელ რად იქმნეს კაცნი, საწმარ იყო წამალი ძლიერი, ესე იგი იყო მოსლვად ქრისტესი. ხოლო ათორმეტნივე ძენი იაკობისნი აქსენნა, რათა ამითცა მშობელთათვს ზუაობად ჰურიათად დაჲვენსას; რამეთუ მრავალნი ძენი იაკობისნი მწევალთა ნაშობნი იყვნეს, არამედ განყოფილებამან მან მშობელთამან შვილთა შორის განყოფილებად არა შემოიღო, არამედ ყოველნივე სწორად იქმნეს მამათმთავარ და ტომთა წინამძღვარ. ხოლო ესე ეკლესიისად არს წესი, ესე ჩუენისა ამის სარწმუნოებისა არს განგებად, რომლისა წესი და სახე პირველითგან მოესწავებოდა. ამისთვის გინა თუ მონად ხარ, გინა თუ აზნაური, არცა რად სარგებელი გაქუს აზნაურებისაგან, არცა რად სავნებელი – მონებისაგან, არამედ ერთი არს საძიებელ – შიში ღმრთისად და დამარხვად მცნებათა მისთავა. გარნა პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ: „ხოლო იუდა შვა ფარეზ და ზარა თამარისგან“. წინამდებარისა ამის პირისათვს ჭელ-ყო სიტყუად მშობელთათვს იოსებისთა, რათა მის მიერ ქალწულისაცა მშობელნი საცნაურ-ყვნეს. სამართლად აქსენა ფარეზ, ხოლო ზარა რაღასათვსლა შემოიღო შორის? ესე ამისთვის, რამეთუ მოინია რად უამი შობისა თამარისი, პირველ გამოყო ჭელი ზარა; იხილა რად ესე აღმქუმელმან, გამოაბა ჭელსა მენამული, რათა საცნაურ იყოს, თუ რომელი არს პირმშო; და ვითარცა გამოაბა მენამული იგი, შეყო კუალად ყრმამან ჭელი, და მეყსეულად გამოვიდა ფარეზ, და მერმედა შვა ზარა. იხილა ესე აღმქუმელმან და განკურდა და თქუა: „ვითარ განელო შენთვს ღობე?“<sup>1</sup> რამეთუ საკურველცა იყო. ან იხილე საქმისა ამის ძალი, რამეთუ არა ცუდად აღწერილ არს; თუ არა, რად საწმარ იყო ამისი აღწერად, ვითარმედ ერთმან მან ყრმამან პირველად გამოყო ჭელი და მერმე შეიკრიბა და სხუად იგი იშვა? რად არს უკუე სიტყუად ესე? პირველად სახელისაცა თარგმანებად ვიხილოთ, რამეთუ ფარეზ გამოითარგმანების „განყოფილებად“ და „განკუეთად“; და კუალად ესეცა გულისჯმა-ვყოთ, ვითარმედ არა ბუნებითი საქმე

<sup>1</sup> დაბ. 38,29.

იყო გამოყოფად წელისად და კუალად შეკრებად და მეორისადა გზა-ცემად გამოსლვად, არამედ მომავალთა და ყოფადთა საქმეთა სახე იყო ყრმა-თა მათ შობად განგებულებით. რამეთუ სხუათაცა თქუეს პირველ ჩუენსა, ვითარმედ ორისა მის ერისა სახე იყვნეს ორნი იგი ყრმანი; რამეთუ ვი-თარცა-იგი პირველ წელი გამოყო ერთმან მან და კუალად შეიკრიბა და სხუად იგი იშვა და მერმელა პირველი იგი სრულიად გამოვიდა, ეგრეთ იქ-მნა ორსა მას ერსა ზედა და ორსა მას რჩულსა: რამეთუ მოქალაქობად ესე სახარებისად გამოჩნდა პირველ მცირედ ჟამ დღეთა მათ აბრაპამისთა და კუალად დაიფარა, და მოვიდა ერი იგი ისრაცლთად და რჩული მოსესი, და ამისა შემდგომად სრულიად გამოჩნდა ერი იგი ახალი წესითა მით ახლი-თა. ამისთვიცა ამქუმელი იგი იტყოდა: „ვითარ განელო შენთვს ღობე?“ რამეთუ აზნაურებად იგი მოქალაქობისა მის აბრამეანისად დაფარა რჩულ-მან მან მოსესმან. და კუალად განალო ღობე იგი და შუაკედელი სახარე-ბამან ქრისტესმან, რამეთუ მარადის წერილი ძუელსა მას რჩულსა ღობედ და შუაკედელად უნესს, ვითარცა იტყვს დავით: „დაარღვე ღობე მისი, და მოჰყურძნიან მას თანაწარმავალნი გზისანი“;<sup>1</sup> და ესაია იტყვს: „ზღუდე მოვადგი მას“,<sup>2</sup> და პავლე ღალადებს: „შუაკედელი ზღუდისად მის დაპ-ჭისნა“.<sup>3</sup> სხუათა კუალად ესრეთ თქუეს, ვითარმედ: რომელმან-იგი წელი გამოიღო პირველ, სახე იყო ძუელისა რჩულისად, და მერმე უკუიქცა, და უმრნემესი იგი პირმშო იქმნა და მისი იგი შუაკედელი და ღობე დამაყე-ნებელი განკუეთა, რომელ იყო სახე ახლისა ამის რჩულისად. ჰედავა, ვი-თარ არა ცუდად აქსენა საქმე იგი იუდავისი? ამისთვს რუთს და თამარს სახელ-სდებს, რომელთაგან ერთი იგი უცხოთესლი იყო და მეორე – მეძა-ვი, რადთა სცნა, ვითარმედ ყოველთა ბოროტთა ჩუენთა დაჭისნად მოვიდა ქრისტე, რამეთუ არა შჯად მოვიდა, არამედ – კურნებად. ვითარცა უკუე მამათმთავართა მათ დედანი იგი მეძავნი შეირთნეს, ეგრეთვე ღმერთმან ბუნებად იგი მეძავქმნილი შეიერთა თავსა თვესა. ვითარცა-იგი წინაარ-მეტყუელნი პირველითგან იტყოდეს შესაკრებელისათვს ჰურიათავსა, ვი-თარმედ: „სიძვით ისიძვა“; და კუალად: „პირი მეძვისაღ მოიგე შენ, ერო ჩემო“.<sup>4</sup> არამედ იგი შესაკრებელი უმადლო იქმნა სიძისა მის მიმართ უკუ-დაგისა და ეშმაქსა შეერთო, ხოლო ეკლესიად ერთგზის განთავისუფლდა რა წესთა მათგან მამულთა და შეერთო მეუფესა თვესა, განუყოფელად ეგო სიძისა მისგან, რომელი შუენიერ არს ხილვითა უფროდს ყოველთა დაბადებულთა. აწ იხილე რუთ სახედ ეკლესიისა. იგი უცხოთესლი იყო და ფრიად გლახაკი, არამედ იხილა რად იგი ბორზ, არცა სიგლახაკე შე-ურაცხ-ყო, არცა უცხოთესლთა შვილებად მოიძაგა. ეგრეთვე ქრისტემან შეიწყნარა ეკლესიად წარმართაგან და სიგლახაკისაგან ფრიადისა და ზიარ-ყო იგი კეთილთა მათ მიუთხრობელთა. ხოლო ვითარცა-იგი რუთს

<sup>1</sup> ფსალმ. 79,13.

<sup>2</sup> ესაია 5,2.

<sup>3</sup> ეფეს. 2,14.

<sup>4</sup> შდრ. იერ. 3,2-3.

უკუეთუმცა არა დაეტევა სახლი თვისი და ნათესავნი და ყოველივე მამული, ვერმცა მიმთხუელ იყო ესევითარსა მას მეუღლესა, ეგრეთვე ეკლესიამან დაუტევნა რად წესნი იგი და ჩუეულებანი მამული, მაშინ იგი საყუარელ იქმნა სიძისა მის, ვითარცა წინაწარმეტყუელი ეტყვეს მას: „დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისად, და სთნდეს მეუფესა სიკეთე შენი“.<sup>1</sup> რამეთუ ეკლესიასა მას ნარმართთასა ეტყვეს ესრეთ დავიწყებად წესთა მათ მამულთა და ჩუეულებათა საწარმართოთა, რადთა ესრეთ სთნდეს იგი მეუფესა. ესრეთ ქმნა რუთცა, ამისთვისცა დედა მეფეთა იქმნა, რამეთუ მისგან იშვინეს მშობელი დავით მეფეთანი.

ამის ესევითარისათვს აქსენნა დედანი ესე, რადთა ზუაობაზცა ჰურიათა დაამდაბლოს და ასწაოს არასიქადული მშობელთათვს. რამეთუ დავითს, მეფესა მას და წინაწარმეტყუელსა, არა სირცხულ-უჩნდა ესე. და ნანდკლვე არად არს არცა სიკეთისაგან მშობელთავსა სარგებელი, არცა სიხენეშისაგან სავნებელი, არამედ კაცად-კაცადი თვისთა საქმეთაგან ანუ პატიოსან იქმნების, ანუ შეურაცხ. და რადთა ესეცა ვთქუა, დალაცათუ საკუკრველად აღგიჩნდეს, ვითარმედ: იგი უმეტესად იქების, რომელი არამოს-წრაფეთა მშობელთაგან მოსწრაფე კეთილი იპოოს.

## სტავლად ბ სიმდაბლისათვს

ნუმცა უკუე ვინ იქადის ანუ ზუაობს დიდებულთა შვილობისათვს, არამედ უფროხესად სიქადული იგი და აზნაურებად სათნოებათად მოიგენ კაცად-კაცადმან; არამედ ნუცამცა სათნოებათათვს იქადინ, რადთა არა ფარისეველისა მის განსაცდელი შეემთხვოს. რამეთუ რომელსა ჰნებავს აღორძინებად საზომი იგი სათნოებათა თვისთა, შეჰრაცხენ იგინი არარად და მაშინ უმეტესად აღაორძინენეს. თქუნ, ვითარმედ: არარად მიძღვს მე კეთილი ყოვლადვე, და იპოოს მოქმედ კეთილისა და მუშაკ სათნოებისა. რამეთუ უკუეთუ ცოდვილმან აბრალოს თავსა თვისსა და გულსავსე იქმნას, ვითარმედ ჭეშმარიტად ცოდვათა მრავალთა თანამდებ არს, და შეუვრდეს ცრემლით უფალსა თხოვად შენდობისა, განმართლდების, ვითარცა მეზუერე იგი. რავდენ უფროხესად განვმართლდეთ, უკუეთუ მართალნი ვიყვნეთ და შეგუერაცხნენ თავნი ჩუენნი ცოდვილად?! უკუეთუ ცოდვილთა სიმდაბლე განამართლებს, რომელი-იგი არცა ღირს არს სიმდაბლედ წოდებად, არამედ ლმობიერებად, უკუეთუ ლმობიერებასა ესე ძალ-უც ცოდვილთა ზედა, გულისწმა-ყავთ, თუ სიმდაბლემან მართალთა ზედა ვითარა არა ქმნას საქმე დიდი და საკუკრველი.

<sup>1</sup> ფსალმ. 44,11-12.

ან უკუე, მუშაკო სათნოებისაო, ეკრძალე თავსა შენსა, რადთა არა შე-გიყდეს ზუაობად და ავნო შრომათა შენთა, რადთა არცა ცუდ იქმნენ ოფლნი შენი და ამაო იქმნას სრბად შენი, და შემდგომად მრავლისა მის ჭირისა და ბრძოლისა წინააღმდეგომთადასა იპოო შენ ცარიელი. ნუ ზუაობ, ნუცა იქადი. უნყის მეუფემან უმეტეს შენსა, უკუეთუ რად კეთილი გიქმნიეს. უკუეთუ სასუმელი წყლისა გრილისად მისცე სახელისა მისისათვე, არცა მას უგულე-ბელს-ჰყოფს; უკუეთუ ერთი დანგი მისცე, არცა მას დაივიწყებს; უკუეთუ სულთ-ითქუნე ოდენ ანუ სხუა რამე მცირედი უნდოდ ქველისაქმე ჰქმნა, ყოველსავე სახიერებით შეინწყარებს, ყოვლისათვესვე სასყიდელსა ჰმარ-ხავს, ყოველივე აქსოვს. რად უკუე გაქსოვნან შენ ქველისაქმენი შენი? რადსათვს შემოიღებ მათ შორის და სხუათა მიუთხრობ ანუ გულსა შინა შენ-სა ჰზუაობ? არა უწყია, ვითარმედ აქებდე თუ თავსა შენსა, ღმერთი არღა-რა გაქებს? უკუეთუ კულა აბრალებდე თავსა შენსა და შეურაცხ გიჩნდეს, მან გაქოს და გადიდოს შენ, რამეთუ არა ჰნებავს დამცირებად სათნოებათა შენთად, არამედ უფროოხსად ისწრაფის, რადთა მცირეთაცა და უნდოთა შრო-მათათვს გკრგნოსან-გყოს, და ეძიებს მიზეზთა მარადლე, რადთა გიქსნას ჯოვანეთისაგან და მოქალაქე-გყოს სასუფეველისა ცათახსა. ამისთვეცა, დაღაცათუ მეათერთმეტესა ჟამსა დღისასა ხოლო შურე, სრულსა სასყი-დელსა მიგცემს, დაღაცათუ არარა გაქუნდეს ნაყოფი, ლირსი წყალობისად, იტყვს: „ჩემთვს ვიქმო, რადთა იდიდოს სახელი ჩემი“.<sup>1</sup> სულთ-ითქუნე თუ, გინა ჰცრემლოოდი, შეინირავს ყოველსავე ადრე და მიზეზად ცხორებისა შენისა დაჰპარხავს.

ნუმცა ვზუაობთ უკუე, არამედ გუაქუნდინ უკმრად თავნი თვსნი, რა-თა ვიქმნეთ საჯმარ. უკუეთუ საჯმრად შეგერაცხოს თავი თვსი, იქმენ შენ უკმარ, დაღაცათუ სათნოდ იყო. უკუეთუ კულა უკმარ და უღირს გაქუნდეს თავი შენი, იქმენ საჯმარ და ლირს, დაღაცათუ უღირსი იყო და ცოდვილი. ამისთვე ჯერ-არს სრულიად დავიწყებად ქველისასაქმეთა და სათნოებათა ჩუენთად. ხოლო თქუას ვინმე: ვითარ შესაძლებელ არს დავიწყებად საქმე-თა კეთილთად, რომელი ექმნენ კაცსა? არამედ ისმინენ ესევითარისა მის სიტყვსა მეტყუელმან: რასა იტყვ, კაცო? დღითი-დღე სცოდავ ღმრთისა მიმართ შუებითა და განცხრომითა და სხვთა მრავლითა ცოდვითა და დაგ-ვიწყებიეს ესევითარი ყოველივე, ვიდრედა არცა თუ იცი, რავდენგზის გიცოდავს, და თუ სადა კეთილი რამე ჰქმნე, ვერ დაივიწყება? არამედ მიმოდასდებ და ჰქადაგებ და მარადის წინაშე თუალთა შენთა არს. დიდი უგუნურებად არს ესე და ფრიადი ზღვევად, რამეთუ დავიწყებად ქველის-საქმეთად საუნჯე არს წარუპარველი; და ვითარცა საფასე ანუ სამკაული უკუეთუ განგჰჰინოთ ურაკპარაკთა შორის, მზა არს და ადვილ წარსაპარ-ველად, ხოლო დავჰკრძალოთ რად საუნჯეთა შინა უხილავთა, უშიშ ვიქმნე-

<sup>1</sup> შდრ. ეზეკ. 36,22,32.

ბით მპარავთაგან, ეგრეთვე ქველისსაქმეთად, უკუეთუ ზედაასზედა ვაწსე-ნებდეთ და ვქადაგებდეთ, განვამნარებთ უფალსა და აღვსჭურავთ მტერსა ჩუენ ზედა და საქმეთა მათ კეთილთა წინადაუფენთ წარპარვად ჩუენგან; უკუეთუ კულა არავის შეუნდოთ ხილვად, გარნა მხოლოდა მის დაფარულ-თა მხედველისა, გუაქუნდეს ყოველივე დამარხულად საუნჯეთა მათ შინა საუკუნეთა.

ან უკუე ეკრძალე, კაცო, რაღთა არა შეგემთხვოს, რაღ-იგი შეემთხვა ფარისეველსა მას, რომელსა ქველისსაქმენი თვისნი ენასა ზედა ეტკრონეს. ამისთვის ადვილად წარტაცნა ეშმაკმან. აქსენტდა სათნოებათა თვისთა სიხარულით და ჰეონებდა, თუ მადლობასა შევსწირავ ღმრთისა. არა-მედ არა სთნდა ესე უფალსა, რამეთუ არა მადლობად არს ესე ღმრთისად: ყუედრებად სხუათად, ზუაობად შეცოდებულთა ზედა, სიქადული ამპარტა-ვანებით. უკუეთუ მადლობად ღმრთისად გნებავს, კაცო, აუარებდი მას და აკურთხევდი, ხოლო სხუათა ნუ აბრალობ და ჰეუედნი მოყუასსა. არა არს ესე მადლობად, არამედ ამპარტავნებად. გნებავსა მადლობისა სწავლად? ის-მინე სამთა მათ ყრმათად: „შეგცოდეთ ჩუენ, ყოვლითავე ურჩულო ვიქმენიით და განგიდეგით ჩუენ შენგან. ვცოდეთ ყოვლითურთ, მცნებათა შენთად არა ვისმინეთ, არცა ვიმარხეთ, არცა ვყავთ, ვითარ-იგი შენ მამცენ ჩუენ, რაღთამცა კეთილი მეყო ჩუენ შენგან. ან ყოველი, რავდენი მოავლინე ჩუენ ზედა, და ყოველი, რავდენი მიყავ ჩუენ, სამართლისა სასჯელითა ჰყავ“.<sup>1</sup> ესე არს ჭეშმარიტი მადლობად ღმრთისად, რაღთა კაცი აღიარებდეს ცოდვა-თა თვისთა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელ სულგრძელ ექმნების. ესრეთ ისწავე, ძმაო, მადლობად ღმრთისად, და გენებოს რაღ მადლობისა შენირვად, შეუვრდი უფალსა გულითა შემუსრვილითა და გონებითა მდაბლითა თქუ ესრეთ: „გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ სულგრძელ მექმენ აურაცხელ-თა მათ ცოდვათა ჩემთა ზედა და აქამომდე არარა სატანჯველი მოაწიე შემსგავსებული ურჩულოებათა ჩემთად. ხოლო მე ადრევე ღირს ვიყავ გან-ვრდომად პირისა შენისაგან და განქიქებად სოფელსავე ამას შინა, მსგავსად ბოროტა მათ საქმეთა ჩემთა, არამედ მიუთხრობელი იგი კაცომოყუარე-ბად შენი სულგრძელ იქმნა ჩემ ზედა. ამისთვის გმადლობ შენ გლახაკი ესე და უღირსი, დაღაცათუ არა ღირს ვარ, არცა შემძლებელ დიდებისმეტყუ-ელებად და მადლობად სახიერებისა შენისა“. ესრეთ ვიტყოდით ღმრთისა მიმართ, ესრეთ გუაქუნდინ გონებათა შინა ჩუენთა, რაღთა ვპოოთ ღმრთი-საგან წყალობად. ნუ სასყიდელსა ვითხოვთ, რამეთუ არარა გუაქუს ღირსი სასყიდლისა; უსასყიდლოდ ვითხოვდეთ წყალობასა, რამეთუ ამას თუ ვიქ-მოდით ყოვლითა გულითა, აღიაროს მან თავი თვისი თანამდებად წყალო-ბისა ჩუენისა და სათნოებათაგან ჩუენთა კიდე სიმდაბლისათვის მოგუცეს მადლი, რამეთუ ყოველთა სათნოებათასა უმეტესი არს სასყიდელი იგი სიმ-

<sup>1</sup> დან. 3,29-31.

დაბლისად. და უკუეთუ ესე არა იყოს, სხუანიცა იგი დაღაცათუ მოვიგნეთ, ცუდად ვშურებით.

ან უკუე გუნებავს თუ დიდ-ყოფად სათნოებათა ჩუენთად, შევჰრაცხენეთ იგინი არარად, და შევჰრაცხენეს იგინი ღმერთმან დიდად. შევჰრაცხენეთ თავნი ჩუენნი ულირსად, და შემრაცხენეს ღმერთმან ღირსად, ვითარცა ასისთავი იგი იტყოდა: „უფალო, არა ღირს ვარ მე, რამთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ“.<sup>1</sup> ამისთვისცა ღირს-ყო იგი უფალმან და სარწმუნოებად მისი სთნდა ფრიად; და კუალად პავლეცა იტყოდა: „არა ღირს ვარ წოდებად მოციქულად“.<sup>2</sup> ამისთვისცა თავთა მათ მოციქულთა თანა შეირაცხა და მოძღუარ ყოვლისა სოფლისა იქმნა; ეგრეთვე იოვანე წინამობრძედი იტყოდა: „არა ღირს ვარ განჯსნად საბელსა წამლთა მისთასა“.<sup>3</sup> ამისთვის მეგობრად სიძისა ეწოდა, და წელი მისი, რომელი თქუა, ვითარმედ არა ღირს არს წამლთა შეხებად, თავსა ზედა დაიდვა ქრისტემან; ეგრეთვე პეტრე თქუა: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ მე, უფალო“.<sup>4</sup> ამისთვისცა საფუძველ ეკლესისა იქმნა. რამეთუ არარად ესრეთ სათნო არს ღმრთისა, ვითარ კაცი მდაბალი, რომელსა აქუნდეს თავი თვისი უცოდვილეს ყოველთა.

ესე არს თავი ყოვლისა სიბრძნისად. ესევითარი იგი მდაბალი და შემუსრვილი არაოდეს ზუაობნ, არა განრისხნებინ, არა შეინუებინ შურითა მოყუსისაღთა, არცა სხუანი იგი ვნებანი ეუფლნიან მას, არამედ ყოველნივე სიმდაბლემან და მისმან მან ნაშობმან გლოამან განიოტნის სულისაგან, რამეთუ იგლოვნ თუ ვინმე წორციელთა საქმეთათვს, სიკუდილისათვს თვისთადსა, ანუ წარწემედისათვს მონაგებთადსა, ანუ ესევითარისა რადესათვსმე, გლოამან მან იოტნის ყოველნივე ვნებანი სულისა მისისაგან უამსა მას. რავდენ უფროვსად, ვიგლოვდეთ რად ცოდვათა ჩუენთათვს და იქმნას გლოვად იგი საწურთელ სამარადისო ჩუენ შორის, ივლტოდინ ყოველნივე ვნებანი ჩუენგან. იხილე დავით, მოიგო რად სიმდაბლე და გლოად ცოდვისა მისთვს, ვითარ უამსა მას განსაცდელისა მისისასა, რაჟამს სდევნიდა ძღი იგი განდგომილი, წარმოდგა ერთი ვინმე შეურაცხი და უნდოვ კაცი, ურცხვნოვ იგი სემც, და ურიდად აგინებდა მას და აყუედრებდა. ხოლო იგი არა განრისხნა, არცა სიტყუა-უგო, რამეთუ სიმდაბლესა და გლოასა აღმოეფხურა სული მრისხანებისად მისგან. ამისთვისცა ინება რად ერისთავმან მან მისლვად და მოკლვად უკეთურისა მის, არა შეუნდო დავით, არამედ იტყოდა, ვითარმედ: „ღმერთმან უბრძანა მას ესევითარისა სიტყუად“.<sup>5</sup> და კუალად, სხუასა ადგილსა ეტყოდეს რად მღდელნი, რამთა კიდობანსა მას მის თანა ავლებდეს, არა ჯერ-იჩინა, არამედ ულირსად შევჰრაცხა თავი თვისი და თქუა: „უკუეთუ მიჩსნას ღმერთმან განსაცდელთა ამათგან, ვიხილო შუენიერებად მისი ტაძარსა

<sup>1</sup> მათ. 8,8.

<sup>2</sup> 1 კორ. 15,9.

<sup>3</sup> მარკ. 1,7.

<sup>4</sup> ლუკ. 5,8.

<sup>5</sup> შდრ. 2 მეფ. 16,11.

შინა. ხოლო მრქუას თუ, ვითარმედ: არა გინებე შენ, იყავნ ჩემ ზედა, რაღ-იგი სათნო არს მის წინაშე“.<sup>1</sup>

იხილეა გული შემუსრვილი? და კუალად, რაღ-იგი საულს ზედა ქმნა ერთ და ორგზის, არა დიდი იგი საზომი სრულებისად აჩუქნა? რამეთუ არა ძუელსა ოდენ რჩულსა წარჟიდა, არამედ მცნებათაცა სახარებისათა მიერახლა. არა შურს-იგებდა, არა განრისხნებოდა, არამედ ყოველსავე მადლობით შეიწყნარებდა ღმრთისაგან. ამისთვისცა კუალად, აბესალომის ზე ხედვიდა რაღ ურჩულოსა მას მამისა მბრძოლსა, ძმისა მკლველსა, მაგინებელსა და ბილნისა მჯდომარედ საყდართა სამეუფოთა და თავსა თუსსა მეოტად, შეურაცხად და ნაკლულევანად, არა დაბრკოლდა, არცა იდრტკნა, არამედ იტყოდა: უკუეთუ ესე სათნო არს ღმრთისა, რაღთა იგი მეფობდეს და იშუებდეს და მე ვიდევნებოდე, მადლიერ ვარ და შემიწყნარებიეს. არაქმნა, ვითარცა მრავალნი ჩუენგანნი იქმან: მოიწიოს რაღ მათ ზედა მცირედი ჭირი ანუ განსაცდელი, მეყსეულად დრტკნვიან და შურნ სხუათად, რომელნი დღეკეთილობასა შინა იხილნიან და შუებასა. არამედ დავით არა ესრეთ იყო, არა დრტკნვიდა, არა განრისხნებოდა და არცა შეიწუებოდა შურითა. ამისთვისცა თქუა ღმერთმან: „ვპოე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი“.<sup>2</sup> ესევითარი სიმდაბლც და შემუსრვილობად ჩუენცა მოვიგოთ, ვიქმნეთ ყოველსავე ზედა მადლის შემწირველ ღმრთისა, ვიქმნეთ მშკდ და მდაბალ, ვითარცა იტყვს უფალი: „ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებად სულთა თქუენთად“.<sup>3</sup>

ან უკუე, რაღთა ამასცა სოფელსა და მასცა საუკუნესა ვპოოთ განსუენება, მოვიგოთ სიმდაბლც, დედად იგი ყოველთა სათნოებათად, დავპნერგოთ იგი სულთა ჩუენთა შინა, რაღთა ზღუადცა ესე ამის სოფლისად დაუნთქმელად წიაღვლოთ და მყუდროსა მას ნავთსაყუდელსა ღირს ვიქმნეთ შესლვად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუქრისტესითა, რომლისა არს დიდებად და სიმტკიცც თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> შდრ. 2 მეფ. 15,25-26.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 88,21.

<sup>3</sup> მათ. 11,29.

## თავი დ

სიტყუადე ეს ე: „ყოველი ნათესავი აბრაჟამისითგან ვიდრე დავითი-სამდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუენვამდე ბაბი-ლოვნელთაგან ნათესავი ათოთხმეტ; და ტყუენვითგან ბაბილოვნელთაგან ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ“ (1,17).

სამად განცვნა ყოველნივე იგი ზემოწერილი ნათესავნი, რადთა გამო-აჩინოს, ვითარმედ თითოფერითა მით შეცვალებითა მოქალაქობათა და ნა-თესავთადთა არა შეიცვალა უკეთურებად ჰურიათად; არამედ გინა თუ მსა-ჯულნი დაუდგინნა ღმერთმან, გინა თუ მეფენი, გინა თუ მღდელნი, გინა თუ ტყუეობად მისცნა, გინა თუ მძლედ გამოაჩინა, სიბოროტც გონებათა მათთავ და უკეთურებად ვერსადა შეცვალეს. ამისთვისცა უკურნებელთა მათ სენთა კურნებად იქმნა მოსლვად ქრისტესი, რადთა უჩუენოს კაცთა გზად იგი სათნოებისა და ცხორებისად.

ხოლო რად არს ესე, რომელ საშუალსა მას ნაწილსა სამთა მეფეთა თანანარპეტი, ხოლო უკუანასესკუნელსა ათორმეტი ნათესავი აღწერა და ათოთხმეტად ნათესავად თქუა, რამეთუ დავითის უამთაგან ვიდრე ტყუე-ობისა ბაბილოვნელთავსა ათჩედმეტი მეფენი წარწდეს, ვითარ წერილ არს წიგნსა მეფეთასა და წიგნსა ნეშტითასა, ვითარმედ შემდგომად მეფო-ბისა იორამისა, ძისა იოსაფატისა, მეფობდა ოქოზია და იოას და ამესია, და მერმე მეფობდა ოზია და იოთამ და აქაზ და სხუანი იგი შემდგომითი შემ-დგომად. ხოლო მახარებელი სამთა მათ თანანარპეტად და თქუა: „იოსაფატ შვა იორამ, იორამ შვა იოზია, და შემდგომითი შემდგომად, ვიდრე ტყუეო-ბადმდე ბაბილოვნელთა, ნათესავი ათოთხმეტ“!

ესრეთ უკუე ვიტყვთ, ვითარმედ სამნი იგი მეფენი არა აქსენნა, რამე-თუ ურჩულოებისა მათისათვს არა ღირს-ყვნა იგინი წსენებად, რამეთუ არა თუ მეფეთა აღჭრაცხავს, არამედ ნათესავთა. ან უკუეთუმცა ეთქუა, თუ: „დავითისითგან ტყუეობადმდე ბაბილოვნელთავსა მეფენი ათოთხმეტინ“, სამართლადმცა ვინ თქუა, თუ წინააღმდგომად წიგნისა მის მეფეთავსა იტყვს; ხოლო ვინათებან არა მეფენი თქუნა, არამედ ნათესავი ათოთხმეტ, უცთომელ არს სიტყუად მისი, რამეთუ ცხორებასა კაცისა ერთისასა ნათე-სავად წოდებად არა შეჰგავს, ვინათებან არა სწორ არიან დღენი ყოველთა კაცთანი, არამედ რომელიმე უამსავე სიყრმისასა აღესრულნეს, სხუანი – დღეთა სიჭაბუკისათა, და სხუანი სიბერედმდე ეგნეს სოფელსა ამას შინა. ვითარ უკუე ენოდოს ცხორებასა კაცისასა ნათესავ? ვინათებან რომელ-მანმე ათი წელი დაყო, და რომელმანმე – ოცი, რომელმანმე – ერგასისი, გინა სამეოცდაათი და ოთხმეოცი, ანუ თუ ასი. ამისთვისცა მახარებელ-

<sup>1</sup>შდრ. მათ. 1,8-17.

მან, ვინათგან არა მეფეთა ალსწერდა, არამედ ნათესავთა, ალრიცხუნა, თუ რაოდენი წელი ჯერ-იყო ნათესავად წოდებად, ვითარცა მან იცოდა, და პოვა, ვითარმედ ათოთხმეტისა ნათესავისა უამნი ათჩვდმეტთა მეფეთა მიერ აღესრულებს, და ამისთვის სამთა მათ ყოლადვე არა სახელ-სდვა, ვითარცა ულირსთა, და სხუანი იგი ხოლო აქსენტი. ესე არს პირი ერთისა მის სახისად, ხოლო მეორცა იგი, რომელ იექონიათგან ვიდრე იოსებამდე ათორმეტნი შობანი თქუნა და ათოთხმეტად ნათესავად აღწერა, მიგიხრა. თქუა, ვითარმედ: „ტყუენვითგან ბაბილონელთაგან ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ“, რამეთუ უამიცა იგი ტყუენობისად და იექონია, ბაბილონს წარტყუენული ძისწული იოსიადი, ერთად ნათესავად შეჰრაცხა და მეათოთხმეტდ ნათესავად ქრისტე აღრაცხა, დასაბამი იგი და აღსასრული ყოველთა კეთილთად. ამისთვის ათორმეტნი თქუნა ნათესავნი და ათოთხმეტად აღრაცხნა – იწყო ქრისტესგან: „წიგნი შობისად იესუ ქრისტესი“, და აღსასრულა ქრისტესად რიცხვი იგი ნათესავთად.

და რაღაც მარკოზ არა ესრცი იწყებს, არცა წარმოიტყვეს შობისათვის ქრისტესა, არამედ ყოველსავე მოკლედ გვთხრობს? ესე ამისთვის, რამეთუ მათე პირველ ყოველთადასა აღწერა; ამისთვისცა შობისათვს უფლისა იტყვს და დაწყებასა მას განკაცებისა ქრისტესა წარმოგვთხრობს. ხოლო მარკოზ შემდგომად მისა აღწერა; ამისთვის ერთგზის თქუმული იგი მამათმთავართა შობად დაუტევა და მოკლე გზად იპყრა ნათლის-ღებითგან ვიდრე აღდგომამდე ქრისტესა.

გარნა ლუკა უპირატესცა აღიყვანა სიტყუად თვისი და გზად იგი მათეს სიტყვსად ინება სლვად და უმრავლესიცა გუაუწყა, რამეთუ თითოეული მოძღვარსა თვისსა ჰპაძვიდა: ერთი იგი – ჰეტრეს, მცირედმეტყუელებისა მოყუარესა, ხოლო მეორც – ჰპავლეს, მდინარეთა უმდიდრესსა წარმოდინებითა სიტყვსათა. ხოლო ვითარ არს ესე, რომელ ორთავე აქსენტი შობანი ნათესავთანი, მათე და ლუკა, და სხუად სახელები წარმოთქუა მათე, და სხუანი აღწერნა ლუკა, და ორთავე იოსების მშობელნი გვთხრნეს. ერთმან ამან ზემოხთ იწყო აპრაპამისითგან და მოვიდა დავითისამდე, დავითისითგან ტყუენვადმდე ბაბილონელთაგან, ტყუენვითგან ბაბილონელთაგან იტყვს: „იექონია შვა საღათიელი; საღათიელ შვა ზორობაბელი; ზორობაბელ შვა აბიუდ; აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ; აზორ შვა სადუკ; სადუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ; ელიუდ შვა ელეაზარ; ელეაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ; იაკობ შვა იოსებ“.<sup>1</sup> ხოლო ლუკა არა ამათ სახელთა იტყვს ვიდრე დავითისამდე, და მიერითგან კუალად მათესვე თხრობასა შეერთვის, რამეთუ ესრეთ იწყებს: „და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, ელისა, მატთანისა, ლევისა, მელქისა, იანესა, იოსეფისა, მატათისა, ამონისა, ნაუმისა“<sup>2</sup>

<sup>1</sup> მათ. 1,12-16.

<sup>2</sup> ლუკ. 3,23-25.

და შემდგომი ამისი, ვიდრემდის მოიწია დავითისამდე. რაა არს განყოფილებად ესე, ვითარ ერთისა კაცისა სხუანი და სხუანი მშობელნი გვთხრნეს? უწყებად უკუე ჯერ-არს, ვითარმედ ესრეთ იყო წესი პირველისა მის რჩულისა, რომელ მოკუდის თუ ვინმე უშვილოდ, ძმამან მისმან იქორნინის ცოლი აღსრულებულისა მის და აღუდგინის თესლი ძმასა თვისსა. ხოლო იშვის რაა შეილი, ბუნებით მეორისად მის არნ, რომლისაგანცა შობილ არნ, და წესითა რჩულისახთა – აღსრულებულისა მის. ხოლო მათ უამთა შინა ნაშობთაგან სოლომონისთა, ძისა დავითისთა, იყო ვინმე მატთან სახელით და ესუა ცოლი, რომლისაგან შვა იაკობ, მამად იოსებისი. აღესრულა მატთან, და იქორნინა ცოლი მისი მელქი, ტომისაგან ნათანისა, ძისა დავითისა. მელქი, ძემან ლევოსმან და ძმამან პანთერისმან, რომელი ზემო ვაჯსენეთ, ამან მელქი იქორნინა ცოლი იგი მატთანისა და დედად იაკობისი და შვა მისგან ელი. იქმნეს უკუე იაკობ და ელი ძმანი, ერთისა დედისა ნაშობნი. ხოლო მამულად იაკობ ტომისაგან სოლომონისა, ძისა დავითისა, იყო, და ელი – ტომისაგან ნათანისა, ძისა დავითისა. იქორნინა ელი ტომთაგან ნათანისთა შობილმან და აღესრულა უშვილოდ. მერმე, წესისაებრ რჩულისა, შეირთო ცოლი მისი იაკობ, ძმამან მისმან დედისაგან, ხოლო მამულად ტომისაგან სოლომონისა შობილმან, და აღუდგინა თესლი ძმასა თვისსა და შვა იოსებ, და იქმნა იოსებ ბუნებით ეგ იაკობისი, ტომისაგან სოლომონისა, ხოლო წესისაებრ რჩულისა ძედ შერაცხილ იყო ელისა, ტომისაგან ნათანისა.

ან უკუე მადლმან სულისა წმიდისამან უბრძანა მახარებელთა ორსავე ამის წესისა აღწერად: რჩულიერისაცა და ბუნებითისა. ამისთვისცა ლუკა წესისა მისებრ რჩულისა ყო აღრიცხუვად იგი ნათესავთად და თქუა მამად იოსებისა ელი, რომელი რჩულისაგან შეირაცხვის მამად მისა, ხოლო მათე ბუნებითი იგი აღწერა მამად და ამისთვის იაკობ აჯსენა, ვითარმედ: „იაკობ შვა იოსებ“. ესე არს მიზეზი სხუათა და სხუათა სახელთა ჯსენებისა მახარებელთა მიერ ვიდრე დავითისამდე, და მიერითგან ერთ არს სიტყუად მათი.

თქუეს ვიეთმე ესეცა დაწყებისა ამისთვის სახარებისა, ვითარმედ: რად არა ესრეთ ყო დაწყებად სიტყვსა თვისისა მათე, უფროვსად, ვინაოთგან ებრაულითა ენითა აღწერა, ვითარცა-იგი იქმოდეს წინაწარმეტყუელნი, ვითარმედ: „ხილვა, რომელი ვიხილე“, ანუ თუ: „სიტყუად, რომელი იყო ჩემდა მომართ?“ რად არა ამანცა ესევითარი საკურველი სიტყუად ყო დასაბამად, რახთამცა აჩუენა, ვითარმედ ზეგარდამო მოილო ბრძანებად აღწერისა? ესე ამისთვის, რამეთუ წინაწარმეტყუელთა ზე არა იყვნეს ესე-ვითარნი სასწაულნი, ვითარ მოციქულთა ზე, მქადაგებელ ჭეშმარიტებისა მათისა. ხოლო იყვნეს ცრუნინაწარმეტყუელნიცა მრავალნი, და ჰურიანი, მარადის უკეთურნი, უმეტესად შეინყნარებდეს სიტყუასა მას ცრუნინაწარმეტყუელთასა. ამისთვის საჯმარ იყო წინაწარმეტყუელთადა ესევითარი იგი დაწყებად სიტყვსა დასარწმუნებელად ურწმუნოთა მათ, ვითარმედ

ღმრთისა მიერ არს მათი იგი სიტყუად და არა თავით თქსით. ხოლო აქა აურაცხელნი იგი სასწაულნი და სულისა წმიდისა მადლნი არწმუნებდეს ერსა ჭეშმარიტებასა მას მახარებელთა სიტყვსასა, და არად ეჭმარებოდა ესევითარი დაწყებად, რამეთუ მორწმუნეთა მიმართ ქმნეს აღწერად სახარებათად, არა ურწმუნოთა. ხოლო წინანარმეტყუელთა ზე დიდი ურწმუნოებად აქუნდა ჰურიათა, და არცა იყო ესოდენი სასწაულთა საქმც მაშინ, თკინიერ რაზ-იგი იქმნა პირველ მოსეს ზე და ისუ ძისა ნავესა, დასარწმუნებელად მეგვპტელთა და სხუათა მათ წარმართთა, და რამთა უკუანასკნელ, რაჟამს ცოდვათათვს ჰურიათავსა მისცნეს იგინი ღმერთმან საძლეველად და ტყუედ, წარმართთა ვერ თქუან, თუ ღმერთნი მათნი უძლიერეს იყვნეს და ამისთვის მიეცა მათ ძლევად, არამედ ცნან, ვითარმედ ჰურიათა შესცოდეს ჭეშმარიტსა მას ღმერთსა, და ამისთვის მისცნა წელთა მათთა.

ხოლო ამისა შემდგომად დააცხრვო ღმერთმან მრავალთა მათ სასწაულთა საქმე. თკინიერ უამითი უამად აჩუენის კუალად, ვითარ-იგი ბაბილოვნელთა ზე დანიელის მიერ და სამთა მათ ყრმათა და კუალად ელიას მიერ და ელისესა, რაჟამს სრულიად მიდრკეს ჰურიანი კერპთმსახურებად, და სხუად ესევითარი უამითი უამად გამოაჩინის. ხოლო მრავალნი იგი სასწაულნი, რომელ აჩუენა მეგვპტელთა ზედა და უდაბნოსა მას და კუალად შესლვასა მათსა ქუეყანად ალთქუმისა, დასცხრეს, ვინათგან და-ეშენეს და განიყვეს ქუეყანად. ამისთვისცა მოსეს აქუნდეს მრავალნი იგი საკურველებანი მონამედ და არა იქმარა ესევითარი დაწყებად, ვითარ სხუათა მათ წინანარმეტყუელთა, არამედ მეყსეულად თქუა: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცად და ქუეყანად“,<sup>1</sup> და შემდგომი ამისი. ხოლო წინანარმეტყუელთა არა აქუნდეს ესევითარი სასწაულნი დასარწმუნებელად უგუნურთა მათ ჰურიათა. ამისთვის ჩუენებანი იგი და ხილვანი ღმრთისამიერნი ქმნეს დასაბამად სიტყვსა თვისისა შესანენარებელად გულფიცხელთა მათ. ხოლო ვითარცა-იგი მოსეს ზე დაწყებად იყო ძუელისა მის რჩულისა და სასწაულნი მრავალნი იქმნებოდეს, ეგრეთვე ქადაგებასა მას მოციქულთასა არა იყო რიცხვ სასწაულთად და კურნებათად საოტებელად ურწმუნოებისა და დასამტკიცებელად ჭეშმარიტებისა. ამისთვისცა კაცთა გლახაკთა და უსწავლელთა ათორმეტთა დაიმორჩილნეს და მოიმონაფნეს ერნი ურიცხუნი, მეფენი და ფილოსოფოსნი, რამეთუ ძალი ღმრთისად იყო მათ თანა.

ამისთვისცა არად ეჭმარებოდა მახარებელთა ხილვათა და ჩუენებათა აღწერად დაწყებასა სახარებათასა, არამედ კაცად-კაცადმან წინამდებარე იგი სიტყუად ქრისტეს განგებულებისად და ღმრთისმეტყუელებისად იწყო თქუმად. ვითარცა იყო ძუელი იგი რჩული ყოვლითურთ სახე ახლისად მის, ეგრეთვე დაწყებასა მისსა სასწაულნი დიდნი იქმნეს, და დაწყებასა ახლისასა – უზეშთაესნი და უმრავლესნი, რომელთა არა არს არცა სიდიდისა

<sup>1</sup> დაბ. 1,1.

სწორებად, არცა სიმრავლისა რიცხვ; და უნყი, ვითარმედ ესე ყოველთავე იცით, და არა მიწმს წარმოთქუმად თითოეულისად, რადთა არა სიგრძე სიტყვასა ფრიადი იქმნას.

ხოლო შევიდეს რაღ ქუეყანად ალთქუმისა ისრატლინი და იცნეს ღმერთი პირველქმნილთა მათ სასწაულთაგან, დააცხრვო ღმერთმან საქმე სასწაულთად და უამითი უამად, განმრავლდის რაღ ურნმუნოებად, კუალად აჩუენის ძალი თვისი. ეგრეთვე ახალსა ამას რჩულსა, ვინათგან განეფინა ქადაგებად მოციქულთად ყოველსა სოფელსა და დამტკიცნა სარწმუნოებად, დასცხრა მრავალთა მათ სასწაულთა საქმე. ხოლო ვითარცა-იგი მაშინ უამითი უამად კუალად აჩუენის ღმერთმან ძალი თვისი, ეგრევე ან, რაუამს ალძრის ეშმაკმან საცური რამე, მოავლინის ღმერთმან სასწაულიცა წინააღმდეგომად საცურისა, და იხილეთ, რავდენი იქმნა დღეთა მათ დევნულებისათა წმიდათა მოწამეთა მიერ. და კუალად ჩუენისაცა ამის ნათესავისა ზე, რაუამს მიიღო მეფობად მიშუებითა ღმრთისათა ურჩულომან მან ივლიანე, მრავალი სასწაული აჩუენა ღმერთმან, რამეთუ ოდეს-იგი სხუათა მათ ბოროტთა მისთა თანა ურჩულომან მან და განდგომილმან ალძრა ქრისტეანეთა ზედა ერთ იგი ჰურიათად, რამეთუ იცოდა ფრიადი მტერობად მათი ჩუენდა მომართ, და ამისთვის პატივ-სცემდა მათ და ეტყოდა, ვითარმედ: ესე არს უამი კუალადგებისა თქუენისად პირველსა მას პატივსა და წესსა თქუენსა, და უბრძანა მისლვად იერუსალიმდ და ტაძრისა მის შენებად; მაშინ შეკრბეს ყოველნივე, სადაცა იპოებოდეს ჰურიანი და დიდითა მოსწრავებითა წელ-ყვეს შენებად, ვიდრელა დედანიცა და ყრმანი წიაღითაგან ჰკრებდეს მინასა. ხოლო იწყეს რაღ საფუძველისა წმედად, იქმნა ძრვად სასტიკი, და ალი ცეცხლისა მძაფრისად გამოვიდა საფუძველთა მათგან და უმრავლესნი მათგანნი დაწუნა, ვითარცა ოდესმე სოდომელნი, და სხუანი იგი იოტნა სირცხვლეულნი, და განიბნინეს ღირსად მათისა მის უკეთურებისა.

და კუალად მათვე დღეთა შინა, განმრავლდა რაღ სიბოროტე ურჩულობსა მის მეფისად და შეურაცხ იქმნებოდა თაყუანის-ცემად პატიოსნისა ჯუარისად, იქმნა ესევითარი სასწაული სამხილებელად მისისა მის უკეთურებისა და განსამტკიცებელად ქრისტეანეთა: განთიადითგან აღმოსლვასა ოდენ მზისასა გამობრნეინდა შორის ცასა და ქუეყანსა სახე პატიოსნისა ჯუარისად, ბრნყინვალებითა მიუთხობელითა შემკული, ვიდრელა ელვი-საგან მისისა დაიფარა ნათელი მზისად, და განთიადითგან მწუხრადმდე იხილვებოდა სასწაული იგი ბრნყინვალე ყოვლისაგან სოფლისა საჭურველად დღევისა მორწმუნეთა და დამწსნელად მძლავრებასა მას უკეთურისასა. ამას ზედა ქალაქნიცა მრავალნი, რომელი მწურვალებით აღბორგდეს ბრძოლასა მას ქრისტეანეთასა, რომელიმე ზღუამან დაფარნა, და რომელნიმე ძრვამან აღაოწრნა, რადთა აღესრულოს აქაცა სიტყუად წინანარმეტყუელისად: „მტერისა მახვლსა მოაკლდა სრულიად, და ქალაქნი

აღაოვრდეს“.<sup>1</sup> და კუალად, ინება რად გამოკრეხად და დატყუენვად ეკლე-სიათად და ჭურჭელთა მათ სამღდელოთა წარტაცებად, განაჩინნა ამას ზე-და მეჭურჭლეთმთავარი იგი თვისი და სხუად ვინმე დედისძმად და სეხნად მისი, რომელნი-იგი სტანჯვიდეს მღდელთა და უწყალოდ ჰგუემდეს შენა-მებად, უკუეთუ სადა არს დამარხული სამეული ეკლესიათად ოქროვსად გინა ვეცხლისად. და ვითარ-იგი ჰგუემდეს მონათა მათ ღმრთისათა, მეყ-სეულად ერთი იგი განსქდა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მის-ნი, და მეორე იქმნა საჭმელ მატლთა, და მიმწუხრამდე მნარედ აღმოპტდა მას სული. და კუალად, მი-რად-ვიდა წყაროსა მას ზედა დიდსა ურჩულო ივლიანე და მსხუერპლი შენირა ეშმაკთა მიმართ, და მასვე უამსა წყაროდ იგი, რომელი ვითარცა მდინარე დიდი დიოდა, განჯმა. არა სასწაული დიდი იყოა? და მერმე ანაზდავთი იგი სიყმილი, რომელი ყოველსა მას სამეფო-სა მის ულმრთოვსასა მოინია, არა სამხილებელი იყოა მისი? და ვითარცა ამის ყოვლისაგან არა შეიკდიმა, მერმე შორის ქუეყანასა მას სპარსეთისასა დასცა იგი, რამეთუ არცა ლირს იყო სამეუფოსა შინა ქრისტეანობისასა სი-კუდილად.

ესრეთ იქმს ღმერთი მარადის: რაფამს აღორძნდეს ურჩულოებად და იხილნეს მონანი თვისი ჭირსა შინა, ხოლო წინააღმდეგომნი მძლავრებითა მათითა მთრვალ იყვნენ, მაშინ ძალსა თვისა გამოიჩინებს.

არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. ზემო ვთქუთ, თუ რადასათვის სამ ნაწილად განყვინა მახარებელმან ნათესავნი იგი მამათმთავართა და მეფეთანი; ხოლო ან იხილეთ, ვინად იწყებს და სადა დაასრულებს – აბ-რაპამისგან დავითისამდე, დავითისგან ტყუენვამდე ბაბილოვნელთაგან, ტყუენვითგან ბაბილოვნელთაგან ქრისტესამდე. ხოლო რადასათვის, ვითარ-ცა-იგი ტყუენვად ბაბილოვნელთაგან აქსენა და მუნ შთასლვად ერისად, არა აქსენა ეგვეტეს შთასლვადცა? ესე ამისთვის, რამეთუ მეგვეტელთად იგი ადრე ქმნილ იყო, და არა ცოდვათათვის იქმნა მუნ შთასლვად ისრაც-ლისად, ხოლო ბაბილოვნელთად ახლად ყოფილ იყო, და არა სხვსა რაღ-სათვისმე, არამედ ცოდვათა და ურჩულოებათა მათთათვის შთავიდეს ტყუ-ეობასა მას. და უკუეთუ ვინ გამოთარგმანებადცა სახელთად ინებოს გუ-ლისწმის-ყოფად, ფრიადი ძალი პოოს ამასცა შინა და სახე დიდი ახლისა ამის რჩულისად აპრაპამ და ისააკ და იაკობისგან, დავით და სოლომონ და ზორობაბელისგან და სხუათა მრავალთა, რამეთუ არა ცუდად ეწოდა მათ სახელები ესე.

გარნა ამისთვის, რადთა არა ფრიად განვაგრძოთ სიტყუად ჩუენი და საწყინო თქუენდა ვიქმნეთ, მრავალნი ესე ძიებანი დაუტევნეთ და წი-ნამდებარე ესე ვთქუათ. წარმოთქუნა მშობელნი ყოველნი და აღასრუ-ლა იოსებისა და არა დაიღუმა ამას ზედა, არამედ შესძინა: „იოსებ, ქმა-

<sup>1</sup> ფსალმ. 9,7.

რი მარიამისი“,<sup>1</sup> რადთა გვჩუქროს, ვითარმედ მარიამისთვის წარმოთქუნა მშობელნი იოსებისნი, რადთა იგი გამოაჩინოს, ვითარმედ თესლისაგან აბრაკამისა და ტომისაგან დავითისა იყო. თუ არა, ყოვლადვემცა არა აჯსენა იოსებ, უკუეთუმცა არა მარიამისთვის იყო ჭიენებად იგი. ხოლო რადთა არა, გესმას [რაღ] ქმარი მარიამისი, ჰელინებდე, თუ რჩულითა მით ბუნებისაგან იშვა, ამისთვის მსწრაფლ განკურნა იჭკ იგი და თქუა: გესმა ქმარი, გესმა დედად, გესმა შობად ყრმისად, ან ისმინე სახეცა შობისა მისისად.

### სახარებად: „ხოლო იესუ ქრისტეს შობად ესრეთ იყო“ (1,18).

თარგმანი: რომელსა შობასა იტყვ, მითხარღა, მახარებელო. ესერა მშობელთა სახელები სთქუ შენ, არამედ მნებავსო სახესაცა შობისასა მითხრობად. „ხოლო იესუ ქრისტეს შობად ესრეთ იყო“. ჰელინება, ვითარმე ყესეულად განაფრთხო გონებად იგი მსმენელისად, რადთა ცნას, ვითარმედ ახლისა რაღმე საქმისა ეგულების სმენად. ან იხილე წესიერებად სიტყვასა მისისად. არა თქუა დაწყებასავე, არამედ პირველად გუასწავა, თუ მერავდენე იყო ქრისტე აბრაკამისითგან, მერავდენე დავითისითგან, მერავდენე ტყუენვითგან ბაბილოვნელთაგან, რადთა უკუეთუ ვის მეცნიერსა ესმას და ინებოს აღრაცხვად წელთად, ცნას, ვითარმედ ჭეშმარიტად ესე არს ქრისტე, რომელსა ქადაგებდეს წინანარმეტყუელნი, და სარწმუნოებით შეიზყნაროს საიდუმლო იგი შობისა მისისად. რამეთუ ეგულებოდა თქუმად დიდი იგი საკურველი, ვითარმედ ქალწულისაგან იშვა, ამისთვის პირველად არა თქუა, არამედ აღრაცხნა წელიწადნი, რადთა მოაწესნოს მსმენელთა სიტყუათა მისთასა, ვითარმედ ესე არს, რომლისათვის თქუა იაკობ წინავსარვე მოკლებასა მას მთავართა იუდაისთასა გამოჩინებად, რომლისათვის წინანარმეტყუელმანა დანიელ ღაღად-ყო, ვითარმედ: „ქრისტესამდე წინამძღვრისა შვდეულნი შვდ და შვდეულნი სამეოცდაორ“.<sup>2</sup> რამეთუ უკუეთუ ვინ ინებოს შვდეულად თქუმულთა მათ ანგელოზისა მიერ წელთა შენებითგან ქალაქისა მის აღრიცხვად, პოოს უამი იგი ქრისტეს შობისად, რამეთუ შვდი იგი და სამეოცდაორი შვდეული წელთა შეკრძების ოთხას ოთხმეოცდასამ წლად. და ესრეთცა იქმნა შენებითგან ქალაქისა მის შემდგომად ტყუეობით აღმოსლვისაგან ესოდენთა მათ წელიწადთა რიცხვ შობადმდე ქრისტესა; ვითარცა ეტყოდა ანგელოზი დანიელს, ვითარმედ სკნა და გულისჯმა-ჰყო გამოსლვისაგან სიტყვასა მიგებად და აღშენებად იერუსალიმისა. ესე იგი არს, ვითარმედ: ამის უამისაგან, ვინავთგან სიტყუასა ამას გეტყვ, განსლვისასა ამიერ და აღშენებასა იერუსალიმისასა ვიდრე „ქრისტესამდე წინამძღვრისა შვდეულნი შვდ და შვდეულნი სამეოცდაორ“. არამედ სახარებისავე მივაკიოთ სიტყუად ჩუენი. ან უკუე მითხარ ჩუენ, მახარებელო, სახე შობისად მის საკურველისად.

<sup>1</sup> მათ. 1,16.

<sup>2</sup> დან. 9,25.

სახარება ამ თხოილ იყო დედად მისი მარიამ იოსებისა, და პირველ შერთვამდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა“ (1,18).

თარგმანი: არა თქუა ჟამისად ქალწული, არამედ „დედად მისი“, რაღაც გესმას დედად და მოელოდი ბუნებითისა რადესამე სმენად. და მერმე მეყსეულად დაურთო განსაკვრვებელი იგი სიტყუად, ვითარმედ: „პირველ შერთვამდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა“. არა თქუა, თუ: პირველ მისლვისა მისისა სახლსა მას იოსებისა, რამეთუ სახლსა შინა მისისა იყო, ოდეს მიუდგა სულისაგან წმიდისა.

და ეს წესი აქუნდა ძუელსა შინა, რომელ მითხოილნი პირველ ქორწილისაცა სახლსა მას სიძისასა იყვნიან, ვითარცა ანცა იქმნების ესე მრავალგზის, რომელ სიძე გინა სძალი პირველ ქორწილისაცა სახლად სიმარისა მივიდის. და ლოთისთვის წერილ არს, ვითარმედ სახლსა მისისა იყვნეს სიძენი მისი პირველ შერთვამდე ასულთა მისთა. ეგრეთვე აქაცა, წესისა მისებრ რჩულიერისა, იყო ქალწული უქორწინებელი მითხოილ სახლსა იოსებისა, და ყოფასა მას მისისა მუნ ეხარა ანგელოზისა მიერ და მეყსეულად მიუდგა სულისაგან წმიდისა. ხოლო თუ რადესათვის არა პირველ მითხოისა მისისა მუცლად-იღო და შვა, ზემო ვთქუთ, რაღაც დაიფაროს მას ჟამსა სიტყუად იგი უხრწნელად და უთესლოდ შობისად, და რაღაც ვერ ცნას მთავარმან მან ბნელისამან განწიორციელებად უფლისად, და რაღაც განერეს ქალწული ყოველსავე ბოროტსა იჭუსა ჰურიათაგან, უგუნურთა მათ და გულფიცხელთა. ხოლო კეთილად და ფრიად სამართლად თქუა ესეცა, ვითარმედ: „იპოვა მიდგომილ“, რომელ-ესე მოულოდებელთა და დაფარულთა საქმეთა ზედა ითქუმის, თუ: იპოვა, რამეთუ არასადა ხილულ იყო ესე, არცა პოვნილ იყო, არცა სმენილ, რომელ-იგი ან „იპოვა მიდგომილ სულისაგან წმიდისა“.

ან უკუე უზეშთაეს ამისა ნუ აღხუალ, ნუცა უმეტეს თქუმულისა ამის ეძიებ; ნუ იტყვკ, თუ: ვითარ აღაშენა ტაძარი იგი წორცთა ქრისტესთად სულმან წმიდამან საშოსა შინა ქალწულისასა? რამეთუ უკუეთუ ჩუენისა ამის ბუნებითისა აგებულებისა სახესა გამოთარგმანებად შეუძლებელ არს, თუ ვითარ შექმნადებს წესი იგი ბუნებითი აგებულებასა წორცთასა საშოსა შინა დედისასა, ვითარ უძლოთ გულისჯის-ყოფად ანუ გამოთქუმად საქმესა მას, რომელი სულმან წმიდამან აღასრულა? რამეთუ იცოდა მახარებელმანცა, ვითარმედ მრავალნი პოვნად არიან ცუდად გამომეძიებელნი ესევითარისა მის საკვრველებისანი, თუ ვითარ იშვა ღმერთი წორცითა, ვითარ კაც იქმნა. ამისთვის, რაღაც არავინ ანყინებდეს ესევითარისა თხრობად, თქუა სახელი ხუროთმოძღვრისად მის და დაიდუმა.

ვითარმცა იტყოდა: ნურას ეძიებთ ჩემგან უმეტესა, რომელი ვიცოდე, ესერა მითხობიეს, ვითარმედ სულისაგან წმიდისა იყო შობად იგი ქალწუ-

ლისაა. ამისა უმეტესი არაა უწყი, ვერცა ძალ-უც გონებასა ჩემსა გულის-შის-ყოფად, ანუ ენასა გამოთქუმად. ჰრცხუენოდენ მათ, რომელი შობა-სა მას ზეცისასა გამოეძიებენ, რამეთუ უკუეთუ ამას შობასა ქრისტესა, რომელი კაცთა შორის იქმნა, რომლისა მრავალნი იქმნეს თუალით მხილ-ველ და მონამე და წელთა მათთა ჰმისახურეს, რომელი აღსასრულსა უამ-თასა გამოჩნდა, უკუეთუ ამას ვერვინ შემძლებელ არს გამოთარგმანებად, ვინ უძლოს მოუგონებელისა მის და დაუსაბამოდსა შობისა გონებითა მიწ-თომად, ანუ ენითა გამოთქუმად? და რაღომ უბადრუკ და უგუნურ და ცოფ არიან, რომელი გამოუკულეველსა მას და მიუთხობელსა ეძიებენ და გამოიკულევენ. რამეთუ სადა-იგი უამნი არა იყვნეს, არცა დღენი და წელთა სიმრავლენი, სადა-იგი სიგრძე საუკუნეთად არა შუამდგომელ იქ-მნა, მხილველი არავინ იყო, მთხობელი და მაუნყებელი არა იპოების, სახე და მსგავსებად მისი არარა არს, ესევითარი იგი შობად ვითარ მოიგონოს გონებამან, ანუ ვითარ ჰმისახუროს ენამან გამოთქუმად? რამეთუ გონებად ჭეშმარიტებასა მას ცნობისა მისისასა ყოვლადვე ვერ მისწუთების, სიტ-ყუად კუალად გონებისა ფრიად უდარეს არს.

ან იხილეთ, თუ რავდენ შორს არს სიტყუად ესევითარისა მის ჭეშ-მარიტებისაგან, ვინავთგან გონებად მიწომად ვერ შემძლებელ არს, და კუალად რად-იგი გონებამან გულისქმა-ყოს, ენასა გამოთქუმად ვერ ძალ-უც. ამისთვის მიუწოდელთა მათ საქმეთა გამოძიებად უგუნურე-ბა არს, რამეთუ ამის ქალწულისაგან შობისათვსცა ვერცა მთავარანგე-ლობმან გაბრიელ, ვერცა მახარებელმან მათე შეუძლეს უმეტესი რაღე თქუმად, არამედ ესე ხოლო, ვითარმედ სულისაგან წმიდისა იქმნა. არა-მედ თუ ვითარ იქმნა სულისაგან წმიდისა ანუ რომლითა სახითა, ვერ-ცა ერთმან უძლო გამოთარგმანებად და არცა შესაძლებელ არს. რამე-თუ გუესმას რად, თუ: „სულისაგან წმიდისა“, ნუ ჰგონებ, თუ ყოველივე გკცნობიერს. მრავალი არს დაფარული ცნობისა ჩუენისაგან, თუ ვითარ დაუტევნელი იგი და გარეშემოუწერელი საშოსა დაეტია, ვითარ დამ-ბადებელი ყოველთად და მპყრობელი არსთად დედაკაცისაგან იშვა, ვი-თარ შვა ქალწულმან უთესლოდ და ეგო ქალწულადვე, ვითარ აღაშენა სულმან წმიდამან ტაძარი იგი, რამეთუ იტყვა: „სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა“.

ან აგებულებასა მას შინა ღმრთივდიდებულისა მის გუამისასა რომელი-რად იყო სულისაგან წმიდისა, ანუ რომელი-რად – საშოვესაგან ქალწულისა? რამეთუ ესე საცნაურ არს, ვითარმედ ჭორცთაგან ქალწულისათა მიიხუნა ჭორცნი. ამისთვის იტყვა: „რომელი-იგი მაგისგან იშვესო“;<sup>1</sup> და პავლე ღაღა-დებს: „შობილი დედაკაცისაგან“.<sup>2</sup> დედაკაცისაგან თქუა, რაღთა დაუყოს პირი მათი, რომელი იტყვან, ვითარმედ არა ქალწულისაგან მიიხუნა ჭორ-

<sup>1</sup> მათ. 1,20.

<sup>2</sup> გალ. 4,4.

ცნი, არამედ ვითარცა წარვლის წყალმან რუდ გინა სტკრი იგი სოლინარისად და არად მიიღის მისგან, ესრეთ წარვლო საშოა იგი ქალწულისად.

ურჩულონო და მედგარნო, რომელი ამას იტყვთ, უკუეთუმცა ესე ეს-რეთ იყო, რად საჯმარ იყო ყოვლადვე შესლვად იგი საშოა დედისასა, ანუ რამცა აქუნდა ჩუენ თანა ზიარებად, არამედ სხუანიმცა იყვნეს ჭორცნი და არა ჩუენისა ამის ბუნებისანი; ვითარმცა უკუე ითქუა ძირისაგან იესესა, ვითარმცა იწოდა კუერთხად ძირთაგან მისთა, ვითარმცა იწოდა ძედ კაცი-სა, ვითარ - თესლისაგან დავითისა, ვითარმცა ეწოდა მარიამს დედა მისდა, ვითარმცა ითქუა, თუ: „ხატი მონებისად შეიმოსა“,<sup>1</sup> ანუ თუ: „სიტყუად ჭორ-ციელ იქმნა“,<sup>2</sup> ანუ ვითარმცა თქუა პავლე: „რომელთაგან ქრისტე ჭორცი-ელად, რომელ-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა“?<sup>3</sup> არამედ დაიყავნ პირი ესევითარისა მეტყუელთად მათ.

ხოლო ჩუენ უწყით ესე და გურნამს სიტყუათაგან სახარებისათა და სხუათა მრავალთა სახეთაგან ჭეშმარიტებისათა, ვითარმედ საშოასაგან ქალწულისა ბუნებად ჩუენი მიიღოდ და უსრწნელისა მის დედისაგან ჭორცი-ელ იქმნა სულისა მიერ წმიდისა. ესე უწყით და მეცნიერ ვართ. თუ ვითარ იქმნა ესე ანუ რომლითა სახითა, არღარა საცნაურ არს, არცა ვეძიებთ; ნუ-ცა თქუენ ეძიებთ, არამედ რაღ-ესე გამოგუეცხადა, შეიწყნარეთ, და რაღ-იგი დაგუეფარა, ნუ ეძიებთ.

სახარება: „ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებად მისი, იზრახა ფარულად განტევებად მისი“ (1,19).

თარგმანი: თქუა რაღ, ვითარმედ სულისაგან წმიდისა იპოვა იგი მიღომილ და არა თესლისაგან მამაკაცისა, გამოაჩინებს ჭეშმარიტებასა სიტყვსა თვისისასა. რაღთა არავინ თქუას, ვითარმედ: ვინად საცნაურ არს ესე, ვინ იხილა ესევითარი სადა, ანუ ვის ესმა, ამისთვის იოსებს შემოიყვანებს დასამტკიცებელად სიტყვსა თვისისა და იქუსა მას, რომელი მაშინ მოუწიდა გულსა მისსა, ვითარმცა იტყოდა: უკუეთუ არა გრწამს ჩემი და იჭუეულ ხარ წამებასა ამას ზედა ჩემსა, გრწმენინ იოსებისი. ამისთვის თქუა, ვითარმედ: „იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო“. სიმართლე შესაკრებელი არს ყოველთა სათნოებათად. ვინათვან მართალი იყო, ჭეშმარიტებადცა და სხუად ყოველი სათნოებად აქუნდა მას. „და იზრახა ფარულად განტევე-ბად მისი“. ამისთვის თქუა პირველ უწყებისა ზრახვად მისი, რაღთა შემდგო-მად უწყებისა ქმნილსა მას არა ურწმუნო იქმნე. იხილე სიმართლე კაცისად მის, არა უნდა განმხილებად მისი. და იჭკ იგი არა განმხილებისა ოდენ, არა-მედ ტანჯვისაცა ღირს იყო ბრძანებისაებრ რჩულისა. ხოლო იოსებ ესევი-თარითა სიკეთითა შემკულ იყო, რომელ არა თუ უზეშთაესი იგი, არამედ უდარესიცა ესე, რომელ არს განმხილებად და შერცხვნებად, არა ენება. და

<sup>1</sup> ფილიპ. 2,7.

<sup>2</sup> იოან. 1,14.

<sup>3</sup> რომ. 9,5.

უნდით, ვითარმედ დიდ არს გულისწყრომად და შური მამაკაცისად ესევი-თარსა იჭუსა შინა, და საქმე იგი არღარა იჭკ იყო, არამედ მიდგომილებად განცხადებულად ჩნდა. არამედ იგი ესოდენ უმაღლეს იყო ყოვლისავე ვნებისაგან, რომელ არა ენება ყოვლადვე შენუხებად ქალწულისა მის. ხოლო ვინავთგან დამჭირვად სახლსა შინა თვისსა ურჩულოებად შეერაცხა და კუალად განმხილებად და სამსჯავროდ მიყვანებად სიკუდილისა მომატყუ-ებელ ექმნებოდა ქალწულსა, არცა ერთი ამათგანი იზრახა ქმნად, რამეთუ უზეშთაეს რჩულისაცა იყო საზომი მისი, რამეთუ ჯერ-იყო მოსლვასა მას მადლისასა მრავალთა სასწაულთა გამოჩინებად უმაღლესისა მის მოქალა-ქობისა.

და ვითარცა-იგი მზე პირველ შარავანდედთა მიფენისაცა განანათლებს სოფელსა, მოეახლოს რად აღმოსლვად, ეგრეთვე ქრისტესა ეგულებოდა რად აღმოპრწყინვებად საშოვას მისგან ქალწულისა, პირველ შობისაცა განანათლებდა სოფელსა. ამისთვისცა უნინარეს შობისა წინანარმეტყუელი იხარებდეს, და დედანი მომავალსა მას მოასწავებდეს, და იოვანე პირველ შობისაცა ჰკრთებოდა საშოვას შინა; ეგრეთვე მადლითა მით უფლისათა იოსებცა სულიერად მოქალაქობდა და არარად სხუად განიზრახა ქმნად, გარნა ფარულად განტევებად მისი. ესრეთ რად იყვნეს საქმენი იგი და ყოველნი განკურვებულ იყვნეს, მოვიდა ანგელოზი ყოვლისავე იჭვა და ორგულებისა დამზინელად. ხოლო ესეცა ღირს არს ძიებისა, თუ რად არა პირველ შესლვადმდე იოსებისა ესევითართა მათ გულისიტყუათა მოვიდა ანგელოზი და განუმარტა საქმე იგი, არამედ ვინავთგან იზრახა განზრახვად იგი, მაშინდა ეჩუენა მას, ვითარცა იტყვს:

**სახარება: „და ვითარ იგი ამას ზრახვიდა ოდენ, ა჊ა ანგელოზი უფლისად ჩუენებით გამოუჩნდა“** (1,20).

თარგმანი: ამისთვის პირველ არა აუნდა ესე ანგელოზმან, რაღთა არა შეემთხვოს იოსებსცა, რად-იგი შეემთხვა ზაქარიას. რამეთუ უკუუთუ მას ახარა რად შობად ბერნისა, რომელ-იგი მრავალგზის ქმნილ იყო, და ვერ არწმუნა, და უფროდასადვე მღდელი იყო იგი და წინანარმეტყუელი და ვერვე შეინყნარა შეუორგულებელად სიტყუად იგი, უკუუთუმცა იოსებისდა ეუნდა შობად ქალწულისა, საქმე, რომელ არასადა ქმნილ იყო, არცა სმენილ, ვითარმცა ჰრწმენა? და ესრეთ შეემთხუეოდა მას, რად-იგი ზაქარიას შეემთხვა. ამისთვის უკუანადსკნელ, გამოჩნდა რად საქმე, მაშინ მიუთხრა ანგელოზმან საიდუმლო იგი, რამეთუ ადვილ იყო მაშინ დარწმუნებად, რომელსა-იგი თუალითა ხედვიდა. ხოლო პირველ მუცლად-ლებისა უკუუ-თუმცა ეუნდა, არამცა ჰრწმენა, ამისთვის არცა ეჩუენა.

და კუალად ესეცა საკურველ არს: დალაცათუ ანგელოზმან არა აუნდა იოსებს, ქალწულმან, რომელმან შეინყნარა ხარებად იგი პირველ მუც-ლად-ლებისა, იხილა რად იოსებ იჭუსა შინა და შფოთსა, რად არა მიუთხრა

სიტყუად იგი სახარებისად და სულისა წმიდისა მიერ მუცლად-ლებად მისი? პირველთქულისა მისვე მიზეზისათვს. იცოდა, ვითარმედ არა ჰრწმენეს სიტყუად მისი უცხოვსა მისთვის საკურველისა. რამეთუ უკუეთუ ანგელოზმან ვერ აუწყა, რადთა არა ურწმუნო იქმნას, ქალწულმანმცა ვითარ მოიგონა დარწმუნებად ესევითარი უსმენელი სიტყუად? რამეთუ უკუეთუ მას, რაჟამს ახარა ანგელოზმან, უცხოდ აღუჩინდა ხარებად იგი, რამეთუ იტყვს ლუკა, ვითარმედ: „შეძრწუნდა სიტყუასა მას მისასა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვად ესე?“<sup>1</sup> და კუალად ჰრქუა მას: „ვითარ-მე იყოს ესე, რამეთუ მამაკაცი არა ვიცი?“<sup>2</sup> უკუეთუ იგი ანგელოზისა სიტყუასა ზედა შეორგულდა, მისიმცა სიტყუად იოსებ ვითარ შეიწყნარა? ამისთვის ყოვლითავე სიბრძნითა და მეცნიერებითა შემკულმან მან ქალწულმან არარად მიუთხრა იოსებს, ხოლო ანგელოზი უამსა ჯეროანსა ეჩუენა და გულსავ-სე-ყო. ეჩუენა ქალწულსა და ახარა პირველ მუცლად-ლებისა, რამეთუ ესრეთ ჯერ-იყო, რადთა არა თვინიერ ხარებისა და მოკითხვისა მუცლად-ილოს ქალწულმან, რადთა არა უმეტესად შეშფოთნეს. რამეთუ არა ჯერ-იყო ყოვლადვე მწუხარებისა და შფოთისა შესლვად სულსა მას, რომლისა საშოსა შევიდა მეუფე ყოველთა, რომელ-იგი შუამდგომელ და მსახურ იქმნა ესევითარისა მის საიდუმლოვსაც; ხოლო იოსებს შემდგომად მუცლად-ლებისა აუწყა საიდუმლო იგი, თითოეული თვისსა უამსა, რომელ-ესე უგუნურთა ვიეთმე ვერ გულისჯმა-ყვეს, არამედ წინააღმდგომ ურთიერთას თქეუს სიტყუად მათესი და ლუკადისი, რომელ-იგი იტყვს, ვითარმედ ქალწულსა ახარა ანგელოზმან; ხოლო ესე იოსებისა გუაუზყებს ჩუენებასა. და ვერ გულისჯმა-ჰყოფენ ცხადსა ამას საქმესა, ვითარმედ ორივე ესე იქმნა: ახარა ქალწულსა პირველ მუცლად-ლებისა და იოსებს ეჩუენა შემდგომად მუცლად-ლებისა, მოახლებულ იყო რად უამი იგი შობისაც. ესრეთ სხუადცა მრავალი იპოოს სახარებასა შინა, რომელი უგუნურთა მიერ საგონებელ არს ურთიერთას წინააღმდგომ. ხოლო ჩუენ განგიმარტოთ, ვითარმედ არარად არს მახარებელთა შორის ურთიერთას წინააღმდგომ, არამედ ყოველივე ჭეშმარიტ და ერთისა მიერ სულისა თქუმულ.

ხოლო იყო რად იოსებ განზრახვათა მათ შინა და იჭუთა, მოვიდა ანგელოზი გულსავსემყოფელად მისდა, ვითარცა იტყვს: „და ვითარ იგი ამას ზრახვიდა ოდენ, აპა ანგელოზი უფლისად ჩუენებით გამოუჩინდა“. და რად-სათვის ჩუენებასა შინა ძილისასა გამოუჩინდა და არა ცხადად, ვითარცა ქალწულსა და ვითარცა ზაქარიას და ვითარცა მწყემსთა მათ? ქალწულსა ცხადად ეჩუენა, რამეთუ დიდ იყო ხარებად იგი და ძნიად დასარწმუნებელ საიდუმლო, და ვითარცა მონაც, პატივით და შიშით ჰმსახურებდა ბრძანებასა მას მეუფისასა; და კუალად ზაქარიას ამისთვის, რამეთუ ტაძარსა შინა იყო ხილვად იგი და იცოდა ურწმუნოებად მისი; ხოლო მწყემსთა ამისთვის,

<sup>1</sup> ლუკ. 1,29.

<sup>2</sup> ლუკ. 1,34.

რამეთუ უმეცარნი იყვნეს და უკუეთუმცა ძილსა შინა ეხილვა, არამცა შე-ერაცხა ხილვად იგი. ხოლო იოსებისი იცოდა, ვითარ იყო კაცი იგი მართალ და მორნმუნე და წრფელ გულითა და სათნო, ამისთვისცა ჩუენებასა შინა ღამისასა გამოუჩნდა და აუწყა ჭეშმარიტებად და მეყსეულად დაარწმუნა. იხილენ უკუე, სიტყუანიცა ანგელოზისანი რავდენითა სიბრძნითა სავსე არიან, ვითარცა გუაუწყებს მახარებელი და იტყვს:

სახარებად: „და აპა ანგელოზი უფლისად ჩუენებით გამოუჩნდა და ჰრეუა მას: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა“ (1,20).

თარგმანი: ძედ დავითისა უწოდა მას, რათა მოაწსენოს აღთქუმად იგი, რომელი იქმნა ნათესავისა მის მიმართ მისისა, რათა მოაწსენოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელთად, ვითარმედ დავითის თესლისაგან მისლვად არს ქრისტე. თუ არა, რადა ათვისება უწოდა აქა ძედ დავითისა, გარნა ამისთვის. „იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ“. ესე შიში იყო გულსა მისსა, ვითარმედ უკუეთუ იყოს ქალწული იგი მიდგომილი სახლსა მისსა, განამნარებს ღმერთსა მის ზედა, რამეთუ მუცლად-ღებისა მისთვის იჭკ ცოდვისად მოუწდა გულსა მისსა, და უკუეთუმცა არა შიშისათვის რჩულისა გარდასლვისა ორგულობდა, არცამცა განტევებად მისი მოიგონა. ესე ყოველნი გულისზრახვანი მისნი მიუთხრა რა ანგელოზმან, გულსავსე-ყო, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოსრულ არს, რომელ გულისზრახვანიცა მისნი იცნის.

„ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა“. წეს არს ესე სიტყვად: მითხოილისა ცოლად წოდებად პირველ ქორწინებისაცა, და დაწინდულისა ეგრეთვე, ვითარცა-იგი დანინდულსა მას ქმრად, სიძედ სახელ-სდებენ. ამისთვის მითხოილი იგი მისდაც ცოლად თქუა მითხოისათვის ოდენ, არა ქორწინებისა; და რამეთუ ჯერეთ სახე იგი მუცლად-ღებისა მისისად არა ეთქუა, ამისთვის ცოლებისა სახელი შორის შემოიღო. რა არს ესე, თუ: „ნუ გეშინინ მიყვანებად“? ესე იგი არს, ნუ გეშინინ პყრობად სახლსა შენსა, რამეთუ მას დაედვა გონებასა თვისსა განტევებად მისი და გარეგან სახლისა მისისა აქუნდა იგი გონებითა. ამისთვის ეტყვეს ანგელოზი, ვითარმედ: რომელი-ეგე განგიშორებიეს სახლისა შენისაგან გონებითა, ნუ გეშინინ მიყვანებად სახედვე შენდა, რამეთუ ღმერთი გიბრძანებს ჭმითა ჩემითა მიყვანებად ცოლად შენდა წოდებული ეგე, არა ცოლად, არამედ დედუფლად შენდა და ყოველთა დაბადებულთა. რამეთუ მუცლად-ღებად ეგე, რომელი შენ მიზეზად განტევებისა შეგირაცხიეს, ეგე არს მიზეზი ყოველთა შიშთა და იჭუთა დაწსნისად, რამეთუ უზეშთაეს არს ბუნებათა. ამისთვისცა ნუ შიშსა ადგენ განაგდებ შენგან, არამედ სიხარულითა დიდითა აღივსე, რამეთუ შორის მისსა მყოფი იგი სულისაგან წმიდისა არს. საკურველ არს სიტყუად ესე, უზეშთაეს გონებისა კაცობრივისა და უაღრეს რჩულთა მათ ბუნებისათა. ვითარ უკუე ჰრენმენა იოსებს, რომელი არღასადა ასმიოდა?

არამედ მაღლმან მან ქრისტესმან მორწმუნე-ყო გული მისი, და ყოვლისავე გულისზრახვისა მისისა მითხრობითა დაარწმუნა ჩუენებამან ანგელოზისა-მან და გულისჯმა-უყო ძალი დიდისა მის საიდუმლოებად.

ხოლო სხუამან ვინმე მამათაგანმან პირველ ჩუენსა ესრეთ თქუა წინამდებარისა ამის სიტყვსათვს, რამეთუ არა დამაყენებელ არს თქუმული-სა მისცა მითხრობად. „და პირველ შერთვამდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა“.<sup>1</sup> იხილა იოსებ მიდგომილებად მისი და გულისჯმა-ყო, ვითარმედ სულისაგან წმიდისა იყო, რამეთუ იპოვა გულისჯმის-ყოფად ესე გულსა შინა მისსა ღმრთისა მიერ. ამისთვის შეშინდა ესევითარისა დედა-კაცისა ქმრად წოდებად; შეშინდა მითხრობადცა ერისადა დიდი იგი და უსმენელი საიდუმლო. ამისთვის იზრახა ფარულად განტევებად მისი. ხოლო მართალი იყო და ამისთვის ლირს იქმნა ჩუენებასა მას ანგელოზისასა. რამეთუ „ვითარცა იგი ამას ზრახვიდა ოდენო, აჳა ანგელოზი უფლისად ჩუენებით გამოუჩნდა და ჰრქუა მას: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ შორის მისსა მყოფი იგი სულისაგან წმიდისა არს“. გამოაჩინა ამით სიტყვთა, ვითარმედ არა ჰრის-ხვიდა და ძკრსა იტყოდა, არამედ ეშინოდა, რამეთუ გულისჯმა-ჰყოფდა, ვითარმედ სულითა წმიდითა აღვესებულ იყო იგი. ამისთვის ანგელოზი შიშსა მას განაქარვებდა და ეტყოდა: ნუ გეშინინ ამის პირისათვს, ნუცა სძრწი, თუ სიტყუად ბოროტი ვინ დაგნამოს. რამეთუ რომელი-იგი შორის მისსა არს სულისაგან წმიდისა, მან ყოველივე ძნელოვანი განაქარვოს. ესერა ჩუ-ენ მიერცა თქუმული თარგმანებად ამის სიტყვსად და პირველ ჩუენსაცა გა-მოთქუმული მიგითხარ, ხოლო შემდგომი ამისი ვაჯსენოთ:

სახარებად: „შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი იესუ“ (1,21).

თარგმანი: გარქუ შენ, ვითარმედ: „სულისაგან წმიდისა არს“. არა-მედ ნუ ჰეთენებ, თუ ამისთვის უცხო იქმნე შენ მსახურებისაგან განგებულე-ბისა მის მისისა, რამეთუ დაღაცათუ შობასა მისსა არა თანაშემწე იქმენ, რამეთუ შეუხებელად ეგო ქალწული, გარნა სხუად იგი ყოველივე, რომელი პატივსა მას ქალწულებისასა არა ავნებს, მინიჭებულ არს შენდა, რაღთა სა-ხელი უზოდო შენ შობილსა მას და ზრდილობად მამისაებრ აჩუენო. დაღა-ცათუ არა არს ნაშობი შენი, არამედ წოდებითა მით სახელისაღთა თვესებად მისა აღგიყვანებ. რამეთუ ესრეთ ჯერ-იყო, რაღთა იყოს იოსებ თანამავალ და მსახურ და შემწე ქალწულისა. არა ქალწულსა მას უჯმდა თანაშემწე, რამეთუ მის თანა იყო შემწე იგი ყოველთად, რომლისა მიმართ იტყოდა მეტყუელი იგი, ვითარმედ: „შენევნა არს ჩემდა სახელითა უფლისაღთა, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანად“,<sup>2</sup> არამედ ჯერ-იყო იოსებისი ქალწულ-სა თანაქცევად, რაღთა საგონებელ იყოს ქალწული იგი ქმროსან, და ეს-

<sup>1</sup> მათ. 1,18.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 120,2.

რეთ დაეფაროს საიდუმლოდ იგი ეშმაკა, და ვერ ცნას, თუ გარდამოწდა ღმერთი ქუეყნად და კაცთა შორის იქცევის.

ჰრქუა მას: „შვეს ძე“. არა თქუა, თუ: „გიშვეს შენ ძე“,<sup>1</sup> ვითარცა ჰრქუა ზაქარიას, რაღაც არავინ ჰეგონებდეს, თუ მამად არს იოსებ ქრისტესი. ამისთვის თქუა: „შვეს ძე“ – სიტყუად თავისუფალი მიუთხრა. რამეთუ არა თუ იოსებს უშვა, ვითარცა-იგი ელისაბედ ზაქარიას, არამედ ამან ყოველსა სოფელსა უშვა მაცხოვარი. ამისთვისცა უწყებად სახელისად მოართუა ანგელოზმან ღმრთისა მიერ იოსებს, არა სახელი ლიტონი, არამედ სახელი საესე ბევრეულითა კეთილითა. ამისთვისცა გამოუთარგმანებს ძალსა მას სახელისასა და სასოებასა კეთილსა დაუდებს და სარწმუნო-ჰყოფს სიტყუასა თვისსა მრავლით კერძო და სიტყუასა მას წინანარმეტყუელისასა დასამტკიცებელად ამის ყოვლისა შემოიღებს. ხოლო რად არს გამოთარგმანებად იგი სახელისად მის? – მომასწავებელი ყოველთა კეთილთა, მაუწყებელი ცოდვათა მოტევებისად, მახარებელი საუკუნობისა ცხორებისად.

სახარება: „რამეთუ მან იჯსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან“ (1,21).

თარგმანი: ვითარცა უცხოდ აუწყა მუცლად-ლებად და საკურველი შობად, ეგრეთვე სახელი შობილისად მის საკურველ, და ნიჭნი იგი, რომელთა მონიჭებად გუახარებს, საწადელ. რამეთუ არა ხილულთა მბრძოლთა ძლევასა ახარებს, არამედ მოტევებასა ცოდვათასა, რომელ-ესე უაღრეს ყოვლისა იყო, რომელი ვერგინ სადა პირველ ამისა უძლო ქმნად.

იტყვან უკუე, ვითარმედ: რაძასათვის თქუა, თუ: „ერი მისი“, და არა შესძინა წარმართთაცა გამოწინად? არამედ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ სიტყუასა ამას შინა წარმართთაცა მოასწავებს, რამეთუ ერი მისი არა ჰურიანი ოდენ თქუნა, არამედ ყოველნი, რომელთაცა ჰრწმენა მისი: გინა თუ ჰურია, გინა თუ წარმართი, რომელთაცა შეიწყნარეს მეცნიერებად მისი, რომელიცა ჰმონებენ მას და ადიდებენ სარწმუნოებითა მართლითა და საქმითა კეთილითა, იგინიცა არიან ერი მისი.

„რამეთუ მან იჯსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან“. გამოაჩინა სიტყუათა ამათ მიერ, ვითარმედ ჭეშმარიტად ძე ღმრთისად არს ქალწულისა-გან შობილი, და იგი არს მეუფე ცისა და ქუეყნისად. რამეთუ არავის წელენიფების მოტევებად ცოდვათა, გარნა რომელსა ბუნებითა მით ღმრთეებისადთა აქუდეს უფლებად ყოვლისადვე. ამისთვის მოვიდა ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისა და ქალწულისაგან ბუნებითა მით კაცთათა უზეშთაეს ბუნებისა, უთესლოდ და განუხრწნელად, რაღაც მოგუცეს შენდობად ცოდვათა მორწმუნეთა მისთა, რაღაც მიჯსნეს მონებისაგან მტერისა, რაღაც ღირს-მყვნეს სასუფე-ველსა ზეცისასა.

<sup>1</sup> ლუკ. 1,13.

## ს ჭავლა დ გითარმედ უწმის ქრისტენესა საქმეთაცა კეთილთა მოგება

ჰედავთა, რავდენთა კეთილთა ღირს-მყვნა, რავდენი ნიჭი მოგუა-ნიჭა სახიერმან მან მეუფემან? ან უკუე ვიღუანოთ ჩუენცა, რადთა არა შეურაცხმყოფელ მადლისა მის ვიპოვნეთ. რამეთუ უკუეთუ პირველ ესო-დენისაცა ამის პატივისა საქმენი ბოროტნი დასაშველ ჩუენდა იყვნეს, რავდენ უმეტესთა სატანჯველთა ღირს ვიქმნეთ, უკუეთუ შემდგომად ესოდენისა მის ქველისმოქმედებისა მისისა უმადლო და განმარისხებელ მისა ვიპოვნეთ. ხოლო ამას ვიტყვკ, რამეთუ მრავალთა ვხედავ შემდგო-მად ნათლის-ლებისაცა უდებებით მყოფთა და მსგავსად მათსა, რომელნი არღა ღირსქმილ არიან კეთილსა მას. ამისთვისცა ვერვინ გამოიცნობს, თუ რომელი არს ნათელდებული, ანუ რომელი – უნათლავი, გარნა თუ უამ-სა მას წმიდისა უამისწირვისასა, რაჟამს წმა-ყოს დიაკონმან განსლვად იგი კათაკუმეველთად, და რომელნიმე განვიდოდინ – უნათლავი იგი, ხოლო ნათელდებულნი შინაგან იყვნიან ტაძრისა. არამედ არა ესრეთ ჯერ-იყო, რადთამცა ნათელდებული და უნათლავი ადგილისაგან იცნობებოდა, არა-მედ საქმეთაგან და წესისაგან ჯერ-იყო ცნობად თითოეულისად, რამეთუ პატივინი ესე და მთავრობანი სოფლისანი სამართლად საცნაურ არიან ად-გილთაგან და სამოსელთა, ხოლო სულიერნი ესე სულიერთა საქმეთაგან გამოჩნდებიან და სათნოებათაგან საცნაურ იქმნებიან.

ქრისტეანესა არა ნათლის-ლებისაგან ხოლო ულირს გამოჩინებად, ვი-თარმედ ქრისტეანე არს, არამედ საქმეთაგანცა კეთილთა, რაჟამს საქმით ალიძუარცოს ძუელი იგი კაცი და შეიმოსოს ახალი და მოიგოს ცხოვრებად განახლებული. ქრისტეანესა ულირს, რადთა ნათელი იყოს სოფლისად და მარილი, ვითარცა იტყვკს უფალი, ვითარმედ: „თქუენ ხართ ნათელნი და მარილნი სოფლისანი“.<sup>1</sup> უკუეთუ კულა ვერცა თავსა თვალსა უნათობდე, ჭ მორწმუნეო, ვერცა თვალსა მას სიმყრალესა განაქარვებდე, ვინად გიცნათ, თუ მორწმუნე ხარ შენ ჭეშმარიტი, ვინად გულასტმა-ვყოთ, ვითარმედ გან-ბანილ ხარ წყალსა მას შინა საიდუმლოდესასა? რამეთუ უკუეთუ შემდგო-მად პატივისა მის ულირსებით იქცეოდი, სასჯელისა მიზეზ გექმნას პატი-ვი იგი, რამეთუ სიმაღლე პატივისად, უკუეთუ მიმღებელი იგი პატივისად უღირსად პატივისა მის იქცეოდის, სასჯელისა და ტანჯვისა მომატყუებელ ექმნების.

ქრისტეანესა უღირს, რადთა ყოვლით კერძო სადიდებელად ღმრთისა იყოს და სარგებელად ყოველთა: საქმით, სიტყვთ, ხედვით, სლვით, ყოვლი-თავე სახითა. ხოლო ესე ვთქუ, არა თუ რადთამცა მაჩუენებლობით რასმე ვიქმოდეთ სახილველად კაცთა, არამედ რადთა ყოველი ცხორებად ჩუენი

<sup>1</sup> შდრ. მათ. 5,13-14.

სახილველად და სათნო-ყოფად ღმრთისა შევჰმზადოთ და ესრეთ კაცთაცა სარგებელ ვექმნეთ. არამედ ან მოაკლდა ჩუენგან სათნო-ყოფად ღმრთისად და მარადის წინააღმდეგომისა მიმართ მიდრევილ ვიპოებით. მიჩუენენ, ჭ მორნმუნეო, სახენი სარწმუნოებისა შენისანი, რაღთა ვცნა, ვითარმედ ჭეშ-მარიტად გამოპრნენვინვებულ არს შენ ზედა ნათელი პირისა უფლისად. ხოლო ან ვითარ გიცნა შენ, თუ ქრისტეანე ხარ, ოდეს ყოველივე სახე შენი წინააღმდეგომ იყოს. უკუეთუ ადგილი ქცევისა შენისად მოვიძიო, ცხენთა სარბიელსა და თეატრონსა და შესაკრებელსა ურჩულოებისასა და კაცთა თანა ბოროტისმეტყუელთა გპოებ; უკუეთუ ხილვად შენი განვიცადო, გან-ცხრომასა შინა და სიცილსა და შუებასა გამოჩნდების; უკუეთუ სამოსელნი შენი ვიხილნე, ცუდსა და ამაოსა სამკაულსა ვპპოებ და არალირსა მამა-კაცისასა; უკუეთუ სიტყუანი შენი ყურად-ვიხუნე, ვერარად კეთილი მეს-მის სარგებელად სულისა შენისა ანუ აღმაშენებელად მსმენელთავსა თქუ-მული; უკუეთუ ტაბლასა შენსა გესტუმრო, უმეტეს ყოვლისა იპოოს მუნ შესმენად ჭორცთამოყუარებისა და შუებისა შენისად. ან უკუე მითხარ, თუ ვინად გიცნა შენ ქრისტეანედ, ვინავთგან ზემოთქუმული ესე ყოველივე წი-ნააღმდეგომისა ღუარძლთა მორჩი არს და არა სწავლათა ქრისტესთად. და რად ვიტყვ ქრისტეანობისა სახესა? არცა თუ ბუნებასა კაცებისასა ვპპო-ებ შენ თანა, არამედ პირუტყუთასა, ვითარცა იტყვს წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისწმა-ყო; პბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“.<sup>1</sup> რამეთუ ოდეს პბორგდე, ვი-თარცა ჯორი, ურქენდე მოყუასასა, ვითარცა კუროდ, მცბიერ იყო, ვითარ-ცა ცხენი, სიტყვსაებრ წერილისა, პნაყროვნობდე, ვითარცა დათკ, განა-სუქებდე ჭორცთა, ვითარცა ღორი, ძკრისმოწესენ იყო, ვითარცა აქლემი, მტაცებელ იყო, ვითარცა მგელი, მრისხანე იყო, ვითარცა გუელი, მცემარ, ვითარცა ღრიაკალი, მზაკუვარ, ვითარცა მელი, გესლსა ბოროტსა პმარ-ხვიდე, ვითარცა ასპიტი და იქედნე, მბრძოლ იყო ძმათა შენთა, ვითარცა ეშმაკი ბოროტი, ვითარ შეგრაცხო შენ კაცთა თანა, რაჟამს სახესა ბუნები-სა მის კაცთავსა ვერ ვპპოებდე?

ეპა საკერველი! ნათელლებულისა და უნათლავისა განყოფილებასა ვეძიებდი და ესერა შემემთხუევის, არცა თუ კაცისა და მწეცისა განყო-ფილებისა პოვნად შენ თანა, რამეთუ მწეცნი თითოეული ერთითა რაღმე ზემოთქუმულითა ბოროტითა შეცყრობილ არს, ხოლო შენ ვინავთგან ყო-ველივე შეგიკრებიეს თავსა შინა შენსა, უძკრეს ქმნილ ხარ მათისა მის პი-რუტყუებისა. ვთქუა უზეშთაესიცა: არიან რავდენიმე ზემოთქუმულთა ამათ ბოროტთაგან, რომელ არცა ეშმაკთა აქუს; არა აქუს მათ ნაყროვნე-ბად, არცა ვეცხლისმოყუარებად; ხოლო ვინავთგან უმეტესნი ვნებანი გქო-ნან შენ მწეცთასა და ეშმაკთასა, ვერ გიწოდო კაცად, და უკუეთუ კაცად

<sup>1</sup> ფსალმ. 48,13.

ვერ გიწეს, ქრისტეანედ ვითარ სახელ-გდვა? და უძრესი ესე არს, რომელ ესევითარსა ამას სიხენეშესა შინა ვერცა თუ გულისწმა-ჰყოფ უშუერებასა მას სულისა შენისასა, არამედ სახესა პირისა შენისასა სარკითა განიცდი და რომელი რაღმე ჰპოვ უშუერებად ანუ წარბთა, ანუ წინამოთა, ანუ სხუა-სა რასმე შინა შენსა სახესა პირისასა, ყოვლითა ღონის-ძიებითა ისწრაფი განშორებად ნაკლულევანებისა მის, ხოლო სულსა შენსა არა განიცდი, ვი-თარითა უშუერებითა სავსე არს, ვითარ მწეცთა მსგავს ქმნილ არს, რა-თამცა იზრუნე კურნებად სახისა მისისა. არა თუ აქაცა არა არს სარკე. ჰე, არს სარკე სულიერი, ფრიად უაღრესი ჭორციელისა მის. იგი უშუერება-სა ოდენ ჭორციელსა გიჩუენებს, ხოლო ესე არა თუ გიჩუენებს ოდენ ნაკ-ლულევანებასა მას სულისასა და უშუერებასა, არამედ უკუეთუ ვინებოთ, შესცვალებსცა უშუერებასა მას დიდადშუენიერებად. რად არს სარკე ესე სულიერი? ქსენებად წმიდათად, გამოსახვად გულსა შინა მათისა მის მო-ქალაქობისად, კითხვად წიგნთად, წურთად მცნებათა ქრისტესთად. უკუეთუ მიხედნე ქრისტეს მცნებათა, უკუეთუ განიცადო სანატრელი იგი მოქალა-ქობად წმიდათად, იხილო მეყსეულად მათისა მის სიკეთისაგან უშუერებად იგი გონებისა შენისა; და იხილო რად, უკუეთუ გენებოს შეცვალებად უშუე-რებისა მის შუენიერებად, არა გეწმაროს შორიელი საქმე ანუ სხუათამიერი შეწევნად, არამედ თავით თვისით შეიცვალო სიბოროტისაგან სიკეთედ.

იხილეთ უკუე და ეკრძალენით; ნუმცა ვინ დაადგრების სახესა მას ში-ნა მწეცებრივსა. რამეთუ უკუეთუ მონასა ვერ ჭელ-ენიფების საუჯვეთა უფლისა თვისისათა შესლვად, მწეცი ვერ შევიდეს, და უფროვსად ესევი-თარი მრავალსახე და მრავალფერი მწეცი. და საკურველი ესე არს, რო-მელ მწეცთა მრავალგზის დაამშედებენ კაცნი და ბუნებითსა მას გულის-წყრომასა და ველურობასა მათსა დაამდოვრებენ; ხოლო შენ, რომელი-ეგე შემძლებელ ხარ მწეცთა დამშედებად და მწეცებრივისა მის ბუნებისაგან მოწყედად, თავსა შენსა ვერ მოაქცევ ბუნებისა გარეგანისა მის უბად-რუკებისაგან და მოიყვანებ ბუნებითსა მას წესსა და სიკეთესა, რომელი მოგცა ღმერთმან, არამედ შორს-ჰყოფ თავსა შენსა ბუნებისაგან თვისისა და გარეგანთა ბუნებისა შენისა საქმეთა შეეკუეთები. რად უკუე მიზეზი გაქუს ამისად, ანუ რად სიტყუად მიუგო ღმერთსა, რომელ ძალ-გიც ღომისა და დათვსა მოწყუედად ბუნებითისა მის სიფიქისაგან და სწავლად, რა-იგი არა აქუს ბუნებასა მათსა, ხოლო თავსა შენსა ვერ მოაქცევ ბუნებისა გარეგანთა მათ საქმეთაგან და მოიყვანებ ბუნებითსავე წესიერებასა, არა-მედ უფროვსად ბუნებითისაგან გარეგან ბუნებისა მიიცვალები.

ან უკუე შეპრაცხენ ვნებანი იგი, რომელი ჰმდლავრებენ სულსა შენ-სა, მწეცად. ესე არიან: გულისწყრომად, გულისთქუმად, ვეცხლისმოყუარე-ბად, დიდებისმოყუარებად, ნაყროვანებად და სხუანი იგი ნაშობნი მათნი. ისწრაფე უკუე მოწურთად მწეცთა მათ, რაღთა დაუტეონ სიბოროტე იგი მათი. რამეთუ არა დაშურე ესოდენ, ვითარ-იგი წურთასა ხილულთა ამათ

მწეცთასა; რამეთუ ამათი ბუნებითი არს სიფიცხე და ველურობად, ხოლო შენ შორის სიბოროტე იგი ვნებათად გარეგან არს ბუნებისა, დაღაცათუ ან უდებებითა შენითა ბუნებითისა უმტკიცეს გიქმნიეს, არამედ ისნრაფე სრულიად დამდოვრებად მათდა, რაღთა არა განილიო ბოროტთა მათ შუათა მათთაგან. რამეთუ ვერ ძალ-უც ესრეთ განპებად საშობასა ლომსა და იქედნესა, ვითარ გულისწყრომად და გულისთქუმად ბრჭალითა მით წამლე-ანითა განხეთქენ და კბილითა მით ბოროტთა ჭამენ გულსა მას, რომელ-სა შინა დაემკვდრნენ, და არა ჭორცთა ოდენ ავნებენ, არამედ უფროვასად სულსა სრულიად წარნებმედენ, და ვითარცა-იგი ჭიანი, დამკვდრებულნი მუცელსა შინა, მავნებელ არიან ჭორცთა, ეგრეთ ვნებანი ესე სულისა გან-მხრწნელ იპოებიან. და რად ვიტყვ ჭიათა? გუელისა ბოროტისა უძკრეს არიან გულისწყრომად და გულისთქუმად და სხუანი იგი ვნებანი. და უკუე-თუ არა შევიდეს წამალი ძლიერი სულსა მას შინა, სადა წამლეანნი ესე გუ-ელნი დამკვდრებულ იყვნენ, და მოაკუდინეს იგინი, არა არს სხვთა სახითა მათგან განთავისუფლებად. ხოლო რად არს წამალი ძლიერი, მომაკუდინე-ბელი მათი? მცნებანი ქრისტესნი, წურთად საღმრთოთა წერილთად, წერე-ბად სიკუდილისად და სასჯელისა მის საუკუნოვად, მოწყალებად, სახიერე-ბად, სინმიდე. უკუეთუ ესენი მოვიგნეთ და ამათ მიერ წმიდა იქმნას სული და ლირს შეწყნარებად წამალსა მას ძლიერსა, მან მოაკუდინოს ყოველი მწეცი და ქუენარმავალი, დამალული გულთა შინა ჩუენთა.

ხოლო რად არს ძლიერი იგი წამალი, რომლისათვის უკმის პირველვე გან-მზადებად და განწმედად სულისად, რაღთა შეუძლოს მიღებად მისა? ესე არს პატიოსანი იგი და უხრწნელი ჭორცი და სისხლი ქრისტესი. უკუეთუ პო-ოს მან სული კეთილად განმზადებული შეწყნარებად მისა, ყოველი მწე-ცი იოტოს მისგან, ყოველი სიმყრალე მის სულისად განაქარვოს, ყოველი ბნელი მისი განანათლოს, და მერმე ცხონდეს სული იგი ცხორებითა მით საღმრთოთა. ხოლო უკუეთუ ესე არა იქმნას და არა მოსწყდენ გულნი იგი და ღრიაკალნი აქავე სულისა მისგან, მო-რაღ-ვიდეს უამი სიკუდილი-სად, მოეხუნიან იგინი გარემო უადრუკა მას და აშთობდან და სჭამდიან და მის თანა წარვიდიან საუკუნეთა მათ სატანჯველთა, და ნუუკუე ამათ ესევითართა მწეცთადა სახელდებულ არს მატლ წამლეან, რომელნი და-უძინებელად სჭამენ და ჰეგუემენ მოყუარეთა მათთა, რამეთუ ესევითარი არს ნაცვალი სიყუარულისა მათისა, და პირველ მუნ მისლვისა აქავე დამ-სჯელ და მიმდლავრებულ მოყუარეთა მათთა არიან, რამეთუ თითოეული ვნებად უძკრეს და უმძვნვარეს არს მწეცისა და განუძღლომელად მტანჯველ სულისა მის შემწყნარებელისა მისისა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „შუანი ლომისანი არიან შუანი მისნი“,<sup>1</sup> და უფროვასად ფრიად უძკრეს შუა-თა ლომისათა. რამეთუ ლომმან ერთგზის შეჭამის შთავრდომილი იგი ჭელ-

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 57,7.

თა მისთავ და წარვიდის, ხოლო ესე ვნებანი არცა განძლებიან, არცა განე-შორებიან მორჩილთა მათთა, ვიდრემდის მისცენ იგინი ჭელთა ეშმაკისათა.

არა არს განძლომაზ, არცა აღსასრული გულისტქუმათა ცოდვისათა, ჯაჭვ არს ბოროტი ერთიერთისადა გამოკიდებულ ჩუეულებაზ ვნებათაზ. არა აქუს აღსასრული, არცა განძლომაზ, ვიდრემდის უფსკრულსა ჯოჯო-ხეთისასა შთააგდის უბადრუკი იგი სული. იხილეთ, უკუეთუ არა ყოველნი ვნებანი ესრეთ არიანა? გინა თუ ვეცხლისმოყუარებაზ სთქუა, გინა თუ გე-მოძმოყუარებაზ, გინა თუ დიდებისმოყუარებაზ, ყოველნივე მძლავრობით მიზიდვენ მოყუარეთა და მორჩილთა მათთა ჩუეულებითა მით, რომლი-თა მიიღეს მათ ჭელმწიფებაზ. ამისთვის ანგაპრი იგი ვეროდეს განძლების ანგაპრებითა და მიმოტაცებითა, მსიძავი ვერ განძლების ბილწებითა მით, დიდებისმოყუარე ეგრეთვე, რამეთუ დიდი აქუს ამასცა ვნებასა მძლავრე-ბაზ სულსა შინა დიდებისმოყუარეთასა.

ან უკუე მოღუაწებაზ ჯერ-არს თითოეულისა მის მძლავრისა მოკლვად, რამთა არა მოვიკლნეთ მათ მიერ. წინააღუდეგ დიდებისმოყუარებასა ამას წარმავალსა სიყუარულითა და სურვილითა დიდებისა მის წარუვალისა-თა. რა არს დიდებაზ ესე სოფლისა? აჩრდილი და კუამლი და სიზმართა უუძლურესი; დღეს სხვასა ჭელთა არნ და ხვალე სხვასათა შევიდის; და კუა-ლად მეყსა შინა დაუტევის იგი და სხვასა მიინის, რომელი ყოვლადვე არა მოელინ. არცა ოდეს არა იყოს, მოულოდებელ არს მათ მიერ, რომელთა არა აქუნ, არცა რომელთა აქუნ, მტკიცე არნ მათდა და შეუცვალებელ. ან უკუე ესევითარისა მის უძლურისა და არარავსა სიყუარულსა რად ესრეთ დამონებულ ხარ? არა უწყია, ვითარმედ რაგზომცა დამონებულ იყო დიდე-ბისა მის ცუდისა სიყუარულსა, უმეტესად შეურაცხ ხარ წინაშე ღმრთისაცა და კაცთა? რამეთუ ნუ ხედავ მათ, რომელნი წინაშე პირსა გაქებენ, არა-მედ გულისწმა-ყავ, ვითარ გულთა შინა შეურაცხ-გყოფენ.

უკუეთუ გიყუარს დიდებაზ, შეურაცხ-ყავ წარმავალი ესე და ჰპოო წა-რუვალი. რად შეპყრობილ ხარ სენითა მით ნაბუქოდონოსორისითა? რამე-თუ მანცა ხატი აღპმართა ნივთისა მისგან ცუდისა და ამაოხსა, რამთამცა მოატყუა თავსა თვესა დიდებაზ, და ცხოველი იგი უსულოვსა მისგან განიზ-რახვიდა დიდებისა მოტყუებად თავსა თვესა და უფროვსად შეურაცხებაზ მოატყუა მას. უკუე დღესცა მრავალნი ჰპაძვენ, და ვითარცა მას ხატისა მის მიერ ენება დიდებისა თვესისა აღორძინებაზ, ეგრეთვე ესენი სამოსლისა სიკეთითა, გინა თუ სახლისა შუენიერებითა, გინა თუ ცხენთა რჩეულობი-თა ისწრაფიან დიდებად თავისა თვესისა. რამეთუ წარუნცმედია დიდებაზ იგი შემსგავსებული ბუნებასა კაცთასა, და მიმოვლენ შეკრებად თავისა თვესისა დიდებასა მას საკიცხელსა.

არამედ წმიდანი იგი სამნი ყრმანი არა ესრეთ იყვნეს, არა ეძიებდეს დიდებასა წარმავალსა და პატივსა განხრწნადსა, არამედ ვინავ-იგი ჯერ-იყო, მისგანცა ბრწყინვიდეს, რამეთუ იყვნეს იგინი ტყუენი, მონანი, უც-

ხონი, ყრმანი, და მეფისა მის სოფლისმპურობელისა, ერთა მიერ მრავალ-თა ქებულისა, უბრნყინვალეს და უდიდებულეს იყვნეს უფროვს, ვიდრელა მზე ერთისა რაღმე უნდოვსა მარგალიტისა უშუენიერეს არს და უნათლეს. რამეთუ ჯდა რაღ მეფე ზუავი და ანპარტავანი და წინაშე დგეს მარზაპანები და ერისთავები შერაცხილი და ძლიერნი წელმწიფენი და მთავარნი და ყოველივე შესაკრებული ეშმაკისა და ისმოდა ჭმა საყვრისა და, სტკრისა, ქნარისა და ემბნისა და ყოვლისა ვე თითოსახისა სახიობისა და საჯუმილი იგი შედნილ მოტყინარე ეგზებოდა, და ყოველივე სავსე იყო შიშითა და ძრწოლითა, მაშინ წარმოდგეს უშიშრად ახოანი იგი და ყოვლადვე არა შეშინდეს, არცა ზარგანტდილ იქმნეს, არამედ ყოველივე იგი შეჰრაცხეს, ვითარცა სამღერელი ყრმათა მცირეთა, და ღალატ-ყვეს ჭმა იგი სანატ-რელი, უძლიერეს ჭმისა მის საყვრთა და ნესტუთასა, და თქუეს: „უწყებულ იყავნ შენდა, მეფეო ნაბუქოდონოსორ, ვითარმედ ღმერთთა შენთა არა ვპმსახურებთ და კერპსა მას ოქროვსასა, რომელი შენ აღჰმართე, არა თაყუანის-ვცემთ“.<sup>1</sup> ხოლო პირველ თქუეს: „რამეთუ არს ღმერთი ცათა შინა, რომელსა ვპმსახურებთ, და შემძლებელ არს იგი განრინებად ჩუენდა“.<sup>2</sup> რაღსათკს სიმრავლესა ამას გვჩუენებ, რასა საჯუმილითა მით ცეცხლისა მექადი, რაღსათკს მახკლთა ლესულთა წინამიყოფ, რაღსათკს მტარვალთა მესისხლეთა წარმოგვდგინება? ამის ყოვლისა უძლიერეს არს და უმაღლეს ღმერთი ჩუენი, და შემძლებელ არს იგი განრინებად ჩუენდა საჯუმილისა მისგან ცეცხლისა აღზებულისა და ჭელთაგანცა შენთა მიქსნეს ჩუენ, მეფე. ამას ზედა გულისჯმა-ყვეს, ვითარმედ ნუუკუე ეგრეთ ინებოს ღმერთმან, რაღთა დაიწუნენ, და თქუან სადმე ურჩულოთა მათ, თუ ვტყუოდეთ, ანუ თუ ვერ ძალ-ედვა ღმერთსა ჩუენსა ჯსნა ჩუენი; ამისთკს შესძინეს და თქუეს: „უკუეთუ არა, უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთთა შენთა არა ვპმსახურებთ“.<sup>3</sup> ესე იგი არს, ვითარმედ: უკუეთუ მიქსნას საჯუმილისა მისგან და ჭელთაგან შენთა, მადლი სახიერებასა მისსა, და თუ არა ინებოს ჯსნა, არამედ დავიწუნეთ, ეგრეთცა არავე ვპმსახურებთ ღმერთთა შენთა. რამეთუ რასა-იგი იქმოდეს, არა სასყიდლისა და ნაცვალისა მოგებისათკს იქმოდეს, არამედ სიყუარული-სათკს ღმრთისა. დაღაცათუ ტყუობასა მიეცნეს და ჭირთა და განსაცდელთა, არამედ სიყუარული იგი ღმრთისა უმეტეს აღორძნდებოდა მათ შორის, რამეთუ არა იყვნეს უმაღლო და მდრტკვნელ, არამედ ყოველსა ვე ზედა ჰმადლობდეს და თავთა თკსთა აბრალებდეს და ცოდვათა თკსთა მიზეზად მის ყოვლისა შემოილებდეს. დაღაცათუ მეფისა მიმართ არა აწ-სენეს, თუ ცოდვათათკს ჩუენთა შემემთხვა, რამეთუ არა იყო უამი ესე-ვითარისა სიტყვსა და არამედ საჯუმილსა მას შინა და გულთა შინა თკსთა ამას იტყოდეს, ვითარმედ ცოდვათათკს შეემთხვა ყოველივე იგი. იხილეა

<sup>1</sup> შდრ. დან. 3,18.

<sup>2</sup> დან. 3,17.

<sup>3</sup> დან. 3,18.

საზომი სრულისა მის სიმდაბლისა და სიყუარულისად? მეფესა ეტყოდეს, ვითარმედ: დაღაცათუ არა მიწნეს ღმერთმან ცეცხლისაგან, არამედ შემინდოს დაწუვად, არადვე გუელმის, არცა უვარ-ვჰყოფთ მას. ხოლო საჯუმილსა რად შეითხინეს, ესოდენსა მას სიმწნესა ზედა და ახოვნებასა იხილე სიმდაბლე გონებათა მათთა, რასა იტყვან, ვითარმედ: „შეგცოდეთ შენ, ყოვლითურთ ურჩულო ვიქმნენით და განგიდეგით ჩუენ შენგან“.<sup>1</sup> და კუალად თხოვადცა წყალობისა არა ღირს-უჩნდეს თავნი თვისნი, არამედ მამათმთავართა წინაუყოფდეს სავედრებელად, ვითარმედ: „ნუ განმაშორებ წყალობასა შენსა ჩუენგან აბრაჟამისთვის საყუარელისა შენისა, ისაკისთვის მონისა შენისა და ისრაცლ წმიდისა შენისა“.<sup>2</sup> ხოლო თავისა თვისისათვის არარას სხუასა კეთილსა წამებენ, არამედ თავსა დამდაბლებულსა და სულსა გლახაკებისასა. ამით ესევითარითა სახითა არა თავთა თვისთათვის ოდენ, არამედ ყოვლისავე ერისათვის ითხოვდეს წყალობასა, რაღთა ყოვლით კერძო სიყუარულითა და სიმდაბლითა შემკობილ იქმნენ. არა იყვნეს მსგავს ჩუენდა, რომელ არა თუ უამსა განსაცდელისა და ჭირისასა, არამედ არცა თუ უამსა განსუენებისა და ლხინისასა ვაწსენებთ ძმათა ჩუენთა. ხოლო იგინი ცეცხლსაცა შინა მოყუასთათვის და ყოვლისავე ერისათვის ვეფრებასა შესწირვიდეს, ამისთვისცა უდიდებულეს მეფისა მის იქმნეს. რამეთუ მაშინცა ალდგა იგი და, ვითარცა მონად, წარმოუდგა კარსა მას საჯუმილისასა მთავართა თვისთა თანა და შიშით მოუწოდა ახოვანთა მათ, აკურთხა ღმერთი და თქუა: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი, რომელმან მოავლინა ანგელოზი თვისი და იქსნნა მონანი მისნი“.<sup>3</sup> და ყოველი იგი ერი განკვრვებული ადიდებდა მათ, და მიერითგან ვიდრე დღენდელად დღედმდე იქადაგების სიმწნე ნეტართად მათ, და ღმერთსა ცათა შინა ალუნერიეს ღუაწლი მათი. ან იხილეთ, ვინ უდიდებულეს იქმნა: ნაბუქოდონისორ, რომლისა წსენებად არასადა არს, რომელი წარწდა, ვითარცა აჩრდილი, და ვითარცა კუამლი განქარდა დიდებად მისი, ანუ სამნი იგი ყრმანი, რომელთა ქებად ღმრთისა მიერ არს და ყოველსა სოფელსა შინა იდიდებიან უკუნისამდე?

ამათ ვჰპაძვიდეთ ჩუენცა, მორწმუნენო, რამეთუ ალმართებულ არს ანცა კერპი ოქროდასად, მძლავრებად იგი მამონავისი; არამედ ნუ მიუპყრობთ ყურსა სტკრთა მათ და ქნართა და ემბანთა და თითოსახესა მას სახიობასა სიმდიდრისა და დიდებისმოყუარებისასა, არამედ დაღაცათუ საჯუმილსა მას სიგლახაკისასა ჯერ-იყოს შთავრდომად, შთავცვეთ გულსმოდგინედ და კერპსა მას ნუ თაყუანის-ვსცემთ. ესე თუ ვქმნათ, იქმნას ჩუენ ზედაცა გარდამოსლვად ანგელოზისად, და მიმოდაყაროს ალი იგი ჭირთა და განსაცდელთად და ყოს საჯუმილსა მას შინა ბრძოლათასა, „ვითარცა ქარი ცუარისად რად წიავინ“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> შდრ. დან. 3,29.

<sup>2</sup> დან. 3,35.

<sup>3</sup> დან. 3,95.

<sup>4</sup> დან. 3,50.

ვივლტოდით მონებისაგან ვნებათავსა, დიდებისმოყუარებისა და ვეცხლისმოყუარებისა და გემოთმოყუარებისა და სხუათა მათ მრავალთა ნაშობთა მათთაგან, რამეთუ ესე არიან დედანი და მშობელნი ყოველთა ვნებათანი. ნუ შევშინდებით ცეცხლისა მისგან ბრძოლათავსა, დაღაცათუ საჯუმილ ეწოდების. რამეთუ მაშინცა, რომელნი-იგი წინააღმდეგს მეფისა მის ბრძანებასა და შეცვეს საჯუმილსა მას სიყუარულისათვს ღრმობისა, არა დაინუნეს, არამედ განპრწყინდეს, ხოლო რომელნი შეშინდეს მეფისა მის მოკუდავისაგან და თაყუანის-სცეს კერპსა მას და გარემო საჯუმილსა მას იქცეოდეს, დაინუნეს. არამედ მაშინ ორივე იგი ერთბამად იქმნა ერთსა შინა უამსა. ხოლო ან ერთი ესე აქა ყოფად არს, და ერთი იგი – მერმესა მას საუკუნესა, და რომელიმე – აქაცა და მერმესაცა. რამეთუ რომელთა ალირჩიონ ჭირი და ღუანლი და სიგლახაკე, შიმშილი და წყურილი და სხუად ყოველივე ღუანლი, – არა მონებისათვს მამონავსა, – აქაცა ბრწყინვალე იქმნენ და მუნცა. ხოლო რომელნი სიმდიდრესა შინა იყვნენ უსამართლო-თაგან მოხუცეჭათა და შუებასა და განსუენებასა და სხუათა მათ ვნებათა მონებასა, შეინუნენ იგინი ცეცხლითა მით გეჰენიისათა დღესა მას საშინელსა, ოდეს მიიღებდეს კაცად-კაცადი საქმეთა თკსთაებრ.

ხოლო შუენიერთა მათ და ახოანთა ყრმათა მიმსგავსებულად შთავარდა ლაზარეცა საჯუმილსა მას განსაცდელთასა, ვითარცა იგინი საჯუმილსა მას ცეცხლისასა, და განპრწყინვებული გამოვიდა საჯუმილისა მისგან და მივიდა წიალთა აბრაპამისთა, ხოლო მდიდარი იგი, თაყუანისმცემელი კერპისა მის ვნებათავსა, გეჰენიასა შინა ცეცხლისასა დაისაჯა; რამეთუ თქუმული ესე სახე არს მერმეთად მათ. და ვითარცა საჯუმილსა მას, რომელნი-იგი შინაგან იყვნეს, უვნებელად ეგნეს, ხოლო გარეშე მავალნი შეინუებოდეს, ეგრეთ იყოს დღესა მას – წარვლონ წმიდათა მდინარე იგი ცეცხლისად და არარა უნებელი შეემთხვოს, უფროვსადღა ბრწყინვალე იქმნენ. ხოლო რომელთა თაყუანის-სცეს კერპისა მისდა ვნებათავსა ცხორებასა ამას და უნანელად ამიერ წარსულ იყვნენ, იხილონ მაშინ საჯუმილი იგი, ვითარცა მწეცი, ზედამიმავალ და შემპყრობელ მათდა.

ამისთვის მარადის გეტყვ: ნუმცა ვის ეშინის საჯუმილისა მისგან განსაცდელთავსა, სიგლახაკისა და ჭირისა და სალმობისადსა, არამედ საჯუმილისა მისგან ცოდვათა და ვნებათავსა ძრწოდენ. რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად ალი შემწუველი, ხოლო იგი ცუარი არს და ნიავი განსუენებისა სულიერისად. საჯუმილსა მას ზედა ცოდვისასა მდგომარე არს ეშმაკი, ხოლო საჯუმილსა მას ჭირისა და შრომისასა მდგომარე არიან ანგელოზნი მიმოდამყრელად ალისა მის. ისმინეთ ესე, მდიდარნო, რომელნი საჯუმილსა მას ჭირისა და განსაცდელისასა აღუტყინებთ გლახაკთა. გულის-ჭმა-ყავთ, ვითარმედ მათ ვერად ავნოთ, მო-რად-ვიდეს მათ ზედა ქარი იგი ცუარისად ზეგარდამო, არამედ სულნი თქუენი მისცნეთ ცეცხლსა მას გეჰენიისასა, აღგზებულსა წელითა ცოდვათა თქუენთავთა. ისმინეთ ესე

და უფროდ ემსგავსენით ანგელოზსა მას ღმრთისასა, რომელი გარდამოწვდა ზედა აზარიელსა და მიმოდაყარა ალი იგი საჯუმილისა მისგან. ეგრეთვე თქუენ მიედით გლახაკთა მიმართ საჯუმილსა მას ჭირისა მათისასა და ყავთ მოწყალებითა შორის საჯუმილსა მას, „ვითარცა ქარი ცუარისად რად ნიავინ“,<sup>1</sup> რათა გკრგვნთა მათ ზიარ იქმნეთ, რომელნი განმზადებულ არიან მოთმინეთათვს, რათა ჭამანცა უფლისამან განკუეთოს ალი ცეცხლისა მის საუკუნოებსად და გრძელას თქუენ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვს სასუფეველი“,<sup>2</sup> და შემდგომი ამისი.

ამან ჭმამან განკუეთოს ალი იგი გეჰენისად და გიტისნეს მისგან. უკუეთუ შთახვდეთ აქა მოწყალებითა საჯუმილსა მას ჭირისასა გლახაკთა თანა და მიმოდაპყაროთ იგი, მუნ იხილნეთ კაცნი მავალნი ცეცხლსა ზედა და არა შემწუარნი, არამედ მადლობისა შემწირველნი ქრისტესა, ვითარცა სამნი იგი ყრმანი. რამეთუ ჭეშმარიტად მსგავს მათდა იქმნებიან, რომელნი მადლობით თავს-იდებენ სიგლახაკესა. რამეთუ ამასცა საჯუმილ ენოდების ჭირისა და განსაცდელისა, და ვითარცა-იგი შეითხინეს რად ყრმანი ცეცხლსა და ინყეს გალობით კურთხევად უფლისა, არა თუ შეუხებელად ხოლო ეგნეს ალისა მისგან, არამედ საკრველნიცა მათნი განიტისნეს, ეგრეთვე, რომელი ჭირსა შინა და სიგლახაკესა შთავარდეს, უკუეთუ შეიწყნაროს მადლობით და მოთმინებით, საკრველნი ცოდვათა მისთანი განიტისნებიან, და ალი იგი განსაცდელთად დაშრტების, და უკუეთუ არა დაშრტეს, უსაკ-კრველეს იქმნების, რამეთუ წყაროდ გარდაიქცევის წყლისა ცხოვლისა. ესრეთ იქმნა მაშინცა: საჯუმილი იგი არა დაივსო, არამედ ეგზებოდა, და იყო შორის მისსა, „ვითარცა ქარი ცუარისად რად ნიავინ“. ეგრეთვე აქა, უკუეთუ არა დაშრტეს საჯუმილი იგი განსაცდელთად, წყაროდ ყოვლისავე სიბრძნისად და ყოვლისავე სათონებისად აღმოეცენების მოთმინებითა, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებად – გამოცდილებასა, და გამოცდილებად – სასოებასა. ხოლო სასოებამან არა არცხვნის“.<sup>3</sup>

ამისთვის გეტყვ თქუენ, გლახაენო და ჭირვეულნო, მოითმინეთ მადლობით ყოველივე ძნელოვნებად ამის საწუთროებსად, რათა წიაღთა აბრაჟა-მისთა მიხვდეთ, რათა სამთა მათ ყრმათაებრ გკრგვნოსან იქმნეთ. გეტყვ თქუენ, მდიდარნო, ნუ გარემო საჯუმილისა მის გლახაკთადასა იქცევით და აღაგზებთ მას, ვითარცა მსახურნი იგი ნაბუქოდონოსორისნი, ნუცა ეკიცხევთ და ეცინით და სწუნობთ მყოფთა მათ საჯუმილსა შინა, რათა არა ალი იგი მოგეხვოს და შეგწუნეს თქუენ; არამედ შევედით თქუენცა მოწყალებითა საჯუმილსა მას და მიმოდაყარეთ იგი, რაოდენცა ძალ-გიც, რათა ემსგავსნეთ ანგელოზსა მას, რათა დაშრიტოთ თქუენთვს განმზადებული

<sup>1</sup> შდრ. დან. 3,50.

<sup>2</sup> მათ. 25,34.

<sup>3</sup> რომ. 5,3-5.

იგი საწუმილი. ნუ თაყუანის-სცემთ კერპსა მას მამონადსსა, რომელი აღუ-მართებიეს თითოსახისა ვნებისად. უკუეთუ წარმოგიდგინნეს მტარგალნი თვესი და საწუმილსა ბრძოლათა და განსაცდელთასა მიგცნეს მიშუებითა ღმრთისახთა გამოსაცდელად ახოვნებისა თქუენისა, თქუნ კაცად-კაცად-მან: არს ღმერთი ცათა შინა, რომელმან მიჩსნეს ჩუენ საწუმილისა მისგან. უკუეთუ არა, და ენებოს ყოფად ჩუენი სოფელსა ამას ჭირთა შინა და განსაცდელთა, იყავნ ნებად მისი. ხოლო ჩუენ კერპთა შენთა, ეშმაკო, არა თაყუანის-ვსცემთ და ზრახვათა შენთა არა ვჰმონებთ. ამას ზედა მოგვალინოს ჩუენ უფალმან ანგელოზი, რომელმან მოგუართუას ზეცით ცუარი ნიავისა მის სანადელისად. ცუარი არს ნიავისა ტეპილისად: შეურაცხებად სიმდიდრისად, დათრგუნვად დიდებისმოყუარებისად, აღწოცად გულისთქუმათა ბოროტთად, დამორჩილებად გულისწყრომისად, წარნყმედად ძვრის-ჯსენებისად, მოპოვნებად ლმობიერებისად, ლოცვისა და გლოვსა მის საქებელისად, მიზომად სიმდაბლესა ჭეშმარიტსა, მადლობასა ღმრთისასა, სიყუარულსა სრულსა და სხუათა მათ ყოველთა სათნოებათა. ესე არიან ცუარნი ნიავისა მის სანატრელისანი, რომელ მოვლენ ჩუენ ზედა, ოდეს შეურაცხ-ვყვნეთ ყოველი საქმენი სოფლისანი და განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი ცოდვათა უშუერებისაგან და ვიქმნეთ ქრისტეანე ჭეშმარიტ და მიმსგავსებულ წმიდათა მათ, „რომელთა სოფელი ესე ღირსვე არა იყო“.!<sup>1</sup> შეურაცხ-ყავნ კაცად-კაცადმან სოფელი, შეიყუარენ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე აღსრულებითა მცნებათა მისთახთა, რამთა აქაცა ბრნყინვალე იყოს სულითა და მერმესა მას საუკუნესა მიუთხორობელთა მათ მიემთხვოს კეთილთა მადლითა და კაცომოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამერ.

<sup>1</sup> შდრ. ებრ. 11,38.

## თავი ე

სიტყუად ესე: „ესე ყოველი იქმნა, რაღთა აღესრულოს თქუმული იგი უფლისა მიერ წინაწარმეტყუელისაგან: აპა ქალნული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი“ (1,22-23).

გესმა, ვითარმედ მრავალნი თქუენ შორის იტყვან, თუ: ვითარ იქმნების ესე, რომელ გუესმოდის რად სწავლად ესე სულიერი ეკლესიასა შინა, ლმობიერ ვიქმნებით და, გან-რაღ-ვიდით ამიერ, ლმობიერებად იგი წარწდის და სხუად შევიცვალნით? ისმინეთ უკუე, თუ ვინაო იქმნების საქმე ესე: ამისთვის, რამეთუ განხვდეთ რად ამიერ, მეყსეულად კაცთა თანა უწესოთა აღერევით და საქმეთა ცუდთა და მავნებელთა შეექცევით. არამედ არა ჯერ-არს, მი-რაღ-ხვდეთ ეკლესიით სახიდ თქუენდა, მეყსეულად უწესოებისა წელ-ყოფად, არამედ მი-რაღ-ხვდეთ კაცად-კაცადი სახლად, პირველად ლოცვისა შეწირვად ჯერ-არს და მერმე წიგნისა წელად აღებად და მცირედ აღმოკითხვად და ესრეთ საქმეთა წორციელთა წელ-ყოფად. ან უკუე გნებავს თუ სმენილთაცა სიტყუათა არადავინყებად და ლმობიერებისა მის კეთილისა დამარხვად, განაჩინეთ მსგეფსასა შინა ერთი დღე სულიერისა საქმისა შესაქცეველად და დღესა მას ერთსა შვდეულისასა შემოკრბებოდეთ აქა და ისმენდით სიტყუათა ამათ სულიერთა და მას დღესა ყოვლითურთ სიტყუათა მათ იწურთიდით და სახლეულთა თქუენთა მიუთხრობდით, რაღთა შეექუსოს წსენებად თქუმულთა ამათ გონებასა თქუენსა და დაუვინყებელ იქმნას. და არა ძნელ არს ესე, არამედ ფრიად სუბუქ. რამეთუ დასასჯელ ვართ, უკუეთუ ექუსი დღე იყოს წორცთა და სოფლისა ზრუნვათათვის განჩემებულად და სულიერისათვის არცა თუ ერთი დღე თავს-ვიდვათ წარგებად. არა ჰეთავთა შვილთა თქუენთა, რამეთუ რაღ-იგი ისწავლონ სასწავლოსა შინა, მო-რაღ-ვიდენ სახლად, დღე ყოველ იწურთიან მას. უკუეთუ ჩუენცა არა ესრეთ ვქმნათ, არად სარგებელი ვპოროთ შთასხმითა წყლისათა ჭურსა შინა განვურეტილსა, რომელნი-ესე არა ვაჩუენებთ ესევითარსა მოღუანებასა საღმრთოთა საქმეთა შინა, ვითარ-იგი გუაქუს ოქროდასათვის და ვეცხლისა. რამეთუ მცირედი თუ ვინმე ოქროდ პოის, საუნჯეთა შინა და ვაშეკარანთა დამალის და ბეჭდითა დაპკრძალის; ხოლო ჩუენ ვპორებთ სიტყუათა უპატიოსნესთა ოქროდასა და მარგალიტისა და ქვათა პატიოსანთა, სიტყუათა სულისა მიერ წმიდისა თქუმულთა, განა არა შევიღებთ კრძალულებით საუნჯეთა შინა გონებისა ჩუენისათა, არამედ უდებებით გუაქუს იგი წარსაპარველად მტერისა მიერ. ვინ უკუე შემინყალნეს ჩუენ, რომელ-ნი-ესე მპრძოლნი ვართ თავთა ჩუენთანი? არამედ ან ვიწყოთ მოსწრაფებით დამარხვად სულიერისა მის საფასისა. რამეთუ არა შესაძლებელ არს ერთსა შინა დღესა ყოველივე წარმოთქუმად ჩუენ მიერ, არამედ რაღ-იგი

მრავალთა შინა დღეთა მიგითხრათ, ვითარცა ჯაჭვკ ოქროშაა შეათხზენით ურთიერთას და გაქუნდეს ყოველივე იგი გუამი წერილთად სრული გონება-თა შინა თქუენთა. ისმინეთ უკუე, რაღ-ესე ან წარვიკითხეთ:

სახარება: „ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს თქუმული იგი უფლისა მიერ წინანარმეტყუელისაგან: აპა ქალწული მიუდგეს და შვეს ძჲ, და უნოდიან სახელი მისი ემმანუელ“ (1,22-23).

თარგმანი: პირველად თქუა მიდგომილებად იგი სულსა მიერ წმიდისა და შობად იგი უხრწნელი. მერმე მიხედნა უფსკრულსა მას კაცომუუარებისა ღმრთისასა, თუ ვითარ მოულოდებელი იგი და მოუგონებელი საქმე იქმნა, ვითარ რჩულნი იგი ბუნებისანი დაიწსნეს, ვითარ განდგომილთა მათ და რისხვეულთა დაგებად იქმნა, და უზეშთაესი იგი ყოველთად უმდაბლესისა და უდარესისა ყოველთახსა მოვიდა, შუაკედელნი დაიწსნეს, და წყალობად ღმრთისად სოფელსა მოეფინა. ღირსად საკურველებისა მის ღალატ-ყო, ვითარმედ: „ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს თქუმული იგი უფლისა მიერ“, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: ნუ ჰელინებ, თუ ახალი არს განზრახვად ესე, არამედ პირველითგანვე განგებულ იყო, ვითარცა გუესმის, ვითარ იტყვს პირითა ესაიადსითა. ხოლო ამას ანგელოზი ეტყვს იოსებს ჩუენებასა შინა, რათა განედვძოს რად და მოიქსენოს სიტყუად წინანარმეტყუელისა, გულისჯმა-ყოს ჭეშმარიტებად თქუმულთად მათ და ცნას, ვითარმედ ესე არს ქრისტე, ძე ღმრთისად, რომელსა ქადაგებდეს წინანარმეტყუელნი, და ჰრისტენეს ჭეშმარიტებად სიტყუათა მათ ანგელოზისათად.

ესე პირველითგან არა მიუთხრა ქალწულსა, ახარებდა რაც. ხოლო იოსებს, ვითარცა მეცნიერსა წიგნებისა მის წინანარმეტყუელთახსა, სამართლად აღუჯსენა სიტყუად ესაიადსი. და პირველ ამისა ეტყოდა, ვითარმედ: „მარიამ, ცოლი შენი“;<sup>1</sup> ხოლო ან, ვინათგან წინანარმეტყუელი მონამედ მოიყვანა უამსა თვესა, სახელ-სდვა მას ქალწულად, რათა ასმინოს სიტყუად, რომელი წურთილ იყო მის მიერ სიყრმითგან, და არღარა შეორგულდეს საკურველსა მას ზედა. ამისთვე მონამედ ჭეშმარიტებისა სიტყუათა თვესთახსა მოიყვანა ანგელოზმან წინანარმეტყუელი, და არა მისა ოდენ კმა იყო, არამედ ღმრთისაცა აღიყვანა სიტყუად და ჰრქეზა: ესე არს, რომელსა იტყვს უფალი პირითა ესაიადსითა: „აპა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უნოდიან სახელი მისი ემმანუელ“. ვითარ უკუე არა ენოდა ემმანუელ, არამედ იესუ ქრისტე? რამეთუ არა თქუა, თუ უნოდო, ანუ თუ უნოდოს, არამედ „უნოდიან“, უნოდიან ერთაო და ჭეშმარიტებამან საქმისამან. რამეთუ არს ესე ჩუეულებად წერილისად, რათა წესი იგი, რომელი საქმეთა მიერ დამტკიცნებინ, სახელად უნოდის, ვითარცა ან ესე არს, რამეთუ სიტყუად იგი, ვითარმედ: „უნოდიან სახელი მისი ემმანუელ“, ამას მოასწავებს,

<sup>1</sup> შდრ. მათ. 1,20.

ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: იხილონ ღმერთი კაცთა თანა. რამეთუ მა-რადის იყო იგი კაცთა თანა, და „სავსე არს ცად და ქუეყანად დიდებითა მი-სითა“;<sup>1</sup> არამედ ესრეთ, ვითარ ან იქმნა, არღასადა ყოფილ იყო, რათამცა მიიხუნა წორცნი კაცოპრივნი და იქცეოდა ქუეყანასა ზედა. ამისთვის თქუა: „უნოდიან სახელი მისი“, ესე იგი არს, ხედვიდნ ყოველნი ღმერთსა კაცთა თანა. ამას ზედა უკუეთუ ჯერეთ მედგრობდენ ჰურიანი და არა შეინყნა-რებდენ სიტყუასა ამას, ვჰკითხოთ მათ, ვითარ იტყვს იგივე წინაწარმეტ-ყუელი: „და მრქუა მე უფალმან: უნოდი სახელი: ადრე წარმოტყუენე და მსწრაფლ წარმოილე“.<sup>2</sup> ოდეს ენოდა მას ესე სახელი? ნუ იყოფინ! არამედ ვინავთგან იშვა რად უფალი ქალწულისაგან, წარმოიტყუენა ძალი მტერი-სა და გამოიჭინეს, რომელნი შეენყუდინეს ჯოჯოხეთს, ამისთვის თქუა, ვი-თარმედ: „უნოდი სახელი: ადრე წარმოტყუენე და მსწრაფლ წარმოილე“. წესი იგი საქმისა და სახელად აღნერა; და კუალად იტყვს ქალაქისა მისთვის, ვითარმედ: „გენოდოს შენ ქალაქი სიმართლისა, დედაქალაქი სარწმუნო, სიონ“.<sup>3</sup> და არასადა იპოების, ვითარმედ ენოდა სახელი ქალაქისა მას სიმარ-თლედ, არამედ მარადის იერუსალტმ იყო სახელი მისი, გარნა უმჯობესისა მიმართ შეცვალებასა მისსა მოასწავებდა და წესი იგი საქმისა და სახელად განაჩინა. რამეთუ ჭეშმარიტად საქმეთამიერი სიმტკიცე უძლიერეს არს მარადის სახელისა და უჭეშმარიტეს.

ხოლო კუალად სხუასაცა წინამიყოფენ სიტყუასა უგუნურნი იგი და თუალდაბრმობილნი ჰურიანი, ვითარმედ თქუმულ არს სხუათა მიერ თარ-გმანთა, რომელთა ებრაულისაგან ბერძულად თარგმანეს, ვითარ აკვლა და სკნმახოს, ვითარმედ: „ესერა ქალი მიუდგეს“; და არა თქუეს ქალწული, დაღაცათუ სამეოცდაათთა მათ თარგმანთა ქალწული თქუეს. პირველად ამას ვიტყვთ ჩუენ, ვითარმედ ყოველივე, რავდენი სამეოცდაათთა მათ თარგმნეს, იგი არს ჭეშმარიტი და სარწმუნო თარგმანება, რამეთუ იგინ უნინარეს ქრისტეს მოსლვისა მრავლითა წლითა იყვნეს, და ორ-ორი შეყე-ნებულ იყო პტოლემეოს მეფისა მიერ, და ყოველნი ერთსა წიგნსა თარგმნი-დეს. რამეთუ ოცდაათხუთმეტგზის ითარგმანა თითოეული წიგნი, ვითარ-ცა იყვნეს სამეოცდაათნი, ორ-ორი სენაკსა ერთსა შეყენებულ; და მერმე მოიღის მეფემან ყოველთა აღწერილი, და არა იპოის ყოვლადვე მათ შორის განწვალება, არამედ ყოველივე სწორად აღწერილ არნ, რამეთუ მადლი ღმრთისა განაგებდა ამას. ამისთვისცა უეჭუელ არს მათ მიერ თარგმანე-ბული, ხოლო აკვლა და სკნმახოს და თეოდოტიონ შემდგომად მრავლისა უამისა ქრისტეს მოსლვისა გამოჩნდეს და თარგმნეს წიგნები იგი ებრაული ბერძულებრ, არა თუ ერთსა უამსა იყვნეს, არამედ აკვლა ადრიანოს მეფი-სა ზე იყო, რომელი ქრისტეანე იქმნა წარმართთაგან და კუალად დაუტე-ვა ქრისტეანობა და ჰურია იქმნა და წინადაიცვთა; და სკნმახოს პერტი-

<sup>1</sup> შდრ. ესაია 6,3.

<sup>2</sup> ესაია 8,3.

<sup>3</sup> ესაია 1,26.

ნაქს მეფისა ზე სამარიტელი იყო, ხოლო თეოდოტიონ კომოდ მეფისა ზე, წვალებისაგან მარკიანელთავსა. ესე სამნივე წინააღმდეგომ ქრისტეანთა სარწმუნოებისა იყვნეს და არარა ჭეშმარიტი და უცომელი თარგმნეს, არამედ რავდენიცა შეუძლეს წინააღმდეგომად ჩუენისა ამის სარწმუნოებისა, გარდააქცინეს წერილნი. ხოლო სამეოცდაათთა შორის არცა ამისი არს იჭკ, თუ შემნე ჩუენდა იყვნეს, არცა თუ მპრძოლ, ამისთვიცა უეჭუელ და ჭეშმარიტ არს თარგმანებად მათი და მადლითა მით სულისა წმიდისათა ალსრულებულ.

ხოლო დაღაცათუმცა ესრეთ წერილ იყო, არავე დამაყენებელ არს სიტყუად ეგე, არცა წინააღმდეგომ ჩუენდა. რამეთუ რა წინააღმდეგომ არს, ანუ რა განყოფილება, გინა თუ ეგრეთ თქუას, ვითარმედ: „ესერა ქალი მიუდგეს უთესლოდ“, გინა თუ: „ესერა ქალწული მიუდგეს“. არამედ ჩუენ სიტყუასა მას დაწესებულსა და სამეოცდაათთა მიერ გამოთარგმანებულსა შევიწყნარებთ, ვითარმედ: „ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ“. არამედ კუალად სხვთაცა სიტყუთა წინააღგკდებიან შვილნი ჰურიათანი, გუელნი იგი, ნაშობნი იქედნეთანი, და იტყვან, ვითარმედ: იყავნ სიტყუად ეგე ეგრეთ, ვითარმედ: „აპა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“; ვინავ ჩანს ამის სიტყუსაგან, თუ უქორნინებელად და უთესლოდ მიუდგა? რამეთუ ყოველი დედაკაცი ჰირველად ქალწულ არნ და მერმე შეერთებითა მამაკაცისათა მიუდგის, და აქაცა წინაარმეტყუელი იტყვს: „აპა ქალწული მიუდგეს“; ხოლო ამას არაღარა შესძინებს, თუ უქორნინებელად და უთესლოდ.

ამის ესევითარისა გესლინისა სიტყვსა მათისა მიმართ ჰირველად ესე ვთქუათ, ვითარმედ: ნეტარ არიან ყურნი, რომელთა არა ასმიეს ჭმად საეშმაკოთა სიტყუათა თქუენთა, და თუალნი, რომელთა არა უხილავს დაბნელებული ჰირი თქუენი, და გულნი, რომელნი არა მონყლულ არიან გესლიანითა მით ნაკბენითა თქუენითა; მერმე ესე მიუგოთ: ურჩულონო და მედგარნო, რომელთათვს იტყვს ესაია: „მოედით აქა, ძენო ურჩულოთანო და ნათესავნო მემრუშეთანო! ვის ზედა აღალეთ ჰირი თქუენი, ანუ ვის ზედა განსძართ ენად თქუენი? ანუ არა თქუენ ხართა შვილნი წარწყმედისანი, ნათესავნი უშჯულონი, რომელნი ევედრებოდეთ კერპთა ხეთა ქუეშე სერტყოვანთა, დაუკლევდით შვილთა თქუენთა ჭევთა შინა და შორის კლდეთა და ადგილთა ღელეთა? მუნ არს ნაწილი თქუენი, და ესე არს სამკკდრებელი თქუენი. მათდა შესწირენ შესაწირავნი. ვავ სულსა თქუენსა, რამეთუ ბოროტი იზრახეთ“<sup>1</sup>. ესევითარსა მრავალსა შემსგავსებულად ურჩულოებისა თქუენისა გეტყვს ესაია და სხუანი იგი წინაარმეტყუელნი: „გულფიცხელნო და ქედფიცხელნო და წინადაუცუეთელნო გულითა, თქუენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინააღუდგებით, ვი-

<sup>1</sup> ესაია 57,3-6.

თარცა მამანი თქუენი, ეგრეცა თქუენ. რომელნი წინაწარმეტყუელთა-განი არა დევნეს მამათა თქუენთა? და მოსწყვდნეს, რომელნი წინააღმარ-უთხრობდეს მოსლვასა მას წმიდისა და მართლისასა, რომლისა თქუენ შინაგანმცემელ და მკლველ იქმნენით“.<sup>1</sup> და ან სიტყუათა მათ საწინაწარ-მეტყუელოთა ბირებითა მამისა თქუენისა ეშმაკისათა გარდააქცევთ და ალაგთა უფლისათა წრფელთა გულარძნილებითა თქუენითა ღრღვან-ჰყოფთ; აღმოიკითხეთ, უკეთურნო, ზემომთრე სიტყუად წინაწარმეტყუ-ელისად და აღიხილენით, ბრძანო, თუალნი თქუენინი, რასა იტყვს ესაია: „და შესძინა უფალმან სიტყუად აქაზისა და ჰრქუა: ითხოე თავისა შენი-სა სასწაული უფლისა მიერ ღმრთისა სიღრმედ მიმართ გინა სიმაღლედ“.<sup>2</sup> და მერმე იტყვს: „თქუა ესაია: ისმინეთ ან, სახლო დავითისო! ნუ მცირე არსა თქუენდა ღუანლისა შემთხუევად კაცთა, და ვითარ ღუანლსა შე-ამთხუევთ უფალსა? ამისთვის მოგცეს თქუენ თავადმან უფალმან სას-წაული: აპა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ“.<sup>3</sup> ან უკუე ვინათგან საქმე ესე, ვითარცა დიდი სასწაუ-ლი და უცხოო, აღუთქუა ჩუენებად, უკუეთუ არა ქალწულისა უქორწი-ნებელისა მოასწავებს უთესლოდ მუცლადლებასა და უხრწელად შობა-სა, ვითარ-ეგე თქუენ წაპრევთ, რად სასწაული არს ანუ რად საკურველი ქალწულისა ქორწინებად და შეერთებითა მამაკაცისათა მიდგომილებად, რათამცა ესე სასწაულად უცხოდ და განსაკურვებელად შემოიღო წინა-წარმეტყუელმან? არამედ წინაწარმეტყუელმან ესრეთ თქუა: უგუნურნო და ცოფნო, ვინათგან სასწაულთა ეძიებთ, სახლო დავითისო, – რამეთუ აქაზ მეფისა მიმართ იტყოდა, – და ღუანლსა შეამთხუევთ უფალსა, გიჩუ-ენოს სასწაული, რომელი დასაბამითგან არასადა ხილულ არს, არცა სმე-ნილ კაცთა შორის. რად არს უცხოდ იგი სასწაული? „აპა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს: ჩუენ თანა ღმერთი“.<sup>4</sup> ესერა სახელიცა მისი თქუა, ვითარმედ: „ღმერთი მოსრული ჩუენდა მომართ“, ვითარცა მცირედ ქუემორე იტყვს განცხა-დებულადრე და ვითარმცა მუნ მდგომარე იყო სულითა მით წინაწარ-მეტყუელებისათა: „ყრმად იშვა ჩუენდა, და ძე მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობად ზედა მწართა მისთა, და ჰრქუან მას სახელი დიდისა ზრახვისა ანგელოზ, საკურველი თანამზრახვალი, ღმერთი ძლიერი, ჭელმწიფე, მთა-ვარი მშკდობისად, მამად მერმეთა მათ საუკუნეთად“.<sup>5</sup> ვისნი არიან სახელ-ნი ესე, ურჩულონო, თვინიერ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი, რომელი გვშვა ქალწულმან სულისაგან წმიდისა.

სახარება: „განიღვდა იოსებ ძილისაგან და ყო ეგრე, ვითარცა უბ-რძანა მას ანგელოზმან მან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თვისი“ (1,24).

<sup>1</sup> საქმე 7,51-52. <sup>2</sup> ესაია 7,10-11. <sup>3</sup> ესაია 7,13-14. <sup>4</sup> ესაია 7,14; მათ. 1,23. <sup>5</sup> ესაია 9,6.

თარგმანი: იხილეა გონებად მორწმუნე და წრფელი, რომელმან მდეს-იგი იჭკ ცოდვისად მოიგონა, განტევებად იზრახა, რადთა არა იყოს სახლსა მისსა წინააღმდეგომი რჩულისად; და კუალად, რაჟამს ესმა სიტყუად ანგელოზისად და იჭკ იგი ბოროტი განქარდა, მეყსეულად ყოველივე ორგულებისა გულისიტყუად აღმოიგდო გულისაგან თვისსა და წარიყვანაო, ესე იგი არს, თუ მიითუალა გონებითა ყოფად ქალწულისა სახლსა შინა მისსა. რამეთუ არა თუ სხუაგან სადმე იყო ანუ განსრულ იყო სახლით, რომელ იტყვს, თუ „წარიყვანა“, არამედ გონებისა მისსა იტყვს ზრახვასა. რამეთუ პირველ ჩუენებისა განეზრახა განტევებად მისი და განვლინებად სახლისაგან მისსა, ხოლო ესმა რად სიტყუად ანგელოზისად და გულსავსე იქმნა, დაამტკიცა გონებასა თვისსა მსახურებად ესრეთ საკურველისა მის ქალწულისა. რამეთუ ცნა, ვითარმედ ესე არს ქალწული იგი, რომლისათვეს მარადის აღმოიკითხვიდა წინანარმეტყუელთა მიერ ქადაგებულსა, ვითარმედ: „აპა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანუელ“;<sup>1</sup> და კუალად იტყვს: „აღმოვიდეს კუერთხი ძირისაგან იცხესისა, და ყუავილი ძირისაგან მისსა აღმოსცენდეს“.<sup>2</sup> გულისწმა-ყო, ვითარმედ ესე არს ბჭე იგი, რომელსა მოასწავებდა ეზეკიელ და იტყოდა: „ვიხილე ბჭე იგი, რომელი იყო აღმოსავალით, და იგი იყო დაწმულ; და მრქუა მე უფალმან: ბჭე ესე დაწმულ იყოს და არა განელოს, და არცა განვიდეს ვინ მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაცლისად შევიდეს მიერ, და იყოს დაწმულ“.<sup>3</sup> გულისწმა-ყო, ვითარმედ ესე არს, რომლისათვეს იტყოდა დავით: „წმიდა-ყო საყოფელი თვისი მაღალმან, ღმერთი მის შორის, და იგი არა იძრას უკუნისამდე“;<sup>4</sup> ესე არს, რომელსა მანვე „კიდობნად სიწმიდისა“<sup>5</sup> სახელ-სდვა. გულისწმა-ყო, ვითარმედ ესე არს, რომელი იაკობ კიბედ იხილა ზეცად აღნევნულად და თქუა, ვითარმედ: „საშინელ არს ადგილი ესე“.<sup>6</sup> გულისწმა-ყო, ვითარმედ ესე არს, რომელი მოსე მაყულად შეუწუველად იხილა, რომელსა შორის ცეცხლი ეგზებოდა, და მაყუალი იგი არა შეინუვოდა;<sup>7</sup> ესე არს, რომელსა სოლომონ „ცხედრად მეუფისა“ და „წყაროდ დაბეჭდულად“ სახელ-სდვა. გულისწმა-ყო იოსებ ყოველი იგი ქადაგებული წინანარმეტყუელთა, რამეთუ განიღვდა ძილისა მისგან უმეცრებისა და განაგდო საბურველი იგი, რომელი ძეს გულსა ზედა ჰურიათასა, და მიითუალა გონებითა მსახურებად ქალწულისად მის და წარიყვანა ცოლი თვისი. იხილეა ესეცა, ვითარპირველ შობისა ზედასზედა ცოლად მისა სახელ-სდებს? რამეთუ ვითარცა-იგი მაშინ განგებულებით ცოლად მისა საგონებელ იყო ზემოთქუმულთა მათ მიზეზთათვს, ეგრეთვე მახარებელი სიტყუასა თვისსა შეჰიბადებს, სიტყვთ იტყვს სახელსა ცოლებისასა, ვითარცა მაშინ საგონებელ იყო, და საქმით გამოაჩინებს ჭეშმარიტებასა მას საქმისასა და ღალადებს:

<sup>1</sup> ესაია 7,14.

<sup>2</sup> ესაია 11,1.

<sup>3</sup> შდრ. ეზეკ. 44,1-2.

<sup>4</sup> ფსალმ. 45,5-6.

<sup>5</sup> ფსალმ. 131,8.

<sup>6</sup> დბ. 28,17.

<sup>7</sup> შდრ. გამ. 3,2.

სახარება არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თვისი პირმშოვ, და უწოდა სახელი მისი იესუს“ (1,25).

თარგმანი: კუალად ამათ სიტყუათათვს ბრძოლად აღმიღებიან ურჩულონი ჰურიანი და მათისა მის სიბოროტისა მიმსგავსებული მწვალებელი ვინმე, უცხონი შვილთაგან ეკლესისათა, და ცუდადმეტყუელებენ და ამას ზრახვენ, თუ შემდგომად საკურველისა ამის შობისა კუალად მოასწავებსო სახარებად შობასა ქალნულისასა რჩულითა მით ქორწინებისათა, და ამას სიტყუასა შემწედ თვისისა უგუნურებისა მოიღებენ, ვითარმედ: „არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თვისი პირმშოვ“.

ხოლო ჩუენდა ფრიადი შრომად არად საჯმარ იყო ამისთვს, რამეთუ ესე ოდენ იყო საძიებელი, რომელ მახარებელმანცა გამოაჩინა, ვითარმედ უთესლოდ შვა და ქალნულადვე ეგო და შემდგომი ამისი. ცხად არს ყოვლისავე კაცისა მიერ გულისჯმისასაყოფელად, ვითარმედ შეუძლებელ იყო ქალნული იგი, ესევითარისა მის უცხოვსა მიდგომილებისა და საკურველისა შობისა ღირსებული, შემდგომად შობისა მის წესსა მას ქორწინებისასა მონებად, ანუ იოსებისა კადრებად შეხებად მისა. არამედ რაღათა განჩინებულადცა პირი დაუყოთ პირთა მათ ულობავთა და გულთა მწკრისახეთა, ესრეთ ვიტყვთ: ნუ იყოფინ ესე, ურჩულონო, ნუ იყოფინ! უბინდ ეგო მარადის და შეუხებელად საუნჯე იგი ქალნულებისად; არა განეღო ყოვლადვე ტაძარი იგი ღმრთისად, რომლისათვს ჰრეზუა უფალმან ეზეკიელს: „ბჭე ესე დაწმულ იყოს და არა განეღოს, და არცა განვიდეს ვინ მიერ, რამეთუ უფალი ღმრთი ისრაულისად შევიდეს მიერ, და იყოს დაწმულ“.<sup>1</sup>

ხოლო მრქუან თუ, ვითარმედ: რადასათვს თქუა მახარებელმან, თუ: „არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თვისი პირმშოვ“? ვჰრქუათ ჩუენ ჰინდოთა მათ გონებითა და სულითა: უწყით-მეა, რასა-ეგე იკითხავთ? ჰე, უგუნურ ხართ და უსწავლელ, უგულისჯმო და ბრმა, არამედ ჩუენგან ისწავეთ სიტყუად ესე, თუ: ვიდრემდე და ვიდრემდის – მუნ ჟამადმდე, სადა-იგი იყოს სიტყუად მეტყუელისად, მოასწავებს, ხოლო წალმართ მისა არას გამოაჩინებს, არცა აღსასრულსა რას მის საქმისასა დაამტკიცებს, უკუეთუ სხუად არარა შესძინოს. და მრავალი მაქუს ამის სიტყვას სახე წმიდათა წერილთაგან, რომელთაგან მცირედი ვთქუა გულისჯმისაყოფელად სახეთა მათ სიტყუათასა. ჰრქუა უფალმან მოციქულთა შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა: „აპა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“?<sup>2</sup> რად არს ესე? ნუუკუე შემდგომად სოფლისა აღსრულებისა განეშოროსა უფალი მათგან? და ვითარ ეგების ესე მოგონებადცა? და კუალად იტყვს დავით წინაწარმეტყუელი: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დაგსხნე

<sup>1</sup> ეზეკ. 44,2.      <sup>2</sup> მათ. 28,20.

მტერნი შენი ქუეშე ფერწა შენთა“.<sup>1</sup> ენამების მას მოციქული პავლე და იტყვს: „რამეთუ ჯერ-არს მისა სუფევად, ვიდრემდე დაისხნეს მტერნი მისნი ქუეშე ფერწა მისთა“.<sup>2</sup> რასა იტყვთ ამისთვის? ნუუკუე სთქუათა, ვითარმედ ჯდეს იგი მარჯუენით მამისა და სუფევდეს, ვიდრემდე დაემორჩილნენ მტერნი მისნი, და მერმე აღდგეს მარჯუენით ჯდომისაგან, ანუ არღარა სუფევდესა? რომელმანმცა ეშმაკმან მოიგონა ესე ანუ იკადრამცა თქუმად? მ თქუენ, ეშმაკთა უურცხვნესონ!

და კუალად წერილ არს დაბადებასა შინა: „არა მოიქცა ყორანი იგი ნოესა, ვიდრემდე განწმა ქუეყანად“.<sup>3</sup> არა თუ ამას მოასწავებს, ვითარმედ შემდგომად განწმობისა მოიქცა. და კუალად წერილ არს: „გამობრნყინდეს დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვდობა, ვიდრემდე განკუდეს მთოვარე“.<sup>4</sup> არა თუ ამას იტყვს, თუ ამისა შემდგომად არღარა ბრნყინვიდეს სიმართლე და მშვდობა მისი. და სხუად ესევითარი მრავალი არს გამოჩინებად, ვითარმედ სიტყუად ესე: ვიდრემდე ანუ ვიდრემდის – სადამდის სიტყუად იგი იყოს, მოასწავებს, ხოლო ალსასრულსა მის საქმისასა და ამისა შემდგომად არღარა ყოფასა არა გამოაჩინებს.

ეგრეთვე აქა არა თუ ამისთვის თქუა: „არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თესი პირმშო“, რაღათამცა მოიგონე, თუ მისა შემდგომად იცნა, არამედ „ვიდრემდე შვა ძე თესი“ ამისთვის თქუა, რაღათა უცხოო იგი და საკურველი საქმე დაამტკიცოს უთესლოდ და უხრწნელად შობისა. ხოლო შემდგომი ამისი დაიდუმა, რამეთუ საკურველი ესე იყო და ძნიად დასარწმუნებელი: უთესლოდ და უხრწნელად შობა. ან რომელი-ესე ძნელ იყო საცნობელად და უცხო მოგონებად, გუასწავა მახარებელმან, ხოლო რომელი-იგი ადვილ იყო და ცხად, ჩუენ დაგვტევა გულისქმისასაყოფელად; რამეთუ რაღმცა იყო ამისა უმეტეს ცხად და გულისქმისასაყოფელად ადვილ, ვითარმედ შეუძლებელ იყო გამოუთქუმელისა მის შობისა შემდგომად წესსა მას ქორწინებისასა შესლვად წმიდისა მის ქალწულისა, რომელი-იგი შობამდე ქალწულ იყო და შობასა ქალწულ და შემდგომად შობისა ქალწულადვე ეგო და კურთხევად იგი შვილიერებისა დაიმკვდრა.

ეპა საკურველი! ქალწული დედა იქმნა და ქალწულადვე ეგო. ჰედავა განახლებასა მას გონებისასა? სხუათა დედათა ზე ვიდრემდის ქალწული იყოს, დედა არა არს, და რაჟამს-იგი დედა იქმნას, ქალწულება არა აქუს; ხოლო აქა ორივე ესე სახელი ერთად შემოკრბა. რამეთუ იგივე დედა არს და ქალწული, და არცა ქალწულებამან შობად დააყენა, არცა შობამან ქალწულება დაჲვსნა; და ნანდკლვე ეგრეთ შუენოდა, რომელი-იგი უხრწნელ-ყოფად ბუნებისა ჩუენისა მოვიდა სოფლად, რაღათა დაწყება უხრწნელებისა დედისა თვისისაგან ყოს, რომლისაგან თავს-იდვა განკაცება სულისა მიერ წმიდისა. ამას მოასწავებდა ხილვად იგი, რომელი იხილა

<sup>1</sup> ფსალმ. 109,1.

<sup>2</sup> კორ. 15,25.

<sup>3</sup> დაბ. 8,7.

<sup>4</sup> ფსალმ. 71,7.

მოსე რჩულისმდებელმან, რაჟამს ცეცხლი ედებოდა მაყუალსა მას და არა შესწუვიდა; რამეთუ ეგრეთვე ქალწულმან გკშვა ცეცხლი ღმრთებისად და არა განიხრნა.

ესე ყოველი ესრეთ გულისჯმა-ყავთ, ვითარცა ვთქუთ ჭეშმარიტი გან-მარტებად სიტყვისად მის, ვითარმედ: „არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თუსი პირმშოდ“.

პირმშოდ ეწოდა უფალსა ჩუენსა ქალწულისაგან, და კეთილად ეწო-და, არა თუ რაღამარცა მოასწავა, თუ სხუადცა იშვა შემდგომად მისა, – ნუ იყოფინ! – არამედ რომელ-იგი არასადა იშვა სხუად ესრეთ. რამეთუ ვის ესმა სადა შობად უთესლოდ და მშობელისა მის უხრწნელად დამარხვა? ამისთვის პირმშოდ ეწოდა, რამეთუ პირმშოდსა სახელი არა თუ სხუათა შემ-დგომად მისა შობასა გამოაჩინებს, არამედ რომელმან-იგი პირველ განა-ლოს საშობ, მას ეწოდების პირმშო, გინა თუ შეუდგენ სხუანიცა ძმანი, გინა თუ არა. ამით სახითა თქუა, ვითარმედ: „ძე თუსი პირმშო“, ვითარმცა იტ-ყოდა, თუ: ძე, რომელი დასაბამითვან ესვითარი არა შობილ იყო ქუეყანა-სა ზედა, არამედ ან იშვა პირმშოდ და მხოლოდშობილი.

ეგრეთვე პავლეცა მოციქულმან სახელ-სდვა უფალსა პირმშოდ მამისაგან შობითა მით დაუსაბამოეთა, რამეთუ იტყვს: „რომელი-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისად, პირმშოდ ყოველთა დაბადებულთად“;<sup>1</sup> არა-მედ არა თუ ამით სიტყვთა სხუასაცა ბუნებითსა ძმასა უფლისასა მოას-წავებს. და კუალად იგივე პავლე იტყვს უფლისათეს: „რომელი-იგი არსო დასაბამი, პირმშოდ მკუდრეთით“;<sup>2</sup> არამედ არა თუ ეგრე გუასწავებს, თუ სხუადცა ვინ იპოა მსგავსად უფლისა შემუსრველი ჯოჯოხეთისად და მე-სამესა დღესა დიდებით აღდგომილი მკუდრეთით ძალითა მით ღმრთე-ბისადთა.

ამისთვის უკუე ისმენდი მეცნიერებით და გრწმენინ ღმრთისმოყუარე-ბით: პირმშო ეწოდა უფალსა მამისაგან, რამეთუ პირველ საუკუნეთა მხო-ლოდ მხოლოდ მხოლოდსაგან იშვა შობითა უცხოეთა და მოუგონებელითა; პირმშო ეწოდა ქალწულისაგან, რამეთუ არასადა შობილ იყო კაცთა შორის დედაკაცისაგან უთესლოდ ყრმად და შემდგომად შობისა დაეცვა დედა ქალწულად; პირმშო ეწოდა მკუდრეთით, რამეთუ მან ყო შემუსრვად ჯო-ჯოხეთისად და დაჲვსნა ძალი სიკუდილისა, რომელი ადამისითვან ვიდ-რე მისდამდე სუფევდა კაცთა ზედა. სამკერძოვე პირმშო ეწოდა მეუფესა ჩუენსა ქრისტეს, რაღამა იყოს იგი თავადი ყოველსა შინა მთავარ, და განჩი-ნებულ იყოს დიდებად მისი ყოველთა შორის.

და კუალად მეტყვან ჩუენ წინააღმდეგომნი, ვითარმედ: იყავნ, რაღ-ეგე სთქუ ესრეთ, არამედ ესეცა განგვირტე, ვითარ ძმად მისა ეწო-და იაკობს და ძმათა მისთა. ისმინეთ ამისთვისცა: ვითარცა-იგი იოსებ

<sup>1</sup> კოლ. 1,15.

<sup>2</sup> კოლ. 1,18.

არა ქმარი იყო მარიამისი, არამედ ესრეთ საგონებელ იყო, და მამად იესუსაცა უწოდდეს, ეგრეთვე ძეთა მათ იოსებისთა ძმად ეწოდა მისა, რამეთუ, ვითარცა ზემო ვთქუ, მრავალი იქმნა განგებულებით სიტყუად დასაფარველად უთესლოდესა მის და უხრწნელებით შობისად. ამისთვისცა იტყოდა მათთვე იოვანე, ვითარმედ: „არცა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი“.<sup>1</sup> არამედ რომელი-იგი პირველ ურწმუნობით იყვნეს, იქმნეს უკუ-ანადსკნელ დიდ და საკურველ, და უფროვასად ნეტარი იგი იაკობ, ვიდრე-ლა ოდეს-იგი აღვიდეს პავლე და მისთანანი იერუსალტმდ რჩულისათვე კითხვად და წესთათვეს, მისა მივიდეს. რამეთუ ესრეთ საკურველი კაცი იყო, ვიდრელა პირველი ეპისკოპოსი იგი იქმნა ქრისტეანეთად, და წერილ არს მისთვეს, ვითარმედ ესოდენ ფიცხელი მოღუანებად აქუნდა, რომელ სრულიად ასონი მისნი მკუდარ იყვნეს, და მრავლისა ლოცვისა და მუქ-ლთდრეკისაგან და ზედავსზედა შუბლისა მისისა ქუეყანად დადებისაგან ესრეთ იქმნა შუბლი მისი დაბებკულ და დაკანებულ, რომელ არარამთა უმოლხინეს იყო მუქლთა აქლემისათა, ესოდენ განზრქელებულ იყო ტყა-ვი და განკაფებულ ჭორცნი მრავლითა მით მოღუანებითა. ამან კუალად პავლეს, მისლვასა მას მისსა იერუსალტმს, ასწავა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „შევიდა პავლე იაკობისა, და ყოველივე მოვიდეს ხუცეს-ნი, და მოიკითხნა იგინი. და ჰრქუა მას იაკობ: ჰედავა, ძმაო, რავდენ-ნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი!“<sup>2</sup> რამეთუ მათ ყოველთა წინამდლუარი და მოძლუარი იაკობ იყო, ესოდენ აქუნდა ღმრთისა მიერ მადლი და შური საღმრთო. ხოლო უჯუანადსკნელ მოიკლაცა ურჩულოთა ჰურიათა მიერ სახელისათვეს ქრისტესისა, რამეთუ წამა ჭეშმარიტებად და ქადაგა ღმრთებად მისი კადნიერებით.

ესრეთ მიუთხობელმან ძალმან ქრისტესმან აღავსნა მადლითა, და რომელი-იგი პირველ ჯუარ-ცუმისა ურწმუნო იქმნეს მისა მიმართ, შემ-დგომად აღდგომისა ესრეთ აღივსნეს სარწმუნობითა მისითა და სიყუა-რულითა, ვიდრელა არა ჰრიდეს სისხლთა მათთა დათხევად და სულთა მათთა დადებად სახელისა მისისათვეს. რამეთუ ჭეშმარიტად მიუთხობელ არს მადლი უფლისად, რომელი აღდგომითა მისითა მოჰვინა მოციქულთა ზედა და მათ მიერ ყოველთა მორწმუნეთა, და ამისთვეს უდიდებულესნი ძალნი შემდგომად აღდგომისა გამოჩნდეს, რაღთა უეჭუელ იყოს ჭეშმარი-ტებად ქადაგებისა მათისად.

რამეთუ ჩუეულებად ბუნებისა ამის კაცობრივისად ესე არს, რომელ მრავალნი იყვნიან სოფელსა შინა დიდებულ და ქებულ და ყოველთა მიერ საწადელ, ხოლო წარ-რაღ-ვიდიან ამიერ სოფლით, მეყსეულად დაივინები-ან, ვითარმცა ყოვლადვე არა ყოფილ იყვნეს. ხოლო ქრისტე, იქცეოდა რაღ ქუეყანასა ზედა, შეურაცხებით იქცეოდა, ვითარცა ერთი მდაბალთაგანი,

<sup>1</sup> იოან. 7,5.

<sup>2</sup> შდრ. საქმე 21,18-20.

და არა მრავალთა ჰრიშტინა მისი. ხოლო ჯუარს-ეცუა რად ცხორებისათვის ჩუქუნისა და სიკუდილისა გემოვ იხილა და აღდგა მკუდრეთით და ზეცად ამაღლდა, ესოდენ განეფინა მადლი მისი ქუცანასა ზედა, ვიდრელა ყოველნი მას შეეწყნარნეს, და მრავალთა სახელისა მისისათვის სიკუდილი სისარულით დაითმინეს, და აღივსო სოფელი დიდებითა მისითა.

## სტატია 2

### ვითარმედ არა ჯერ-არს სხუათა სათნოებასა მინდობად, არამედ თავით თვისით მოღუანებად; და მოვახშეთათვს

ხოლო ამას ყოველსა არა ამისთვის ვიტყვით, რაღთა გესმოდის ხოლო, არამედ რაღთა პბაძვიდეთცა სიმწენესა მას წმიდათასა, კადნიერებასა მათ-სა მძლავრთა მიმართ და ყოველსა მას სიწმიდესა, რაღთა არავინ წარიკუ-ეთოს სასოებად, დაღაცათუ პირველ ამისა უდებ იყო და დაწსნილ, რაღთა არას ვინ ესვიდეს სხუასა, გარნა წყალობასა ღმრთისასა და ნაყოფსა თვისი-სა მის სინანულისა და შრომისასა. რამეთუ უკუეთუ მათ არას სარგებელ ეყო თვეშბა ქრისტესი, რამეთუ მისვე ტომისა და ნათესავისანი იყვნეს, ვინაზცა ქრისტე გამოჩნდა, უკუეთუმცა არა ეჩუენა წესი ესევითარისა ამის დიდისა სათნოებისა, ვითარ ჩუენგანი მრავალნი განსამართლებელად თავისა თვისისა იტყვან თვეშბასა და ძმობასა ანუ შვილებასა კაცთა მარ-თალთასა? არამედ არარად ამის ესევითარისა გულისიტყვასაგან გუერვე-ბის ჩუენ, უკუეთუ არა ვიღუანოთ აღსრულებად მცნებათა. ამისთვის იტყვს წინანარმეტყუელი: „ძმამან ვერ იქსნას, იქსნასა იგი კაცმან?“<sup>1</sup> ვერვინ გჩქინის, უკუეთუ ჩუენცა არა გუაქუნდეს ნაყოფი სინანულისა, არცა თუ მოსე იყოს, გინა სამოელ, გინა იერემია. და ისმინე, რად მიუგო უფალმან იერემიას: „ნუ ილოცავ ერისა ამისთვს“, რამეთუ არა ვისმინო შენი; და რად გიკვრს, უკუეთუ შენი არა მესმის? დაღაცათუ მოსე ანუ სამოელ მევედრე-ბოდეს, არავემცა ვისმინე მისი;<sup>2</sup> დაღაცათუ ეზეკიელ ევედრებოდის, არა ესმას მას; აღ-თუ-დგენ ნოე და ოიბ და დანიელ, ძენი და ასულნი მათნი ვერ განარინენ;<sup>3</sup> დაღაცათუ აბრაჟამ მამათმთავარი ევედრებოდის უკურნებე-ლად ცოდვილთათვს და არამოქცეულთა სინანულად, არავე ისმინოს მისი; დაღაცათუ სამოელ იყოს, ჰრქუას მას: „ნუ იგლოვ საულისთვს“;<sup>4</sup> დაღაცა-თუ დისათვს ვინ ევედრებოდის, ვითარცა მოსე მარიამისთვს, უკუეთუ არა ჯერ-იყოს, არა ისმინოს მისი.<sup>5</sup>

არა თუ ამას ვიტყვით, თუ ლოცვასა წმიდათასა არა აქუს ძალი. ჰე, ჭემ-მარიტად დიდი ძალი აქუს! არამედ მაშინ სარგებელ არიან ჩუენდა, ოდეს

<sup>1</sup> ფსალმ. 48,8.

<sup>2</sup> შდრ. იერ. 11,14; 14,11; 15,1.

<sup>3</sup> შდრ. ეზეკ. 14,14-18.

<sup>4</sup> შდრ. 1მეფ. 16,1.

<sup>5</sup> რიცხ. 12,13-14.

ჩუენცა სინანულად მოვიქცეთ და ცოდვისაგან განვეშორნეთ. და ესე საცნაურ არს, ვითარმედ დიდი კადნიერებად აქუნდა მოსეს, ამისთვისცა იქ-სნა ძმად თვისი და სამეოცი ბევრი ერისად მის რისხვისაგან მონევნულისა ღმრთისა მიერ; და დაა თვისი ვერ იქსნა. და არავე დიდი იყო მისი იგი ცომად, რამეთუ მან მოსესთვის თქუა სიტყუად შეურაცხი, ხოლო მათ ღმერთსა შესცოდეს. საძიებელ არს, თუ ვითარ იგინი მიანიჭნა მოსეს, ევეფრებოდა რად, და დისათვის არა უსმინა? და რად ვიტყვა დისათვის? თავისა თვისისათვის ვერ ითხოა საქმე ერთი, არამედ ესოდენთა შრომათა შინა და ჭირთა, შემდგომად ორმეოცისა ნლისა თვითობა და ღუაწლთა, დაყენებულ იქმნა შესლვად ქუეყანასა მას აღთქუმისასა.

რადასათვის უკუე იქმნა საქმე ესე? ისმინეთ, მიგითხრა: არა ჯერ-იყო თხოისა მის მისისა აღსრულებად და შესლვად მისი ქუეყანასა მას, რამეთუ იცოდა ღმერთმან უგუნური და განდრეკილი გონებად ჰურიათად, რომელნი-იგი გამოვიდეს რად ეგვეტით, მეყსეულად დაივიწყეს ღმერთი და მოსეს ეძიებდეს, და ვითარცა მას დაეყოვნა, წბო ქმნეს და თაყუანის-სცეს. იცოდა ღმერთმან, ვითარმედ შეიყვანეს თუ იგინი მოსე ქუეყანასა მას და მუნ აღესრულოს, ეგულებოდა მათ ღმრთად აღსარებად მისი, და ესრეთ დიდიმცა იქმნა სავნებელი. ხოლო ღმერთსა არა ენება, რამთამცა კაცი იგი წმიდად და სათხოო ყვეს უგუნურთა მათ მიზეზად თვისისა მის კერპომსახურებისა. ამისთვის არა შეუნდო შესლვად ქუეყანასა მას, არცა საფლავი მისი საცნაურ იქმნა ამის მიზეზისათვის.

და სამოელცა საულ ვერ იქსნა რისხვისაგან, ხოლო ისრატლი მრავალგზის გამოიქსნნა; და იერემია ჰურიანი ვერ იქსნნა, ხოლო სხუანი ვინ-მე იქსნნა რისხვისაგან; და დანიელ ბარბაროზნი იქსნნა სიკუდილისაგან, ხოლო ჰურიანი ვერ იქსნნა ტყუეობისაგან; და სახარებასა შინა ვიხილოთ ორივე იგი ერთსა ზედა, რამეთუ თანამდებმან მან ბევრეულისა შანთისა-მან იქსნა თავი თვისი ვედრებითა და კუალად ვერ იქსნა; და სხუამან კუა-ლად წინაუკმო, პირველად განსცა თავი თვისი და უკუანადსენელ დიდად სარგებელ ეყო. ვინ არს ესე? შვილი იგი უძღები, რომელმან წარაგო ყო-ველი მონაგები მამული და მერმე მოიქცა და ევედრა მამასა სახიერსა და შენყნარებულ იქმნა.

ან ამის ყოვლისაგან გულისჯმა-ვჰყოფთ, ვითარმედ უკუეთუ გან-ვსცნეთ თავნი ჩუენი ცოდვასა, ვერცა წმიდათა ვედრებითა შემძლებელ ვართ ცხორებისა პოვნად. უკუეთუ კულა მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვინყოთ ქმნად კეთილისა, მაშინ მეოხებადცა წმიდათა დიდად სარგებელ გუეყოს, და თკო ჩუენიცა ვედრებად შეისმინოს ღმერთმან უმეტეს. რამე-თუ ეგრეთ ჰენებავს ღმერთსა, რამთა ჩუენი უფროოსად მომმადლოს თხოად, ვიდრე სხუათა – ჩუენთვის, რამთა ჩუენითა ვედრებითა დაჸისნას განმზა-დებული ჩუენთვის რისხვად, რამთა ჩუენ მოგუცეს კადნიერებად შენირვად ლოცვისა.

ესრეთ შეინყალა ქანანელი იგი, ესრეთ აცხოვნა მეძავი და ავაზაკი, არა ვისითა მეოხებითა და შუამდგომელობითა, არამედ თკთ მათითა ვედ-რებითა. და არა თუ ეგრეთ ვიტყვკ, თუ ნუ ვევედრებით წმიდათა და მეოხად მივავლენთ ღმრთისა მიმართ; ჰე, ვევედრებოდით მათ და შეუვრდებოდეთ, რადთა მეოხ გუევვნენ წინაშე ღმრთისა; არამედ ამას ვიტყვკ, რადთა არა ვიყვნეთ უდებებასა შინა და ცოდვასა, შუებასა და ძილსა და ვპგონებდეთ სხუათა ლოცვითა მიმთხუევად ცხორებასა.

რამეთუ ისმინეთ, რასა მეტყვს უფალი: „მოიგენით თავისა თვისისა მეგობარნი“. ესე თქუა და არა დაიდუმა, არამედ შესძინა: „მამონავესაგან სიცრუისა“,<sup>1</sup> რადთა შენცა ნაყოფი გაქუნდეს სათნოებისად და არა ცუ-დად გინდეს მეგობართა მოგებად. რამეთუ სახელითა მით მამონავესითა სიცრუით მოგებულისა მის სიმდიდრისაგან მოწყალებისა ქმნად მოას-წავა, და საკურველი ესე არს, რომელ არცა გამოეძიებს მონაგებსა მას სიცრუისასა და გარემიაქცევს, ვითარმცა იტყოდა: მოგიგიეს ბოროტად, წარაგე ან კეთილად, შეგიკრებიეს უჯეროდ, განაბნიე ჯეროვნად. და რად სათნოებად არს ესევითარისა მონაგებისაგან ქმნად ქველისაქმისად? გარნა ღმერთი თვისისა კაცომლუარებისათვს ამასცა შეინირავს. ხოლო ჩუენ ესოდენსა მოვინიენით ულმობელობასა, რომელ არცა თუ სიცრუ-ით შეკრებულისა მისგან ვიქმთ ქველისაქმესა, არამედ ბევრეული რად მოვიტაცოთ, უკუეთუ მცირედი რაღმე მივსცეთ, ვპგონებთ, თუ ყოველი მიგცემიეს. არა გესმისა, რასა იტყვს პავლე: „რომელმან სთესოს რიდო-ბით, რიდობითცა მოიმკოს“.<sup>2</sup> რადასათვს უკუე ერიდები? არა თუ წარსა-გებელი არს საქმე ეგე, სარგებელი არს და შესაძინელი, ვაჭრობად არს კეთილი, სათესავი არს ნაყოფიერი. არა უწყია, ვითარმედ სადა თესლი იყოს, მუნ მყავცა იქმნების? ხოლო შენ უკუეთუ ყანისა ნაყოფიერისა თესვად გენების, არა თუ შენი ოდენ სთესე, არამედ სხუათაგანცა ივასხი და ზღვევად გიჩწნ ესევითარისა ქუეყანისა თესვასა რიდობად. ხოლო ან წინამდებარე არს სათესავად ყანად იგი ზეცისად, რომელსა ვერ რომელი უწესობად ჰაერთად ავნებს, არამედ უქუელად ასეულად და ათასეულად მოგცემს ნაყოფსა. გცონის თესვად და ჰრიდებ; არა უწყია, ვითარმედ მრავალგზის რიდობად მიზეზ იქმნის ზღვევისა, და არარიდობად – მიზეზ შეძინებისა?

ან უკუე განაბნიე საფასე, რადთა მრავალწილად შეიკრიბო. ნუ ჰმარ-ხავ, რადთა არა წარსწყმიდო; წარაგე, რადთა შეიძინო; და უკუეთუ დამარ-ხვად გნებავს, ნუ დაჰმარხავ, რადთა არა ყოველივე წარსწყმიდო. მიანდვე ნამარხევი იგი ღმერთისა, რამეთუ არავინ წარიტაცოს მისგან. ნუ შენ ჰვაჭ-რობ, რამეთუ არა იცი ვაჭრობად სარგებელისად, არამედ ავასხე, რომელი-იგი უმრავლეს თავთასა მოგცემს აღნადგინებსა; ავასხე, სადა-იგი არა არს

<sup>1</sup> ლუკ. 16,9.      <sup>2</sup> კორ. 9,6.

შური, სადა არა არს შესმენად, არცა შიში; ავასხე, რომელსა არარად ექმა-რების შენგან, არამედ შენი ოდენ ჰენებავს სარგებელი, რომელი ყოველთა ზრდის და შიან შენი ცხორებად, მშიერისა მაგის და წარნემედილისა, რო-მელი მდიდარ არს და შენთვის დაგლახაკანა, რაღთა განგამდიდროს; ავასხე, რომლისაგან აღნადგინებად მოგეცემის სასუფეველი ცათად. ამის სოფლი-სა აღნადგინები გეჟენისა მომატყუებელ არს და იგი – სასუფეველისად. რად უკუე მიუგოთ, რომელ-ესე მცირედისა წილ ფრიადი მოგუეცემის, და მოგუეცემის უეჭულად; მოგუეცემის უამსა, ოდეს ჩუენ დიდად გვკმდეს; მოგუეცემის უჭირველად, უყუედრებელად, უშიშებით, და ჩუენ დაუტე-ვებთ ესევითარსა მას სარგებელსა და ვეძიებთ სოფლიოსა ამას, უნდოსა, ამაოსა, სავსესა საცოტურითა და ჭირითა და მომატყუებელსა ჯოჯოხეთი-სასა. რამეთუ არარად არს სოფლიოვასა ამის აღნადგინებისა და ვახშისა უძ-კრეს; არად არს ამისა უბოროტეს, რომელ-ესე მოიყიდის სულ-თქუმასა და ჭირსა გლახაკთასა და სარგებელად უჩნს სხუათა ზღვევად და სასყიდელსა ეძიებს აქავე წყალობისასა, ვითარმცა ეშინოდა, ნუუკუე მოწყალეთა თანა ალიწეროს.

აღნადგინებისა მოყუარე სახითა მოწყალებისადთა უღრმესსა აღმო-ითხრის უწყალოებისა მთხრებლსა, სახითა შენევნისადთა განუმრავლებს გლახაკსა ჭირთა და ზღვევათა, სახითა ჭელის-აპყრობისადთა უღრმესსა კაპანსა შთააგდებს, შეიწყნარებს გლახაკსა, ვითარცა ნავთსაყუდელი, და დაანთქამს მას, ვითარცა ნიავქარი გრიგალი, ვითარცა კლდე, დაფლული ზღუასა შინა.

არამედ მეტყვან მე მოყუარენი იგი აღნადგინებისანი, მოვახშენი და უწყალონი: რად არსო ესე, რომელსა მამცნებ? ოქრო იგი, რომელი შრო-მით შემიკრებიეს, მივსცე სხუასა სესხად, რაღთა განამრავლოს მან და გან-მდიდრდეს, და მე სასყიდელი არარად მოვიღოა? ნუ იყოფინ! არა ესრეთ ვიტყვ, რაღთა უსასყიდლოდ განწკდე, არამედ მნებავს სასყიდლის-მიცემად შენი არა უნდოვსა და მცირისად, არამედ დიდადშეუნიერისა და დიდებუ-ლისად. რამეთუ ოქროვასა წილ მნებავს, რაღთა მიიღო აღნადგინებად სასუ-ფეველი ცათად. ხოლო შენ რახასათვის სიგლახაკესა შინა შეაწყუდევ თავსა შენსა და მინათა შინა სძურები და დიდის წილ მცირესა ეძიებ და არარასა? ესე საქმე არს უგუნურთა ვაჭართად. ჭ საკვრველი! ღმერთი აღგითქუ-ამს მცირედისა წილ საფასისა კეთილთა მათ წარუვალთა, და შენ ეტყვა: ნუ მომცემ სასუფეველსა, არამედ მომეც იქრო იგი წარწყმედადი; ესე გონებისა უფალმან თქვსა? არა უწყითა, ვითარმედ რომელსა სუროდის სიმდიდრისა ამისთვის, სოფლიოვასა საქმისათვის სურის, წარწყმედადისა და ამაოდსა?

ან უკუე რომელსა სიმდიდრე უყუარს ჭეშმარიტი, გამოირჩიენ მან ფრიადი იგი მცირედისა წილ, წარუვალი წარმავალისა წილ, განუხრწნელი განხრწნადისა წილ, არსი იგი არაარსისა წილ, და ესრეთ ორივე მიეცეს.

რამეთუ რომელმან შეიყუაროს ქუეყანისად, ვიდრელა ზეცისად, უეჭუე-ლად ორისაგანვე გამოეკუას. ხოლო რომელმან ზეცისა კეთილთა პატივ-სცეს, ვიდრელა ქუეყანისათა, და იგინი აღირჩინეს, ორივე იგი მიეცეს მას. ამისთვის ჩუენცა უგულებელს-ვყოთ ქუეყანისად ესე ყოველივე ცუდი და ამაოდ და აღვირჩინეთ ზეცისა კეთილნი, წარუგალნი იგი და დაუსრულებელნი, რაღაც მივემთხვენეთ მათ და ვსუფევდეთ ანგელოზთა თანა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარა-დის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 3

სიტყუად ესე: „ხოლო იქსუ ქრისტეს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აპა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალიმდ და იტყოდეს: სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათად? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა“ (2,1-2).

ფრიადი მღვდარებად გვლირს და ლოცვად, რაღთა ჯეროვნად გულის-წმა-ვყვნეთ სიტყუანი ესე და ვწნათ, თუ ვინ იყვნეს მოგუნი ესე და ვინად მოვიდეს და ვითარ, ანუ ვინ ასწავა მათ, და რად იყო ვარსკულავი იგი. ესე ყოველი საძიებელ არს ცნობად. ხოლო პირველად, უკუეთუ გნებას, შემოვილოთ შორის, რასა-იგი იტყვან მტერნი ჭეშმარიტებისანი. რამეთუ ესოდენ უფლა მათ ეშმაკი, ვიდრე ამათცა სიტყუათა ზედა წელ-ჰყოფს აღჭურვად მათდა და ბრძოლად ჭეშმარიტებისა. და ისმინეთ, რასა იტყვან ბირებითა ეშმაკისათა: აპა ესერა შობასა ქრისტესაო ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ-ესე სასწაული არს სიმტკიცისა მის ვარსკულავთმრაცხელთადასა.

ან ვჰკითხოთ ამაოთა მათ და ცუდისმეტყუელთა: უკუეთუ ქრისტე რჩულსა მას ზედა და წესსა ვარსკულავთმრაცხელობისასა იშვა, ვითარ დაწსნა ვარსკულავთმრაცხელობად და განაქარვა ბედთამეტყუელებად და შობისა უამთა ძიებად, დაუყო პირი ეშმაკთა, ესევითარისა მომპოვნებელთა, განიოტა საცოტო და ყოველივე სახე გრძნებისად განაქარვა? უკუეთუ ზრახვასა მას ვარსკულავთმრაცხელთასა დაამტკიცებდა, რაღასათკს ყოველთა წინაწარმეტყუელთა მიერ სიცრუედ და საცოტოად სახელ-სდვა მას? ისმინეთ, რასა იტყვს პირითა ესაია წმამალლისათა: „დადეგ ან მისნობითა შენითა და მრავლითა გრძნებითა შენითა, რომელსა ისწავებდ სიჭაბუკითგან შენით, უკუეთუ შეუძლო სარგებელ-ყოფად თავისა შენისა. დადეგ ან და გეჩსენედ ვარსკულავისმეტყუელთა ცისათა, რომელნი-იგი ხედვედ ვარსკულავთა, გითხრედლა, რაღ-იგი მოწევნად არს შენ ზედა. აპა ეგერა ყოველნი, ვითარცა ქარქუეტნი, ცეცხლითა დაინუნენ და ვერ განირინენ თავნი მათნი ალისა მისგან“.<sup>1</sup> აპა ესერა ზოგად აქსენნა მისანნი და გრძნეულნი და ვარსკულავთმეტყუელნი და ყოველნივე დასაწუველად ცეცხლითა შეპრაცხნა; და ჭეშმარიტად დიდი ცოდვად არს და გარდამატებული ურჩულოებად ვარსკულავთმრაცხელთა და ვარსკულავისმეტყუელთად იგი ცუდადმეტყუელებად, რამეთუ საქმეთა ამათ, რომელნი წელ-მწიფებასა შინა ჩუენსა არიან და თკომფლობელითა მით ნებითა ჩუენითა ვჰყოფთ კეთილსაცა და ბოროტსაცა, აჩემებენ იგინი მიზეზსა მათსა ვარ-

<sup>1</sup> ესაია 47,12-14.

სკულავთა და არა გულისქმა-ჰყოფენ, ვითარმედ ესევითარსა მას ზრახვა-სა შინა ფრიად არს უგუნურებად და უმეტეს არს უსჯულოებად.

უკუეთუ ვარსკულავნი ბუნებით მავნებელ არიან და ბოროტისმომატ-ყუებელ, უკუეთუ ბოროტი იგი ნებითა მათითა არს, ცხოველ ვიდრემე არი-ან იგინი და აქუს მათ ნებად და იძრვიან წელმწიფებითა თავისა თვისისადთა. არამედ ესე ტყუილი უფროს არს ყოვლისა სიცრუისა, რამეთუ არა აქუს ვარსკულავთა ნებად, არცა სულიერ არიან, არცა წელმწიფებითა თავი-სა თვისისადთა იძრვიან, არამედ ვითარცა პირველითგან განაწესნა იგინი ღმერთმან მნათობად სამყაროსა შინა ცისასა. ხოლო ვინავთგან ესე ესრეთ არს და არა არს მათ შორის ნებად, ანუ წელმწიფებად, ანუ გონებად, უკუეთუ ბუნებით აქუს მავნებელობად და მიზეზ ბოროტის არიან, აჩემებენ ბოროტ-სა მას დამბადებელსა თვისას, რამეთუ უკუეთუ ბოროტი იგი მათი ბუნებით არს, ღმერთი ვიდრემე დამბადებელი არს ბოროტისად. იხილეა, ვითარსა უფსკრულსა გმობისასა შთავარდებიან ესევითარისა მეტყუელნი? რამე-თუ უკუეთუ დაწყებად კეთილისა და ბოროტისად არა ჩუენგან არს, არა-მედ ვარსკულავთაგან, უნებლებით ვიდრემე ზედაგუაც საქმე იგი, რომელი განწესებულ არს ჩუენდა ვარსკულავთა მიერ; ნუკუუ ტყუა სადმე შჯულ-მან, რომელმან თქუა განჩინებით, ვითარმედ კეთილი და ბოროტი ჩუენგან არსო; და ცუდ არს მეფეთა მიერ და მსაჯულთა ქებად კეთილისმოქმედთად და ბრალობად ბოროტისმოქმედთად; და არა ვიდრემე ზედაც მეძავსა მას სიძივისათვეს პატიჟი და კაცისმკლველსა კაცის-კლვისათვეს, რამეთუ ვერ ეძ-ლო დამჭირვად თავი თვისი საქმისა მისგან, უკუეთუ უნებლიერ იყო მის ზედა ცოდვად იგი; და კუალად მუშაკიცა ცუდად შურებიან, და ვაჭარნი ცუდად ვლენ ქუეყანითი ქუეყანად, არამედ მუშაკმან მან მოიცალენ ქუე-ყანისმოქმედებისაგან, და ვაჭარი განისუენებდინ სარეცელსა ზედა თვისას, ვინავთგან ბუნებით მომავალ არს მათ ზედა სიმდიდრე გინა სიგლახაკე. და სწავლად იგი წიგნთად და სასოებად ქრისტეანთად ცუდ არს ვიდრემე, ვინავთგან სიმართლე და ცოდვად არა ნებითა ჩუენითა იქმნებიან, არამედ უნებლებით. რამეთუ უკუეთუ იძულებითა ვარსკულავთადთა იქმნებოდეს საქმენი იგი, არა ვიდრემე სამართალ არს ღმრთისა, რაღამცა მიაგო ვის საქმეთაებრ. შ უგუნურებად გონებაცთომილთად მათ! შ უღმრთოებად იგი მათი! უკუეთუ იძულებით არიან საქმენი ცოდვისა გინა სიმართლისანი, ვი-თარ არნ კაცი სიჭაბუკითგან უნესოებასა შინა და ცოდვასა და მერმე მიიქ-ცის ნებითა თვისითა და იქმნის ჭურ რჩეულ? და სხუამან ქმნის სათნოებად მრავალ წელ, და კუალად მიდრკის ნებად მისი ბოროტისა მიმართ. უკუე-თუ ამისა შობად ბოროტსა ზედა იყო და მისი კეთილსა, ვითარ არა ეგნეს აღსასრულადმდე, რომელსაცა ზედა პირველითგან განეწესნეს? არამედ ზოგი იგი ცხორებისა მათისა სხუად იყო, და ზოგი იგი სხუად შეიცვალა. ვინ არა ეცინოდის უგუნურებასა ვარსკულავთმრაცხელთასა და უგულის-ჯმოებასა მათსა, რომელთა ჭეშმარიტ შეურაცხიეს სიტყუად მათი, და უფ-

როდესლა ვინ არა სტიროდის მათ?! ვითარ ცოფითა მით მრავლისმეტყუელებითა მათითა ზრახვენ, ვითარმედ: მის ვისიმე შობად ვერძსა შინა იყო, დიდ არს იგი სულითა და უხუ და მომგებელ, რამეთუ ვერძი მთავარი არს, და განიყარის მატყლო თკსი და კუალად უშრომელად შეიკრიბის; და სხუად ვინმე იშვა წარსა შინა, და არს იგი მშრომელ და მსახურ, რამეთუ ესრეთვე ცხოველი ესე არს; და იგი ვინმე – ღრიაკალსა შინა, და არს იგი მკბენარ; და სხუად ვინმე – სასწორსა შინა, და არს იგი სიმართლის მოქმედ. და რამცა იყო უცოფეს სიტყუათა მათთა?

ვერძი იგი, რომელსა მიაჩემებენ შობასა კაცისასა, ერთი არს ათორმეტთაგანი ნაწილთა ცისათა, რამეთუ ათორმეტნი ნაწილნი არიან ცისანი, რომელთა შინა ვალს მზე, და თითოეულსა ნაწილსა წარპვლის თუესა შინა და კუალად სხუასა თუესა სხუად ნაწილად მიიცვალების, და მათ ნაწილთა წოდებულ არიან ესევითარნი ესე სახელნი: პირველსა – ვერძი და მეორესა – წარი, მესამესა – ღლომი, მეოთხესა – სასწორი, მეხუთესა – ღრიაკალი, მეექუსესა – ქალწული, მეშვედესა – თევზი, მერვესა – მარჩბივი, მეცხრესა – სარწყული, მეათესა – მეშველდე, მეათერთმეტესა – ვაცის რქა, მეათორმეტესა – კირჩხიბი. ესე სახელნი წოდებულ არიან ათორმეტთა მათ ნაწილთანი, რომელთა შინა ვალს მზე. არქუ უკუე ვარსკულავთმრაცხელსა მას და ქალდეველსა: ვითარ იტყვ შენ, ვითარმედ დაწყებად იგი მიზეზთა ცხორებისა შობილთავსა მუნით არს? და მერმე ამსგავსებ გონებათა მათთა ცხოველთა მათ, პირუტყუთა და მძოვართა, გინა ქუენარმავალთა, და იტყვ, ვითარმედ: შობილი იგი ვერძსა შინა უხუ არსო, და შობილი იგი ლომსა შინა – ძლიერ, და სხუად ყოველივე მსგავსად; არა თუ რომელ ნაწილსა მას ზეცისასა ესევითარი ძალი აქუს, არამედ რომელ ცხოველი იგი ამას ბუნებასა ზედა არსო.

შ უგუნურო, აქამიმდე იტყოდე, ვითარმედ ჭეშმარიტებად ცნობისა მის საქმეთავსა ნაწილთა მათგან ცისათა არს, და ან კუალად მოაქციე სიტყუად შენი ოთხფერწთა მომართ და ქუენარმავალთა. უკუეთუ მეათორმეტესა მას ნაწილსა ცისასა, რომელსა შინა რაჟამს ვალნ მზე, არნ დაწყებად ზაფხულისად, ვერძი ეწოდების, რად ზიარებად აქუს მას ნაწილსა საცხოვარსა ამას თანა იძრვისასა ოთხფერწსა, რომელ იტყვ, ვითარმედ: უკუეთუ იშვას, ოდეს მზე მას შინა ვიდოდის, ბუნებასა ვერძისასა მიემსგავსების? ანუ იშვას თუ სლვასა მზისასა ღრიაკალსა შინა, ემსგავსების ბუნებასა გესლიანისა მის ქუენარმავალისასა? ეჲა გარდამატებული ესე სიცოფე შენი, მეტყუელო სიცრუისაო! ესე ვინმე ამას წამსა შინა იშვაო, მძლე არს იგი ქალაქთა ზედა და მთავარ და მდიდარ; იგი ვინმე მეორესა წამსა შინა იშვა, გლახაკი არს და მთხოველი.

უკუეთუ ვინ დაისწავლნეს კაცად-კაცადისათკს სიტყუად შენი, იპოოს უმეტესი ტყუილ, და უფროველა ყოველივე სიცრუე არს და ტყუილითა შეწმასნულ. ვინ იცის, უგუნურო, მომავალი, ანუ ვის აქუს ცნობად იგი

ყოფადთად მათ? გარნა მხოლომან ღმერთმან. რამეთუ მისი ოდენ არს ესე საკუთრად, და უკუეთუ ვისმე მან მხოლომან მიანიჭოს, რაოდენ ენებოს და ოდეს-იგი ჯერ-იყოს. ხოლო შენ, მინისაგანო და მიწად მიმავალო, ვინაა გაქუს მომავალთა საქმეთა ცნობად, რომელმან-ეგე წინაშე თუალთა შენ-თა მყოფი არა იცი? რად ხვალისა დღე შეგემთხუევის, არა უწყი, ყოფადთა მათ მეცნიერებად ვინ მოგცა შენ? საქმეთა ჩუენთა, რომელნი-ესე გონიერ და პირმეტყუელ დაბადებულ ვართ ღმრთისა მიერ და სული მოგვდებიეს თვითმფლობელი და განკითხვად კეთილისა და ბოროტისა გუაქუს მხილე-ბითა მით შინაგანისა გონებისადთა, ვარსკულავთა მიაჩემება? და ნანილ-თაგან ცისათა განაწესებ, რომელთა არცა თავისა თვისისა იციან, თუ რად ყოფად არიან, არცა უფალ გონებისა, არცა პატივცემულ პირმეტყუელე-ბითა არიან. დიდ არს უგუნურებად და ცოდვად ცთომილებისა მის ვარსკუ-ლავთმრაცხელთავსა, არამედ იგინი კმა არიან თავით თვისით თვისთავე სიტ-ყუათა დაწსნად.

ხოლო დაღაცათუ მრავალი მაქუს თქუმად მათისა მის საცთურისათვს, არამედ არად საქმარ არს ცუდადმეტყუელებისა მათისათვს ჩუენიცა მრავ-ლისმეტყუელება. რამეთუ მრნამს, ვითარმედ მადლითა ღმრთისადთა არავინ თქუენგანი ცთომილ არს ესოდენ გონებითა, რაღთამცა მათი იგი ამაოებად ჰრიმენა. ამისთვს კუალად მოვიქცეთ ნეშტისა მას სიტყუათა ჩუ-ენთასა და მოგუნი იგი და ვარსკულავი, რომელი იხილეს, შორის შემოვი-ლოთ, რომელსა მონამედ უგუნურებისა მათისა გონებაცთომილი იგი მი-იღებენ. რად ისნავეს მოგუთა მათ ვარსკულავისა მისგან? შობად მეუფისა ჰურიათავსა ისნავესა სიტყვსაებრ თქუენისა? შ ვარსკულავთმრაცხელნო, ან უკუე გულისწმა-ყავთ, ვითარმედ უგულისწმოებითა ალსავსე ხართ. რა-მეთუ არა ამის წარმავალისა მეფობისა მეუფე იყო იგი, ვითარცა ეტყვს თავადი პილატეს, ვითარმედ: „მეუფებად ჩემი არა არს ამის სოფლისაგან“.<sup>1</sup> ამისთვისცა არარად ესევითარი აჩუენა, არცა მსახურნი მოიგნა მრავალი, არცა მექრმლენი და ლახუროსანი წინაუვიდოდეს; არა ჰყვეს სიმრავლენი ჰუნეთა და ცხენთა და ეტლებისანი, არცა სხუად რაღე ესევითარი, არამედ მოქალაქობად მოიგო ლიტონი და მდაბალი და სავსე გლახაკებითა და მო-ნაფედ შეინყნარნა ათორმეტნი კაცნი გლახაკნი.

და უკუეთუ შეუფეცა ეუწყა მათ შობადი და მისთვს მოვიდეს, არავე არს ესე საქმე ვარსკულავთმრაცხელობისა, რაღთამცა ვარსკულავთა ხილ-ვითა ეუწყა საქმე შობადთად მათ; არამედ უამისა მისგან შობისაავსა იტყვან საქმისათვს შობილთავსა, ვითარ-ეგე თქუენვე იტყვათ. ხოლო ესენი არცა შობასა მას თანა იყვნეს, არცა უამი შობისა მის უწყოდეს, რაღთამცა მის-გან აღრაცხეს და ჰოეს, თუ ვითარ იყო წამსა მას შობისასა ქცევად იგი ვარ-სკულავთად, და განაწესესმცა საქმე იგი შობადისა მის; არამედ პირველ

<sup>1</sup> იოან. 18,36.

მრავლისა უამისა გამოუჩნდა მათ ვარსკულავი სოფელსა მათსა და მოვი-დეს ხილვად შობილისა მის. და ესეცა საკურველ არს, თუ რომელმან სიტყუამან არწმუნა მათ, რომელთა კეთილთა სასოებამან აღძრნა მოსლვად ესოდენსა გზასა თაყუანის-ცემად მეუფისა. უკუეთუმცა სპარსთა მეუფესა ჰერნებდეს, ანუმცა მამა მისი იცოდეს მეფობასა შინა სპარსეთისასა და მასმცა მოიმადლებდეს, იყომცა რამე სიტყუა. ხოლო ან მეუფესა ეძიებენ ჰურიათასა ფრიად განშორებულად მათისა ქუეყანისაგან, ჩრდილისა უმამოსა ქუეყანისა ზედა. რადესათკს უკუე შეიმთხვეს ესოდენი შრომად და ძლუენი მოართუეს და მეფე იგი ჰეროდე ერითურთ მისით აღაშფოთეს? რამეთუ არა უმეცარ იყვნეს, თუ ძიებასა მას შობილისა მეუფისასა აღშფოთებად იყო მეფე იგი მის უამისად. და მი-რა-ვიდეს და პოეს სახუეველთა შინა, თაყუანის-სცეს. რად იხილეს მუნ სახე მეფობისად? გარნა ქუაბი და ბაგად და ყრმად სახუევლითა და დედად სიგლახაკესა შინა. რად თაყუანის-სცეს ანუ რად შენირეს ძლუენი კაცთა უცხოოსლთა უცხოოსა ქუეყანისათა? არა თუ რჩული იყო, რაღამაცა ყოვლისა სოფლისა შობილთა მეფეთა თაყუანის-ცემად და ძლუნისა მირთუმად თანაედვა. ანუ რასა მოელოდეს მისაგან, რომელსა დღეს სიგლახაკესა შინა ხედვენ? მომავალისა უამისათკს, დაღაცათუ მეუფებდეს, რად მოელიან, თუ მოიქსენოს მან და კეთილი უყოს მათ? ჰედავა, რავდენი წინააღმდეგომი იპოვების, უკუეთუ კაცობრივთა გულისტყუათა ზედა გულისწმა-ჰყოფდეს ვინ საქმეთა მათ? არამედ მოედით ან, გონიერად გამოვიძიოთ და სულიერად განვჰმარტოთ ძალი სიტყუათად ამათ. ვყოთ უკუე დაწყებად გულისწმის-ყოფისად ვარსკულავისა მისგან. რამეთუ უკუეთუ ვისწაოთ, თუ რად იყო ვარსკულავი იგი, ადვილ იყოს ყოვლისავე გულისწმის-ყოფად, გინა თუ ვარსკულავი იყო ერთი ვარსკულავთაგანი, ანუ უცხოდ იყო ამათ ვარსკულავთაგან, გინა თუ ვარსკულავი იყო ბუნებით, ანუ ხილვად ხოლო აქუნდა ვარსკულავისა.

ამის ყოვლისათკს ესრეთ გულისწმა-ვჰყოფთ სიტყუათაგან წმიდისა სახარებისათა, ვითარმედ: არა იყო ვარსკულავი იგი ერთი მრავალთა ამათ ვარსკულავთაგანი. და უფროხსად ეგრეთ ვიტყვ, თუ ყოვლადვე არა ვარსკულავი იყო, არამედ ძალი რაღმე უხილავი, ესევითარსა სახესა შეცვალებული, და ესე საცნაურ არს პირველად სლვისა მისისაგან. რამეთუ არცა ერთი არს ვარსკულავი ესევითარსა სლვისა მავალი, არამედ გინა თუ ზე სთქუა, გინა თუ მთოვარე, გინა თუ სხუანი იგი ვარსკულავნი, ყოველთა ვხედავთ აღმოსავალით დასავალად მავალთა, ხოლო იგი ჩრდილოზ სამხრად მივიდოდა, რამეთუ ესრეთ არს სპარსეთი პალესტინეს მიმართ; და ესე საქმე არა ვარსკულავთად არს.

მეორედ, უამთა განსლვისა მისისათა საცნაურ არს ესე, რამეთუ არა ლამით გამოჩნდებოდა, არამედ დღისი, ბრნყინვალებასა შინა მზისასა, რომელ-ესე ვერ ჭელ-ენიფების ვარსკულავთა ყოფად, არცა თუ მთოვარესა, რომელ ყოველთა ვარსკულავთა უბრნყინვალეს არს; არამედ იგიცა, აღ-

მობრწყინდის რად მზე და შარავანდედი ნათლისა თქსისად მოჰყოინის სოფელსა, მეყსეულად დაიფარის და ვერლარა უძლის ნათობად. ხოლო ამან ვარსკულავმან გარდამატებულებითა მით ბრნყინვალებისა თქსისათა მზისაცა ნათელსა სძლო და უბრწყინვალეს მისა ჩნდა.

მესამედ, ესე იყო საკურველი, რომელ ოდესმე ჩნდა და ოდესმე მიეფარვოდა. რამეთუ სპარსეთით პალესტინემდე ჩნდა და უძლოდა მათ, ხოლო შე-რაღ-ვიდეს იერუსალიმდ, დაეფარა მათგან. და კუალად, ეზრახნეს რად ჰეროდეს და განვიდეს ქალაქით, ეჩუენა, რომელ-ესე არა ვარსკულავისა საქმე იყო, არამედ ძალისა რახასამე პირმეტყუელისა და გონიერისა, და არცა თკი აქუნდა სავალი, არამედ ოდეს-იგი ჯერ-არნ სლვად მათი, ვალნ, და ოდეს ჯერ-არნ დგომად, დადგის, ვითარცა პირველ სუეტი იგი ღრუბლისად ისრატლთა უჩუენებდა, რაჭამს ჯერ-არნ სლვად, და რაჭამს ჯერ-არნ დაბანაკებად.

მეოთხედ, წესისაგანცა გამოჩინებისა მისისა საცნაურ არს საკურველებად ვარსკულავისად მის. რამეთუ არა თუ სამყაროსა შინა დგა და მიერ უჩუენებდა მოგუთა მათ ადგილსა ბეთლემისასა, არცა შესაძლებელ იყო, არამედ ქუეყანად მოვიდა და წინაუვიდოდა მათ. რამეთუ უწყით, ვითარმედ ადგილისა ესრეთ მცირისა, ქუაბისა და ტალავრისა და ყრმისა ჩჩკლისა, ზეცით ჩუენებად ვარსკულავისა მიერ ძნელ იყო და შეუძლებელ, ვინათგან სიმაღლე ცისად დიდ არს და ქუეყანისაგან უზომოდ განშორებულ, ვითარმცა ისწავეს ზეცას გამოჩინებულისა ვარსკულავისაგან ესრეთ იწროდ და მცირე ადგილი? არა ჰედავთა მზესა და მთოვარესა, რომელნი მრავალწილად უზეშთაეს არიან ვარსკულავთასა? არამედ ყოვლისა სოფლისაგან სწორად ჩანან, და ვერვინ სცნობს, თუ რომელსა ქუეყანასა ზედა, ანუ რომელსა სოფელსა ხედვენ, არამედ ყოველთა ესრეთ ჰენიეს, თუ დამართებით კაცად-კაცადისა აღმობრწყინდებიან. ვითარმცა უკუეცნეს მოგუთა ზეცას ხილულისა ვარსკულავისა მიერ მცირე იგი ქუაბი, არა თუმცა ქუეყანად მოსრულ იყო და წინაშე მათსა ვიდოდა და ზედამიადგინნა იგინი შობილისა მის ყრმისა, ყოველთა დამბადებულისა? და ამას მოასწავებს მახარებელი და იტყვის: „და აპა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დადგა ზედა, სადაცა იყო ყრმად იგი“.<sup>1</sup>

ჰედავთა, რავდენითა სახითა გამოჩინდების, ვითარმედ არა იყო ვარსკულავი იგი ბუნებითა სხუათა მათ ვარსკულავთავთა? ჰერცეულნოდენ უკუე და კდემებოდენ, რომელნი ცუდადმეტყუელებენ და შემწედ ვარსკულავთმეტყუელებისა შემოილებენ გამოჩინებასა მის ვარსკულავისასა და თავთა თკსთა აცთუნებენ. ხოლო ვიეთნიმე ეძიებენ, ვითარმედ: რაღ-სათეს ყოვლადვე უჩუენა ღმერთმან ვარსკულავი იგი ესევითარი მოგუ-

<sup>1</sup> გათ. 2,9.

თა მათ და მოიყვანა იგინი ბეთლემად? ესე ამისთვის, საყუარელო, რაღ-თა უმეტესად ამხილოს უგულისხმოებად ჰურიათად და, უკუეთუ უმადლო იქმნან და ურწმუნო, ვითარცა იქმნესცა, ყოველივე სიტყუად და მიზეზი მიეღოს მათ. რამეთუ ვინათვან ცხორებისათვის ჩუენისა გარდამოწდა ზე-ცით უფალი და იშვა ქალწულისა მისგან წმიდისა და ეგულებოდა ძუღი-სა მის რჩულისა დაცხომად და მოწოდებად სოფლისად თაყუანის-ცემად მისა, რაღთა ზღუასა შინა და წმელსა იდიდებოდეს სახელი მისი, ამისთვის შობასავე თვისსა მეყსეულად კარი განუღო წარმართთა და მოუწოდა მო-გუთა, რომელი-იგი უმეტეს ყოველთა წარმართთა ურჩულო იყვნეს და უცხო აღთქუმათაგან ღმრთისათა, მისნობასა და გრძნებასა და მსახრვა-ლობასა შექცეული, რაღთა სარწმუნო-ყოს წოდებად იგი წარმართთად და რაღთა უცხოთესლთა მათ მიერ ამხილოს ჰურიათა, რომელი-იგი ერად მი-სა წოდებულ იყვნეს, რომელთა ესმოდა ქადაგებად წინაწარმეტყუელთად მარადლე მოსლვისათვის მისისა და არა გულისწმა-ჰყოფდეს. ამისთვის მო-იყვანნა მოგუნი სპარსეთით, რომელი-იგი მოვიდეს შორით ქუეყანით და ჰურიასტანს შობილსა მას მეუფესა ეძიებდეს, და წმითა სპარსთადთა ესმა ჰურიათა, რომელ-იგი წმითა წინაწარმეტყუელთადთა არა ინებეს სმენად, რაღთა უკუეთუ ჰრწმენეს, აქუნდეს საქმე იგი დიდად მიზეზად და ძალად სარწმუნოებისა. უკუეთუ უკულა მაცილობელ და მგმობარ იპოვნენ, მიზეზი ცოდვისა და ურწმუნოებისად ყოვლადვე არა აქუნდეს, არამედ სრულიად დაეყოს პირი მათი.

რამეთუ რაე-მე თქუან მიზეზი, რომლისათვის არა შეიწყნარეს ქრის-ტე ესოდენთა ქადაგებათა ზედა წინაწარმეტყუელთადსა, ოდეს იხილნეს მოგუნი ერთისა ვარსკულავისა ხილვითა მოსრულნი სარწმუნოებით თა-ყუანის-ცემად მისა? რამეთუ ვითარცა-იგი ნინეველთა ზე იქმნა და კუა-ლად სამარიტელისა მის და ქანანელისა, ესევე მოგუთათვს გულისწმა-ყავ. ამისთვის ეტყოდა უფალი ჰურიათა: „კაცნი იგი ნინევისანი აღდგენ სას-ჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მას, რამეთუ შეინანეს ქა-დაგებასა მას იონაასსა. და აპა ესერა უდიდეს იონაასსა არს აქა. დედოფა-ლი იგი სამხრისად აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასა-ჯოს იგი“.!<sup>1</sup> ამისთვის დასაჯონო ნინეველთაცა და დედოფალმან მან სამხრი-სამან, რამეთუ ფრიად უდარესთად ჰრწმენა მათ, ხოლო ესენი დიდსა ამას საიდუმლოსა და დიდებულსა ურწმუნო ექმნენს.

კუალად ესეცა შემოვალს ვიეთვანმე საძიებელად, თუ რაღსათვის ხილ-ვითა ვარსკულავისადთა მოუწოდა მოგუთა და არა სხვთა სახითა. არამედ რაღმცა იყო სახე იგი? უკუეთუმცა წინაწარმეტყუელი მიუვლინა, არამ-ცა რწმენა მათ, რამეთუ მოგუნი წინაწარმეტყუელთა არა შეიწყნარებდეს; უკუეთუმცა ზეცით ჭმა-სცა, არადვემცა შეჰრაცხეს; უკუეთუმცა ანგელო-

<sup>1</sup> მათ. 12,41-42.

ზი ეტყოდა, განცემრდესმცა. ამისთვის ესე ყოველი დაუტევა ღმერთმან და უძლურებისაებრ მათისა ყო წოდებად იგი საქმითა მით, რომელსა ჩუეულ იყვნეს იგინი ძიებად ჭელოვნებითა მით თვისითა, და უჩუენა სახე ვარსკულავისა მის საკრველისად; და იხილეს რად, რომელ არასადა ეხილვა, ეუნ-ყა გონებათა მათთა მადლითა ღმრთისადთა საიდუმლოდ ქრისტეს შობი-სად და ცნეს, ვითარმედ მისთვის ეჩუენა ვარსკულავი იგი, და წარემართნეს თაყუანის-ცემად მისა, და ხედვიდეს რად სიდიდესაცა და პრეცინვალებასა მისა და უცხოსა მას სახესა სლვისა მისისასა, უმეტესა სარწმუნოებასა მოვიდოდეს. ეგრეთვე პავლეცა მოციქულმან ქმნა, ეტყოდა რად ათინელ-თა: დაწყებად სიტყვასა თვისისა წესისა მისგან ყო, რომელსა იგინი ჩუეულ იყვნეს, და ბომონი სამსახურებელთა მათთა ა ჯენა და სიტყუანი მათთა მათ სიტყვასმოქმედთანი ა ჯენა წამებად თვისისა მის ქადაგებისა. ეგრეთვე კუალად წინადაცუეთად ტიმოთესი თავს-იდვა, რათა შეწყნარებულ იყოს სწავლად მისი ჰურიათა მიერ, და გულსავსე-ყოფისათვის რჩულსა ქუეშე მყოფთავასა თავს-იდვა შესანირავისა ალსრულებად, რათა შეუძლოს დაწ-ყებად სწავლისა მათა მიმართ. რამეთუ ვინავთგან კაცად-კაცადისა საყუ-არელ არს ჩუეულებად და წესი თვისი, ამისთვის ღმერთიცა და მის მიერ მოვ-ლინებული მოციქული ცხორებისათვის სოფლისა ამით სახითა განაწესე-ბენ ქადაგებისა დაწყებასა.

ამისთვის უკუე წუ უღირსად გიჩნს ესე, რომელ ვარსკულავისა მიერ უწინდა მათ. უკუეთუ არა, ამით სახითა ყოველივე იგი ძუელისა რჩული-სად შეურაცხ-ჰყო: შესანირავნი იგი და მსხუერპლნი საკუერთხებითურთ, განწმედანი იგი და თუეთა თავნი და კიდობანიცა იგი და ტაძარი; რამეთუ ვინავთგან ჩუეულებად ქმნილ იყო შესანირავთა და მსხუერპლთად, რომელ-თა შესანირვიდეს კაცნი ეშმაკთა მიმართ, ენება ღმერთსა მოწყუედად მათი ეშმაკთა მონებისაგან; და სიზრქისათვის და უგულისჯმოებისა ჰურიათადასა არა ჰრექუა სრულიად აკრებად მსხუერპლისა, არამედ ესე უბრძანა, რათა მისა შესანირვიდენ, რათა ეშმაკთა მონებისაგან მონებად ღმრთისა მოიქ-ცენ და შესანირვიდენ მისა შესანირავსა და საკუერთხსა ვერძთასა, ზუა-რაკთასა და ბევრეულსა კრავთა მართებულთასა, ვითარცა დანიელ იტყვს. არა თუ საქმარ იყვნეს მისა შესანირავნი იგი ზუარაკთა და ვაცთანი, ვი-თარცა იტყვს პირითა დავითისითა, ვითარმედ: „არა ვჭამ მე ჭორცსა ზუ-არაკთა შენთასა, არცა სისხლსა ვაცთა შენთასა ვსუამ მე“.<sup>1</sup> ესე იგი არს, ვითარმედ: არა თუ შესანირავნი ეგე მიქმან მე, „რამეთუ ჩემი არს ყოველი მწეცი მაღნარისა, ნადირი მთათა და ყოველი პირუტყვ; ვიცნი მე მფრინ-ველი ცისანი, და შუენიერებად ველთა ჩემ თანა არს“.<sup>2</sup>

არა საქმარ იყვნეს უკუე, ვითარცა ვთქუ, შესანირავნი იგი და მსხუერ-პლნი ღმრთისადა, არამედ სიზრქესა გონებისა მათისასა და ჩუეულებისა

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 49,12.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 49,9-11.

მათისა წესსა მიჰყვა, რაღომცა წუთერთ შესწირვიდეს მისა მსხუერპლებ-სა მას და მოიქცესმცა ეშმაკთა ზორვისაგან, და ამისა შემდგომად მსხუერპლთაცა და მრგულიადდასანუველთამცა წესი აღიღო და უსისხლოვსა მის მსხუერპლისა შენირვად გუასნავა, რომელ-ესე იქმნა მოსლვითა მით მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისადთა. ამის ესევითარისა სახისათვს მოგუთაცა ვარსკულავისა ხილვითა მოუწოდა, რამეთუ ესრეთ იყო წესი ჩუეულებისა მათისად. ხოლო მო-რაღ-იყვანნა ბეთლემდ და წარმოადგინნა ბაგასა ზედა და იხილეს მეუფტე იგი მეუფეთად და უფალი უფლებათად შეხუეული სახუ-ევლითა, ყრმად ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი, იხილეს და ჰრიმენა და თაყუანის-სცეს და შენირეს ძლუენი რჩეული. მერმე არღარა სახითა ვარსკულავისადთა ეტყყოდა, არამედ ანგელოზი მოუვლინა მათ, რომელი უძლოდა გზასა ჯერონისა, რამეთუ მცირე-მცირედ აღსრულ იყვნეს გულისწმის-ყოფისა კიბესა.

ესრესახედ ასკალონელთაცა ზედა და გაზელთა ქმნა ღმერთმან. რამეთუ მი-რაღ-ვიდა კიდობანი ხუთთა მათ ქალაქთა, და მოწყლნა იგინი წყლულებითა ბოროტითა და გუემითა ფიცხლითა, და კურნებად ბოროტისად მის ვერარადთ პოეს, მაშინ ყვეს კრებად დიდი განზრახვად საქმისა მისთვს და მოუწოდეს ქურუმთა და მისანთა და ჰკითხვიდეს, თუ რაღ ყოფად-უც ამის ჯერისათვს. ხოლო მისანთა მათ ჰრქეუს: „ქმენით ურემი ახალი და შეაბენით ორნი დიაკეულნი პირმშონი უმწყნი და წბონი მათნი დაიყენენით და კიდობანი იგი შჯულისა ღმრთისად დადგით ურემსა მას ზედა და წარავლინეთ. უკუეთუ წარვიდეს საზღვართა მისთა ბეთსამით კერძო, და არცა უმეცრებისათვს გზისა მის მიდრკენ დიაკეულნი იგი მარჯულ გინა მარცხლ, არცა წმასა მას წბოთა მათთასა მართლუკუნიქცენ, ვცნათ, ვითარმედ წელმან უფლისამან ტანჯნა ქალაქნი ესე. უკუეთუ არა წარვიდენ მართლიად, არამედ გინა თუ უმწყთა მათ დიაკეულთა უდელი შემუსრონ, ანუ უმეცრებისათვს გზისა სხუად წარვიდენ, ანუ სურვილითა წბოთა მათთა მართლუკუნიქცენ, საცნაურ იყოს, ვითარმედ არა მან ავნო ქალაქთა ამათ, არამედ შემთხუევით რამე შეემთხვა სენი ესე“.<sup>1</sup> ვინავთგან ესრეთ თქუეს მისანთა მათ და ქმნეს მთავართა სიტყუასებრ მათისა, დაამტკიცა ღმერთმან სიტყუად იგი მისანთად და აღასრულა, რომელი მათ სასწაულად დაედვა. არა თუ სიტყუად მისანთა და ქურუმთად სათნო იყო ღმრთისა, არამედ გონებასა მას უგულისწმოებისა და სიზრქისა მათისასა მიაყვანა საქმე იგი და არა უღირს-იჩინა სიტყუასა მას მისანთასა დამტკიცებად საქმით და ჩუენებად ერისა, ვითარმედ რაღ-იგი მათ თქუეს, საქმით აღესრულა; არამედ იხილა რაღ, ვითარმედ სარგებელ არს საქმე იგი მრავალთადა, რაუამს წინამძღვარნი წინააღმდეგომთანი მოწამე იყვნენ ჭეშმარიტებისა მის და ძლიერებისა ღმრთისა, საქმით განაგო სიტყუსა მათისა დამტკიცებად.

<sup>1</sup> შდრ. 1 მეც. 6,7-9.

ეგრეთვე კუალად საქმე იგი ულუკისად მის მუცლიოთმეზღაპრისა, რო-  
მელი იქმნა საულის ზე, ამისვე განგებულებისა წესსა მსგავს არს, და სხუად  
ესევითარი მრავალი იპოების, რომელი ქმნა ღმერთმან განგებულებით  
უძლურებისათვეს კაცთადა, თანამიყოლად ჩუეულებისა მათისა, რაჟამს  
იხილოს საქმისა მისგან სარგებელი სულთად მათ, რომელთა მიმართ იყოს  
საქმე იგი. ამისთვეს მოგუთა მათცა წესისა მისებრ ჩუეულებისა მათისა  
ვარსკულავისა მიერ უწოდა, უცხოდა და საკურველისა. ხოლო იხილეს რად  
უფალი და პრემენა, მერმე პირითა ანგელოზისადთა ეტყოდა.

ან უკუე ვარსკულავისა მისთვეს ესოდენ არს ჩემ მიერ თქუმული, ხო-  
ლო თქუენ მიერ უმეტესისაცა შესაძლებელ არს გულისჯმის-ყოფად, რამე-  
თუ წერილ არს: „ეც მიზეზი ბრძენსა, და უბრძნეს იყოს“.<sup>1</sup>

ხოლო ან სიტყუავე სახარებისად ვაწსენოთ, რომელი-ესე ან აღმოვი-  
კითხეთ, რამეთუ იტყვს: „ხოლო იესუ ქრისტეს შობასა ბეთლემს ჰურიას-  
ტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აპა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს  
იერუსალიმდდ“. რადასათვეს აქსენებს უამსა მას და სახელსა ადგილისასა: „ბეთლემს ჰურიასტანისასაო“ და „დღეთა ჰეროდე მეფისათა“? ამისთვეს  
აქსენა მეფობად, რამეთუ სხუადცა იყო ჰეროდე, რომელმან მოკლა იოვანე  
ნათლისმცემელი, არამედ იგი მთავარი იყო ოთხთა სამთავროთად და არა  
მეფე.

ხოლო ადგილსა და უამსა ამისთვეს იტყვს, რათა აღგვისენოს წინაწარ-  
მეტყუელებად იგი მიქეადსი, რომელსა იტყვს: „და შენ, ბეთლემ, ქუეყანად  
ეგე იუდავსი, არასადმე უმრნემეს ხარ მთავართა შორის იუდავსთა, რამე-  
თუ შენგან გამოვიდეს მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაცლი“;<sup>2</sup>  
და კუალად წინაწარმეტყუელებად იგი იაკობ მამათმთავრისად, ვითარმედ:  
„არა მოაკლდეს მთავარი იუდავსგან, არცა წინამძღუარი წყვილთაგან მის-  
თა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს, და არს იგი  
სასოებად წარმართთად“. <sup>3</sup> რამეთუ სიტყუათა ამათ მიერ კეთილად გამოგ-  
კსახა მამათმთავარმან უამი იგი კურთხეული ქრისტეს მოსლვისად და წარ-  
მართთა შეწყნარებისად.

ხოლო ესეცა ლირს არს ძიებისა, ვითარმედ იხილეს რად მოგუთა ვარ-  
სკულავი იგი, სიტყუად მისგან არა ესმა. რად ცნეს, თუ მეუფისა მის ჰური-  
ასტანს შობილისათვეს იქმნა გამოჩინებად მისი? არამედ ესრეთ გულისჯმა-  
ყავთ, ვითარმედ ღმერთმან, რომელმან-იგი ვარსკულავი წინამძღურად  
მისცა, მან შინაგან გულთა მათთა გულისჯმა-უყო საქმე იგი შობისა თვისისად  
და აღძრნა სულნი მათინ სურვილად ხილვისა მისისა. ვითარცა-იგი პირველ  
გულსა კვროს მეფისასა დაარწმუნა უხილავად განტევებად ტყუეობისაგან  
ერი ჰურიათად, ეგრეთვე აქა გულსა ამათსა შთაუთესა გულისჯმის-ყოფად  
თვისისა შობისად. ხოლო მათ შეიწყნარეს და შეუდგეს ვარსკულავსა მას,

<sup>1</sup> იგავ. 9,9.

<sup>2</sup> მათ. 2,6; შდრ. მიქ. 5,2.

<sup>3</sup> დაბ. 49,10.

რადთა მისისაცა მადლისა საკურველებად გამოჩნდეს და მათისაცა სულისა მორჩილებად, რამეთუ არა თუ სიტყუად ესე წესსა მას თკომფლობელობისასა დაპქსნის, არამედ ღმრთისა მიერცა მივლინებულსა მადლსა გამოაჩინებს და მათსაცა კეთილსა ნებასა, ვითარცა-იგი პავლეს უწოდა რად ზეცით, თვისიცა მადლი და მისიცა მორჩილებად გამოაჩინა. და ამასცა იტყვნ ვინმე, ვითარმედ: რად არა ყოველსა მას ქუეყანასა სპარსეთისასა გამოუცხადა საქმე იგი დიდებული? ესე ამისთვის, რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა ჰრემენეს სხუათა მათ, არამედ რომელი-იგი წინადასწარ იცნა, ვითარმედ ეგულების შეწყნარებად სიტყვსად მის, მათცა უწოდა, რამეთუ უაღრეს და უკეთეს ყოველთასა იყვნეს. ვითარცა-იგი პირველ, არა თუ სხუანი ქალაქ-ნი და ნათესავნი არა იყვნეს ცოდვასა შინა და წარწყმედასა, და მრავალნი დაიქცეს ურჩულობათა მათთათვს, არამედ წინეველთა ხოლო მოუვლინა წინანარმეტყუელი, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ეგულებოდა მათ მოქცევად; და ორნი ავაზაკნი იყვნეს ჯუარსა ზედა, არამედ ერთი ხოლო ცხონდა. რამეთუ ღმერთსა კაცნი თკომფლობელად დაუბადებიან: რომელთა თანა იხილოს გონებად კეთილი, მოუვლენს მადლსა თვისსა შეწევნად და მოქცევად საცოტრისაგან, ხოლო რომელთა იცოდის, ვითარმედ არა მოქცევად არიან, არამედ უკურნებელ არს სენი მათი, მრავალგზის დაუტეობს, რადთა არა უმეტესი სასჯელი შეემთხვოს, ვითარცა-იგი ჰურიათა შეხუდა. ან იხილეთ მოგუთა მათ სიკეთე, არა მოსლვისათვს ოდენ ესოდენსა მას გზასა, არამედ კადნიერებისათვსცა, რომელ აჩუენეს ჰეროდეს და ერსა მას ჰურიათასა, ვითარ ჭმამალლად ალიარეს საქმე იგი და იტყოდეს: „სადა არს შობილი იგი მეუფლე? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა“.

ხოლო ესენი წარ-რად-ვიდეს ქუეყანად თვისად, მოძლუარ იქმნეს ერისა მის თვისისა და მიუთხრეს შობად მეუფისა ქრისტესი და საკურველი იგი, რომელ იხილეს. რამეთუ რომელთა-იგი არცა გულისწყრომასა ჰეროდეს-სა, არცა შფოთსა ჰურიათასა ჰრიდეს პირველვე ქრისტეს თაყუანის-ცემისა, არამედ ჭმამალლად ჭეშმარიტი ქადაგეს, ვინათგან იხილეს უფალი და განმტკიცნეს სარწმუნოებითა და ბრძანებად მოილეს ანგელოზისაგან და წინანარმეტყუელისა წამებად ესმა, ოდესღამცა დაიდუმეს მითხობად დიდებულებასა მას ქრისტესსა.

**სახარება: „ვითარცა ესმა ჰეროდე მეფესა, შეძრწუნდა, და ყოველი იერუსალიმი მის თანა“ (2,3).**

თარგმანი: შეშფოთნა ჰეროდე და შეძრწუნდა, რამეთუ მეფობისა თვისისა და შვილთა თვისთათვს ეშინოდა, ნუუკუე წინააღმდეგომ ექმნას და დამწისნელ შობილი იგი მეუფლე. ხოლო იერუსალიმი რაღასათვს შეძრწუნდა, ანუ რად აღშფოთნეს ჰურიანი? ვინათგან ესმოდა მარადლე წინანარმეტყუელთა მიერ, რომელნი მიუთხობდეს მაცხოვრისა და ქველისმოქმედისა

განმათავისუფლებელისა მოსლვასა, რადათ უკუე შეშფოთნეს, რომლი-სა მიზეზისათვს? გარნა მითვე გონებითა, რომლითა პირველ ქველისმოქ-მედებათა მათგან ღმრთისათა გარემიიქცეოდეს და დიდთა მათ სასწაულ-თა შინა და ფრიადსა მას აზნაურებასა იქსენებდეს ჭორცსა მას ეგვატისასა და ხახუსა და სხუასა მას შეურაცხსა ქცევასა მათსა<sup>1</sup> და იტყოდეს: უმჯო-ბეს იყო ჩუენდა მონებად იგიო და თიჯისა და ალიზისა საქმლი, ვიდრე უდაბ-ნოდსა ესე თავისუფლებით სლვად და მანანადსა ჭამად.

ეგრეთვე ესენი იშიშვოდეს, ნუუკუე მოვიდეს მეუფე იგი სახიერი და დააყენეს იგინი გზათა მათგან ურჩულობისა მათისათა, რამეთუ ესმო-და წინაწარმეტყუელთა მიერ, ვითარმედ: მოძულე არს იგი ბოროტისად და მოყუარე კეთილისად, ვითარცა იტყვს დავით: „შეიყუარე სიმართლე და მოიძულე ურჩულობად“;<sup>2</sup> და ესაია ლალადებს: „შჯიდეს სიმართლისა სასჯელითა და ამხილებდეს დიდებულთა ქუეყანისათა; და მოსრას ქუე-ყანად სიტყვთა პირისა მისისადთა და სულითა ბაგეთა მისთამთა აღწოცოს უღმრთოდ. და იყვნეს სიმართლითა მორტყმულ წელნი მისნი და ჭეშმა-რიტებითა მომტკიცებულ გუერდნი მისნი“.<sup>3</sup> ამის სახისათვს შეშფოთნეს ჰურიანი იგი ბოროტისმოყუარენი. ხოლო განიხილე წინაწარმეტყუელთა ჭეშმარიტებად და ყოვლისავე წინაწარმეცნიერებად სულისა მიერ წმიდი-სა, რამეთუ ესეცა უკეთური გულისსიტყუად ჰურიათად და შფოთი გულისა მათისად შობისათვს ქრისტესისა, და ვითარ ძნელად აღუჩნდა მათ, პირვე-ლითგანვე ცნო სულითა ესაია, ამისთვეცა იტყოდა: „ინებონ, უკუეთუმცა იყვნეს ცეცხლით შემწუარ, რამეთუ ყრმად იშვა ჩუენდა, და ძე მოგუეცა ჩუენ“.<sup>4</sup>

ჯერ-იყო უბადრუეთა მათდა სიხარული ფრიადი, რამეთუ იშვა მათ შორის მეუფე იგი სახიერი და სპარსნი მოიყვანნა თაყუანის-ცემად მისა. და მისგან გულისჯმა-ყვესმცა და თქუეს, ვითარმედ: ყოველნი დამორჩილებად არიან ჩუენისა ამის მეუფისა, და არღარა მაქუნდეს შიში ტყუეობისად, არა-მედ ჩუენ ვიყვნეთ უფალ სხუათა წარმართთა; რამეთუ უკუეთუ ან ოდენ შობილისა ამისგან ესრეთ ძრნიან, უკუეთუ აღიზარდოს, მაშინ უმეტესად ძრნოდინ ყოველნი მისგან, და ვიქმნეთ ჩუენ უბრნყინვალეს ყოველთა ნა-თესავთა. არამედ არარა ესევითარი გულისჯმა-ყვეს, არცა განიფრთხვეს უკეთურებისაგან თვისისა, რამეთუ დიდ იყო დაწინილობად მათი და შური, რომლისათვეცა არა ენება ყოვლადვე შობად იგი ქრისტესი უმადლოთა მათ და უგულისჯმოთა.

<sup>1</sup>შდრ. რიცხ. 11,4-5.

<sup>2</sup>ფსალმ. 44,8.

<sup>3</sup>ესაია 11,4-5.

<sup>4</sup>ესაია 9,5-6.

## სტატლად 3

ვითარმედ კეთილ არს საღმრთოა იგი გლობა და ბოროტ არს სიცილი, და  
ვითარმედ ფრიად მავნებელ არს ხედვა თეატრონთა და სახიობათად

ხოლო ჩუენ, საყუარელნო, ორივე ესე ვნება და ჯაჭვილებისა და შუ-  
რისად სრულიად განვიოტოთ გონებათაგან ჩუენთა. და რად ვიტყვ თრ-  
თა ამათ ხოლო ვნებათა? ყოველი მიზეზი ცოდვისად და ყოველი ნაყოფი  
ღულარძლისად მის, მტერისა მიერ დათესულისად, ვიღუანოთ აღმოფხურად  
გულთაგან ჩუენთა, რამეთუ გკლირს, რამთა ცეცხლებრ შემწუველ ვიყვნეთ  
ნივთსა მას ცოდვისასა. ამისთვის იტყოდა უფალი: „ცეცხლისა მოვედ მო-  
ფენად ქუეყანასა და რა მნებავს, რამთა ანვე აღეგზნას!“<sup>1</sup> და სული წმიდად  
მო-რამ-ვიდა მოციქულთა ზედა, ამისთვის ეჩუენეს მათ ენანი ცეცხლისა-  
ნი, რამთა ვისწაოთ, ვითარმედ უქმს მორწმუნეთა ცეცხლისა უმწურვალეს  
ყოფად ბრძოლასა მას ეშმაკისასა. და ვითარცა ცეცხლმან მსწრაფლ დაწკს  
თვივად, ეგრეთ ვიყვნეთ შემწუველ ძალასა მას ცოდვისასა, ვითარცა-იგი იყო  
მოციქული პავლე, უმძაფრეს ალისა ცეცხლისა, დამწუველ ეშმაკთა და  
განმაქარვებელ ყოვლისავე ძალისა მათისა და დამწსნელ მრავალლონეთა  
მათ ბრძოლათა მათთა. ამისთვის მსწრაფლ წარწდა ქუეყანისათა და ზეცი-  
სათაცა არსთა და არაარსთა და წარმოუდგა ქრისტესა მეუფესა სიყუარუ-  
ლითა მით მიუთხრობელითა.

ხოლო ჩუენ თოვლისა უგრილეს ვართ და მტუერისა უუძლურეს კე-  
თილთა საქმეთა შინა. და უუჯეთუ სახე იგი პავლესი და მიმსგავსებად  
მისი დიდად გიჩნს, ესრეთცა ცუდ არს სიტყუად ესე. რამეთუ პავლეცა  
კაცი იყო წორციელი, ვითარცა ჩუენ, და არა შეუძლებელ არს ბაძვად  
სათნოებათა მისთავ; არამედ რამთა არა ცილობასა ვიქმოდით, თანა-  
წარვჯეთ პავლეს და სხუათა მათ მოციქულთა და შემდგომნი მათნი  
გულისქმა-ვყვნეთ, რომელთა დაუტევეს ყოველივე და შეუდგეს მოძლუ-  
რებასა მოციქულთასა, განეშორნეს ყოველთაგანვე ზრუნვათა და უცა-  
ლოებათა და სწავლასა ოდენ მოციქულთასა შეექცეს, რამეთუ შევიდა  
ცეცხლი იგი საღმრთოა გულად მათა და არარა დაუტევა გულისთქუმად  
სოფლისად, არამედ ყოველივე დაწუა. ეგრეთვე შემდგომითი შემდგომად  
ყოველთა წმიდათა შეინყნარეს ცეცხლი იგი გულთა თესთა, რომლისა  
მოფენად მოვიდა უფალი, და ფრთოან იქმნეს სულიერითა მით ტრფია-  
ლებითა და შეურაცხ-ყვეს ყოველი შუებად, ყოველი დიდებად და სიმდიდ-  
რე სოფლისად. და რად ვიტყვ შუებასა და დიდებასა? სულნიცა თვსნი  
მისცნეს სიყუარულისათვის ქრისტესისა: რომელთამე წამებითა დასთხი-  
ნეს სისხლნი, და სხუათა მოღუანებითა უარ-ყვნეს თავნი და წორცნი  
მოაკუდინნეს.

<sup>1</sup> ლუკ. 12,49.

რამეთუ ცეცხლისა მის დიდებულისა მწურვალებად შევიდეს რად სულ-სა კაცისასა, ყოველსა დაქსნილებასა იოტებს და ფრთოან-ჰყოფს სულსა მას ღმრთისა მიმართ და შობს მის შორის ლმობიერებასა სულიერსა და აღმოაცენებს წყაროსა ცრემლთასა, რომელთაგან იქმნების სიტკბოებად ფრიადი. რამეთუ არარად ესრეთ შეაერთებს და მიაახლებს სულსა ღმრთისასა, ვითარცა ცრემლი იგი ესევითარნი. რომელსა აქუნდეს ესე ცრემლი, დალაცათუ ქალაქსა შინა იყოს, ვითარცა უდაბნოდა მყოფი და ქუაბთა შინა დამკუდრებული არს, რომელი-იგი არცა ვის ხედავნ, არცა ვის განიკითხავნ, არცა სოფლისა საქმეთაგანი რამეთ სწადინ, არამედ ზინ სენაკსა თკსა, და განძლომად გოდებისად მის არა არნ – გინა თუ თკსთა ცოდვათათვს, გინა თუ მოყუსისათა.

ამისთვისცა უპირატეს ყოველთასა ამათ ჰნატრის უფალი და იტყვს: „ნეტარ იყვნენ მგლოარენი, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“!<sup>1</sup> არა-მედ მომიგებენ ვიეთნიმე, ვითარმედ: უკუეთუ ესე ესრეთ არს, რად იტყვს პავლე მოციქული: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ“?<sup>2</sup> უწყოდეთ უკუე, ვითარმედ ესევითართა ამათ ცრემლთა მიერ მომავალსა მას სიტკბოებასა სიხარულად სახელ-სდვა მოციქულმან. რამეთუ ვითარცა სიხარულსა მას სოფლისასა თანაშეერთებულად აქუს მწუხარებად, და არა არს სოფელსა ამას შინა სიხარული, რომელსამცა არა შეერთვოდა მწუხარებად, ეგრეთვე საღმრთოსა მას გლოვასა და ცრემლთა აქუს მადლი სიხარულისა მის სულიერისად, რამეთუ აქავე მხიარულ-ჰყოფენ და ნუგეშინის-სცემენ სულსა და მერმესა მას საუკუნესა მოატყუებენ უოხჭნოსა მას და სამარადისოსა სიხარულსა.

ესე ცეცხლი აღეგზნა გულსა შინა მის მეძვისასა და ყო იგი უწმიდეს ქალწულთასა. რამეთუ განწურდა რად სინანულითა და აღეტყინა მის შორის სურვილი ქრისტესი, მირბიოდა მისა და დაალტვნა წმიდანი იგი ფერწნი მისნი ცრემლითა და თმითა თავისა მისისადთა წარპჯოცნა, ამბორსუყოფდა ფერწთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა; და ამას იქმიდა გარემითა კაცითა, ხოლო შინაგან ფრიად უმწურვალეს იყო ლმობიერებად მისი და გლოვად, რომელსა-იგი მხოლოდ ღმერთი ხედვიდა. ამისთვისცა ყოველთავე ცოდვათა მისთა მეყსა შინა პოა შენდობად, და ესე არა საკვრველ არს წყალობისაგან ღმრთისა; რამეთუ ჩუენ უკეთურნი ესე და უსახურნი სმენითა ოდენ ლმობიერებისა მისისადთა ღირსად შენდობისა შეგვრაცხიეს იგი, რავდენ უმეტესად ღმერთსა, სახიერსა მას და ტკბილსა, შეეწყალამცა იგი? და ჭეშმარიტად შეინყალა და ყოველივე ბრალნი აღუწოცნა და ბევრეული კეთილი მიანიჭა.

რამეთუ ვითარცა წკმამან მძაფრმან განაქარვის მტუერი, ფრიადისა სიკმელისაგან აღძრული ქუეყანასა ზედა, ეგრეთვე მდინარე ცრემლთად

<sup>1</sup> მათ. 5,4.

<sup>2</sup> ფილიპ. 4,4.

წარპრლუნის და განაქარვებს არმურსა მას და ნისლსა ცოდვათასა. და ვი-თარცა-იგი წყლისა მიერ და სულისა განვწმიდენით პირველთა ცოდვათა-გან, ეგრეთვე კაცთმოყუარებისათვს ღმრთისა და მრავლისა მის სახიერე-ბისა, ცრემლთა მიერ და აღსაარებისა კუალად განვწმდებით შემდგომად პირველისა მის განნმედისა ქმნულთა ცოდვათაგან, უკუეთუ ოდენ არა იყვნენ ცრემლნი იგი მაჩუენებლობით და ზუაობით. რამეთუ რომელი ეს-რეთ ცრემლოდის, გინა კაცთმოთნებით ანუ ზუაობით, არარა ყოვლადვე აქუნდეს სარგებელი ცრემლთა მათგან, არამედ უფროვასლა ბრალი. რამე-თუ მათ ცრემლთა ვეძიებდე, რომელი ლმობიერებითა მით სიმდაბლისა-თა დიოდინ სახილველად უფლისა და არა კაცთა, რომელნი-იგი აღმო-ეცენებოდან ფარულად საუნჯეთა შინა უხილავთა, რომელთა არცა ვინ ხედვიდეს, არცა ესმოდის, გარნა მხოლოსა ღმერთსა, რომელნი სიღრმე-თაგან გულისათა მწუხარებისა მისგან საღმრთოვსა და სიხარულისა მო-მატყუებელისა აღმოცენდენ, რომელთა მიზეზი სხუად არარა იყოს, გარნა შიში ღმრთისად ანუ სიყუარული.

ესრეთ ცრემლოოდა დავით, რომელი იტყვს: „დავშუერი მე სულ-თქუმითა ჩემითა, დავბანე მარადლე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტვე“;<sup>1</sup> „და მექმნეს მე ცრემლნი ჩემნი საჭმლად ჩემდა დღე და ღამე“;<sup>2</sup> „და სასუმელი ჩემი ცრემლითა ჩემითა გავზავე“.<sup>3</sup> ესრეთ ცრემლოოდა ანნა, რომლისათვს წერილ არს, ვითარმედ: „ილოც-ვიდა ღმრთისა მიმართ ტირილით, ბაგენი მისნი იძრვოდეს, და წმად მისი არა ისმოდა“,<sup>4</sup> არამედ ცრემლნი იგი უმაღლეს ნესტკსა წმობდეს ღმრთი-სა მიმართ; ამისთვიცა მეყსეულად ესმა მისი უფალსა და მისცა თხოვად მისი.

უკუეთუ შენცა ესრეთ სტიროდი, ძმაო, მიემსგავსო არა წმიდათა ოდენ, არამედ თავადსაცა მეუფესა. რამეთუ იგიცა ცრემლოოდა ბუნებითა მით კაცობრივითა ლაზარეს ზედა და ქალაქსა მას ზედა და იუდაესთვს. და ესე მრავალგზის ქმნა, ვითარცა ვპოებთ წმიდასა სახარებასა შინა. ხოლო გან-ცინებად მისი არასადა გკპოვნია, არცა თუ ღიმილი უთქუამს მისთვს მახა-რებელთაგანსა ვის. ეგრეთვე პავლე ფრიად ცრემლოოდა, ვითარცა წამე-ბენ ყოველნი მისთვს; და იგი თავადი იტყვს, ვითარმედ: „ვჰმონებ უფალსა ყოვლითა სიმდაბლითა და ცრემლითა და განსაცდელითა“.<sup>5</sup> ხოლო სიცილი არცა მან თქუა თავისა თვისისათვს, არცა სხუამან ვინ თქუა მისთვს გინა სხესა ვისთვისმე წმიდათაგანისა; არამედ სარრავსათვს ხოლო თქუმულ არს ესე, რომლისათვიცა ემხილა მას ბრალობით. და კუალად ძისა მისთვიცა ნოესა თქუმულ არს სიცილი, რომლისათვს წარწყმიდა აზნაურებად თვისი და მონა იქმნა. და ამას ვიტყვ, არა თუ რჩულსა დაგიდებ, რამთა ყოვლადვე არა იცინოდით, რამეთუ ჟამსა თვისსა განცინებაცა წესიერი შესანდობელ

<sup>1</sup> ფსალმ. 6,7.    <sup>2</sup> ფსალმ. 41,4.    <sup>3</sup> ფსალმ. 101,10.    <sup>4</sup> შდრ. 1 მეფ. 1,12-13.    <sup>5</sup> საქმე 20,19.

არს. თკნიერ განცხრომისა უწესოდასაგან გაყენებ, რამეთუ მავნებელ არს ესე ფრიად და მრავალთა პოროტთა მიზეზ.

რაღასათვეს უკუე განსცხრები და იმღერი, კაცო, რომელსა ესოდენ-თა თანანადებთა გარდავდა თანაგაც და საშინელსა მას სამსჯავროსა გეგულების წარდგომად და სიტყვს-მიცემად თითოეულად ყოველთათვეს საქმეთა შენთა? რამეთუ მუნ ყოველთავე ცოდვათათვეს ნეფსითთა და უნებლიერთა სიტყვს-მიცემად თანაგუაც, და ნუ ურწმუნო ხარ ამას, თუ უნებლიერთა ცოდვათათვეს სიტყვს-მიცემა გვჩმს. ისმინჯ, რასა იტყვს უფალი: „რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი წინაშე მა-მისა ჩემისა“.<sup>1</sup> და უწყით, ვითარმედ უნებლიერ არს ცოდვად ესე სატან-ჯველთა მიერ კერპთმსახურთადსა, რომელთა თავს-დებად ვიეთმე ვერ უძლეს და შთავარდეს უარის-ყოფასა; არამედ იხილეთ, ვითარისა სატან-ჯველისა თანამდებ იქმნებიან, უკუეთუ არა სინანულითა მწურვალითა ღირს იქმნენ შენდობასა. არარად არს უკუე ცოდვად, რომლისათვეს არა პატიჟისა თანამდებ ვართ, გინა თუ ნეფსითი იყოს, გინა თუ უნებლებით, ცებით, გინა თუ უცებნელი; ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „არარად თავსა ჩემისა შემიცნობიეს, არამედ არა თუ ამით რასმე განვმარ-თლდები“;<sup>2</sup> გინა თუ მეცნიერებით ვცოდოთ, გინა თუ უგულისწმოებით და ცომით, ვითარცა იგივე მოციქული კორინთელთა მიუწერს, ვითარმედ: „მეშინის, ნუუკუე ვითარცა-იგი გუელმან აცთუნა ევა ზაკულებითა თვისი-თა, ეგრეთვე განრყუნეს გონებანი თქუენნი სიწრფოებისაგან ქრისტეს მიმართ“.<sup>3</sup>

ან უკუე ვინათგან ამის ყოვლისათვეს სიტყვს-მიცემად თანანადებ არს ყოველთა კაცთა მიერ, ვითარ შენ უზრუნველად ჰზი და ურიდად იცინი, განსცხრები, იმღერი, ჰლალობ და მოკიცხართა მსგავს ხარ? და უკუეთუ არა ვიცინოდი და ვლალობდე, არამედ ვიგლოვდე, რად სარგებელ მეყოს? – იტყვს ვინე დაწსნილთა და შეებისმოყუარეთაგანი. ამას იკითხავა, სა-ყუარელო, თუ რად სარგებელ არს გლოად?

დღიდ არს სარგებელი გლოისად და მიუთხრობელ, რამეთუ სიტყუად სარგებელსა გლოვასასა გამოჩინებად ვერ მისწუთების. არა არს სასჯელი ღმრთისად მსგავს სასჯელსა კაცთასა; რამეთუ კაცობრივსა სამსჯავრობა-სა ვინათგან ბრძანებად რისხვისად გამოვიდეს, რავდენცა ცრემლოოდის შეცოდებული იგი, არას ერგების, ხოლო ღმრთისად არა ესრეთ არს, არამედ ვინათგან სცოდო და განარისხო იგი, უკუეთუ კუალად შეინანო, ღმობი-ერ იქმნა, სულთ-ითქუნე და იგლოვო, დაპყსნი რისხვისა მას და დაატკბობ ღმერთსა შენ ზედა და შეგენდობვის საქმე იგი, ღირსი სატანჯველისად. ამისთვეს მარადის უფალი ჰნატრის მგლოვარეთა და აბრალებს შუებასა ში-ნა და განცხრომასა მყოფთა.

<sup>1</sup> მათ. 10,33.

<sup>2</sup> კორ. 4,4.

<sup>3</sup> 2 კორ. 11,3.

ან უკუე ჩუენცა, საყუარელნო, ვიგლოვდეთ და ვტიროდით, რამეთუ არა არს ესე ჟამი სიხარულისად და განცხრომისად, არამედ გლოისა და ტირილისად. სხუად არს ჟამი იგი სიხარულისად – საუკუნესა მას შინა ცხორებასა. უკუეთუ აქა ვიგლოვდეთ და ვტიროდით, მუნ ლირს ვიქმნეთ სასუფეველსა ცათასა დამკვდრებად და სიხარულისა მას მიმთხუევად, სადა არა არს სალმობად, არცა მწუხარებად და სულ-თქმად. არამედ ჩუენ შეგ-კცვალებიეს წესი ესე და ამას საწუთოსა ვიშუებთ და ვიხარებთ, ვიცინით, განვსცხრებით, ვლალობთ და ვიმღერით; ამისთვის მეშინის, თუ მუნ მწუხარებად და ტირილი მოგუეცეს ნანილად. არა უწყითა, ვითარ მდგომარენი წინაშე მეფისა მის მოკუდავისა შიშით და ძრწოლით დგანან და ვერ იკად-რებენ განცხრომად და მღერად, არამედ კრძალულებით ჰმონებენ; ხოლო ჩუენ, რომელი მეუფისა მის უკუდავისა და ყოველთა დამბადებელისა ღმრთისა წინაშე მდგომარე ვართ, და უფროვასლა ჩუენ შორის მკვდრ არს იგი, არა შიშით და ძრწოლით ვიქცევით მცირეთა ამათ დღეთა მწირობისა ჩუენისათა, არამედ სიცილითა და განცხრომითა განვარისხებთ მას და ჩუენგან ვიოტებთ მრავალთა მათთვის ბოროტთა, რომელი განცხრომისა-გან იშვებიან ჩუენ შორის. რამეთუ ვითარცა კუამლი იოტებს ფუტკართა, ეგრეთვე სიმყრალე იგი ვნებათად და მწკრე ცოდვისად განიოტებს ჩუენგან სულსა წმიდასა, და ჩუენ ესოდენ გულფიცხელ ვართ, რომელ ცოდვანი ესე მრავალნი ზურგსა გუკიდვან და არად შეგვრაცხიეს, არამედ შუებით და განცხრომით ვიქცევით, რათა უმეტესად მოვინიოთ ჩუენ ზედა რისხვად, რომელ არცა თუ შემდგომად ცოდვისა მოვედით სინანულად.

და ამას ყოველსა ზედა არიან ვიეთნიმე თქუენ შორის ესოდენ უგულისწმო და ულმობელ, ვიდრელა იტყვან, ვითარმედ: ნუ იყოფინ ჩემდა ტირილი და გლოად, არამედ მომეცინ ღმერთმან მარადის შუებად და განცხრომა. და რამდენა იყო ამის სიტყვასა უცოფესი სიტყუად? გულისწმა-ყავ, უბადრუკო, ვითარმედ განცხრომად და მღერად არა ღმრთისა მიერ მოგეცემის, არამედ ეშმაკისა მიერ. ისმინე, რასა იტყვას წერილი: „და ჯდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად“,<sup>1</sup> და მეყსეულად შეუდგა სიმღერასა მას კერპთმსახურებად. ან ნაყოფისაგან იცან ხე იგი, რად იყო, და თესლისაგან იცან მთესვარი იგი, თუ ვინ იყო.

ესრეთ იყვნეს მკვდრნიცა სოდომისანი შუებასა შინა და განცხრომასა. მიხედენ უკუე ნაყოფსა მას განცხრომისა მათისასა, თუ ვითარი იპოვა. ეგრეთ იყვნეს ნოეს ზე, მოინია რად წყლითრლუნად იგი სასტიკი; ხედვიდეს იგინი მრავალ წელ ალშენებასა მას კიდობნისასა და მომავალი იგი რისხვად ესმოდა და უზრუნველად და ულმობელად იშუებდეს და განსცხრებოდეს, ვიდრემდე მოინია წყლითრლუნად და ყოველნივე აწოცნა. ან უკუე ვითარ იტყვა შენ, ჭ უგუნურო, თუ: მომეცინ ღმერთმან შუებად

<sup>1</sup> გამ. 32,6.

და განცხრომად? რომელსა ეშმაკი მოგცემს, მას ვითარ იკადრებ თხოვად ღმრთისაგან? გნებავსა სხავლად, თუ რომელი არიან ღმრთისა მიერ მოცემულნი ნიჭნი? – გული წმიდად და სული მდაბალი, გონებად შემუსრვილი და ფრთხილი წინააღმდგომად ბრძოლათა მტერისათა, აღვსებული ლმობიერებითა და მწურვალედ მონანული ცოდვათა თკსთა. ესე არიან ნიჭნი საღმრთონი, რამეთუ ესე არიან საქმარ ჩუენდა და ფრიად საძიებელ. რამეთუ ბრძოლად ძლიერი წინამდებარე არს ჩუენდა, და ბრძოლად იგი ძალთა მათ მიმართ უხილავთა არს, მთავრობათა მიმართ და წელმწიფებათა სოფლისმპურობელთა მათ ბენელისათა, სულთა მათ მიმართ უკეთურთა;<sup>1</sup> და საყუარელ არს, უკუეთუ ფრთხილ ვიყვნეთ და მღვდარე, აღჭურვილ და განმზადებულ, და ეგრეთცა შეუძლოთ კეთილად წინაგანწყობად ესევითართა მათ მბრძოლთა.

უკუეთუ კულა განვსცხრებოდით და ვიმღერდეთ, ვიშუებდეთ და გუეძინოს პირველ ბრძოლად განწყობისაცა და მბრძოლთა მოსლვისა, ჩუენისა მის უდებებისა და ვერაგობისაგან ძლეულ და მეოტ ვიპოვნეთ. არა უწყითა, ვითარმედ არა ჩუენი საქმე არს განცხრომასა და სიცილსა და სახიობასა შინა ყოფად და მარადლე შუებასა წორცოთასა? არამედ საქმე არს ესე მემღერეთად და მეძავთა და მოკიცხართა. არა არს ესე საქმე ზეცისა იქრუსალტმსა აღწერილთად, არა არს ესე საგზალი სასუფეველად ცათა წოდებულთად, არა არს ესე საჭურველი სულიერსა მას საგრობასა განწესებულთად, არამედ საქმე არს ესე მსახურთა ეშმაკისათად. იგი არს მომპოვნებელი ამათ წელოვნებათად, რაღოთამცა დაჰჭისნნა მწედარნი ქრისტესნი და შეუჭრნა მათ ძარღუნი ახოვნებისა მათისანი. ამისთვისცა თეატრონნი აღაშენნა ქალაქთა შინა და სახიობანი შემზადნა საფრჩედ სულთა მათთვე ქრისტეანეთასა. ხოლო პავლე გკბრძანებს სივლტოლასა ამის ესევითარისაგან და იტყვს, ვითარმედ: „სიძვად და არაწმიდებად ყოველი გინა ანგაპრებად ნუცა სახელ-ედებინ თქუნ შორის, ვითარცა-იგი შეჰვავს წმიდათა, და საძაგელებად და სიტყუად სიცოფისად და ლალობად, რომელი არა ჯერარს“.<sup>2</sup>

სედავა, ვითარ სიძვად და არაწმიდებად და სიტყუანი სიცოფისა და განცხრომისანი ერთბამად აქსენნა? რამეთუ იცოდა, ვითარმედ მშობელნი და ნაშობნი ერთმანერთისანი არიან ესე. ანუ არა ყოველი სიტყუად საძაგელებისად და ლალობანი სიძვისანი ითქუმიანა სახიობათა და განცხრომათა შინა? და უძკრესი ესე არს, რომელ ოდეს ესევითარი რად თქუან გონებაცთომილთა მათ, მრავალთა განიცინიან და სიხარულის მიზეზ ქმნან, რომლისათვე ქვისა დაკრებად ჯერ-იყო ესევითარისა მეტყუელთა მათ ზედა, ხოლო იგინი აქებენ და უფროვსად გულსმოდგინე-ჰყოფენ მოკიცხართა მათ. ამისთვისცა უმეტესისა სასჯელისა ღირს არიან, რამეთუ უკუეთუმცა

<sup>1</sup> შდრ. ეფეს. 6,12.

<sup>2</sup> ეფეს. 5,3-4.

არავინ მივიდოდა შესაკრებელსა მას ბოროტსა, არცამცა უბადრუენი იგი ისწავლიდეს წელოვნებასა მას სულთა წარმნებიდელსა. ხოლო ან გხედვი-დენ რად ყოველთა მოსწრაფებით მუნ მიმავალად, იგინიცა უმეტეს მოხარ-კე იქმნებიან განმრავლებად ბოროტისა მის წელოვნებისა; და გაქუს თქუენ ბრალი თქუენთაცა სულთა ვნებისად და მათისაცა წარწყმედისად, რამეთუ დიდი ვნებად არს და წარწყმედად მისლვად თეატრონად და ხედვად საქმეთა საძაგელთად: დედათა მროკველთად, აღრეულთად მამათა თანა, რომელთა განაგდიან ბუნებითი იგი სირცხვლი და შიშუელი იმღერდიან. რამცა იყო უძრეს მუნ მისლვისა? უმჯობეს არს მწკრითა დასურად პირისად, ვიდრე-და ესევითარისა ურჩულოებისა ხედვად, რამეთუ არა ავნებს მწკრე ესრეთ თუალთა, ვითარ ავნებს ესევითარისა ბოროტისა ხედვად.

ხოლო ან უკუეთუ გელმის სმენად ესე ამათ სიტყუათად, მადლიერ ვარ თქუენდა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ვინ-მე არს იგი, რომელმან მახაროს მე, არა თუ იგი, რომელი შენუხებულ იყოს ჩემ მიერ?“<sup>1</sup> და უმე-ტესად გევედრები, რაღთა არა დასცხრეთ მწუხარებისა ამისგან, ვიდრემდე გარდაპკუეთოთ სრულიად ბოროტი იგი საქმე და მოსპოთ სიმყრალე იგი საძაგელებისად სულთაგან თქუენთა, ვითარცა-ესე მრავალგზის მითქუამს ამის ჯერისათვეს, რაღთა სულიერი იგი სიმრთელე გამოჩნდეს თქუენ შო-რის, და ნათელი ღმრთისად მიგეფინოს თქუენ, და მიემთხუნეთ კეთილთა მათ ზეცისათა საქმეთა მიერ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

---

<sup>1</sup> 2 კორ. 2,2.